# კრემლის

# გავლენის

# ინდექსი

# 2017

ერთობლივი კვლევითი ანგარიში

B|S|T The Black Sea Trust for Regional Cooperation
A PROJECT OF THE GERMAN MARSHALL FUND

DETECTOR media

EUROPEAN VALUES
Protecting Freedom

MDF

POLITICAL CAPITAL

2017



**კრემლის გავლენის ინდექსი 2017:** ერთობლივი კვლევითი ანგარიში. – კიევი, დეტექტორ მედია, 2017




**რედაქტორი**

**რომან შუტოვი,**
წამყვანი ექსპერტი

**დიზაინი**

**იანა დობრიანსკა**

კრემლის გავლენის ინდექსი არის თვისებრივი მექანიზმი, რომელიც აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ანალიტიკურმა ჯგუფებმა შეიმუშავეს, რათა გაიზომოს რუსეთის ფედერაციის მთავრობის შესაძლებლობები, რაც საკუთარი მიზნების მისაღწევად, სხვა ქვეყნების საინფორმაციო სივრცეებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად. წინამდებარე ანგარიში უკრაინის, საქართველოს, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის ინდექსის საპილოტე მონაცემებს მოიცავს.

ფსიქოლოგიური უსაფრთხოების ექსპერტები, საჯარო მოხელეები, მედია ექსპერტები, ჟურნალისტები, სტრატეგიული კომუნიკაციის უწყებები და სხვა მოთამაშეები, რომლებიც ჩართული არიან დეზინფორმაციასთან და პროპაგანდის გავლენასთან ბრძოლაში რეგიონში, მონაწილეობდნენ პროცესში.

ანგარიში გამოიცა Black Sea Trust-ის მხარდაჭერით, პროექტის ფარგლებში, რომელიც დეტექტორ მედიამ (უკრაინა) შემდეგ ორგანიზაციებთან პარტნიორობით განახორციელა: ევროპული ღირებულებები (ჩეხეთის რესპუბლიკა), მედიის განვითარების ფონდი (საქართველო) და პოლიტიკური კაპიტალი (უნგრეთი). ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს Black Sea Trust-ის (გერმანიის მარშალის ფონდი) ან სხვა პარტნიორების მოსაზრებებს.

ფოტო: Pixabay

© დეტექტორ მედია, 2017
© იანა დობრიანსკა – დიზაინერი, 2017

# სარჩევი

5 მისალმება

6 რისთვის არის განკუთვნილი

7 მოკლე მიმოხილვა

11 მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა

12 კრემლის გავლენის ინდექსის ნაციონალური ანგარიშები

12 საქართველო

24 უნგრეთი

36 უკრაინა

48 ჩეხეთის რესპუბლიკა

58 მონაწილე პარტნიორები

60 ინდექსის კითხვარი



# მისალმება

ძვირფასო მეგობრებო,

ჩვენ რთულ პერიოდში გვიწევს ცხოვრება, არასტაბილურ და არაგანჭვრეტად დროში, რომელიც სახელმწიფოსა და საზოგადოების, უსაფრთხოებისა და თავისუფლების, მშვიდობისა და ომის შესახებ ჩვენი წარმოდგენების გადააზრებას მოითხოვს. ამავე დროს ჩვენი ღირებულებების სიმტკიცის გამოცდაც ხდება – როგორ შეგვიძლია ჩვენ მათი დაცვა და რამდენად ერთიანნი ვართ ამ საქმეში.

ეს დრო არ დაწყებულა 2014 წელს ყირიმის ანექსიით, არც 2008 წელს რუსეთის სამხედრო აგრესიით საქართველოს წინააღმდეგ. ის მაშინ დაიწყო, როცა კრემლის ხელისუფლებამ გადაწყვიტა დემოკრატიული სამყაროს გამოცდა და შეიმუშავა გეგმები, როგორ გამოეყენებინა დემოკრატიის მიღწევები დემოკრატიისვე წინააღმდეგ. შესაძლოა, ჩვენ უპირველესად სიტყვისა და მედიის თავისუფლებაზე ვსაუბრობთ, რომელიც ამჟამად მისი კვაზი ფორმით საზოგადოებების დესტაბილიზაციისთვის, დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი რწმენის შესარყევად, სიძულვილისა და მტრობის გასაღვივებლად და ილუზორული სამყაროს შესაქმნელად გამოიყენება, რომელსაც ნაკლებად აქვს საერთო რეალობასთან და ხალხის საჭიროებებთან.

ამ გამოწვევას დემოკრატიული სამყაროს ხელისუფლებები, ანალიტიკური ცენტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედია ეხმაურებიან. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა (განსაკუთრებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში) გამოსავლის საპოვნელად, რომელიც საფრთხის შემცირებას და სიტყვის თავისუფლების დაცვას უზრუნველჰყოფს. ეს სამუშაო კოორდინირებულ ძალისხმევას და სხვადასხვა ქვეყნებსა და მთლიანად რეგიონში პრობლემის მკაფიო გააზრებას მოითხოვს.

მედია არ უნდა გამოიყენებოდეს პროპაგანდისა და საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის იარაღად – ეს არის კონსენსუსი, რომელსაც ჩვენ ვიზიარებთ და მიზანი, რომლისკენაც ერთობლივად ვიღწვით.

თქვენს წინაშეა კრემლის ინფორმაციული გავლენის ინდექსის პირველი შედეგები, ახალი ინსტრუმენტი, რომელიც დაინტერესებულ მხარეებს სხვადასხვა ქვეყანაში რუსეთის მთავრობის და რუსული პროპაგანდის საინფორმაციო გავლენის შესახებ გაზომვად და ერთიან მონაცემებს აწვდის. ანგარიში საპილოტე ხასიათისაა და ოთხ ქვეყანას ფარავს. ვიმედოვნებთ, რომ ეს ინსტრუმენტი სასარგებლო იქნება რეგიონის სხვა ქვეყნებზე გასავრცელებლად და ინდექსის გაზომვა რეგულარულ სახეს მიიღებს.

პარტნიორების სახელით:
**დეტექტორ მედია**, უკრაინა
**ევროპული ღირებულებები**, ჩეხეთის რესპუბლიკა
**პოლიტიკური კაპიტალი**, უნგრეთი
**მედიის განვითარების ფონდი**, საქართველო

**ნატალია ლიგაჩოვა-ჩერნოლუტსკა,**
დეტექტორ მედიის ხელმძღვანელი

## რისთვის არის განკუთვნილი?

კრემლის გავლენის ინდექსის მიზანია, გავზომოთ რუსეთის ფედერაციის შესაძლებლობები, გავლენა მოახდინოს (ინიციატივა, ცვლილება) ქვეყნების საინფორმაციო სივრცეში (წარმოება, ინფორმაციის გაცვლა და მოხმარება) მიმდინარე პროცესებზე.

## როგორ გამოვიყენოთ?

ინდექსს ციფრობრივი გამოსახულება აქვს, რომელიც თითოეული ქვეყნისთვის ქსელურ დიაგრამაზეა ასახული.

მაღალი ქულა აჩვენებს კრემლის შესაძლებლობას, მეტი გავლენა მოახდინოს ქვეყანაში ინფორმაციულ პროცესებზე. რაც უფრო ფართოა ქსელი, მით მეტი შესაძლებლობები აქვს რუსეთის ფედერაციას.

დიაგრამა 6 განზომილებისგან შედგება, რომელიც ინდექსის 6 კომპონენტს შეესაბამება.




# მოკლე მიმოხილვა

კრემლის საინფორმაციო გავლენის ხარისხი შესწავლილ ქვეყნებზე გარკვეულწილად განსხვავებულია, მაგრამ აშკარად არის გამოკვეთილი საერთო ტენდენციები.

ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, უკრაინა და საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ და ახლა, კრემლი ამ ქვეყნებს თავისი გეოპოლიტიკური პროექტების ნაწილად მოიაზრებს. ამ ქვეყნების დემოკრატიული განვითარება ჯერჯერობით საკმარისად მყარი არ არის და მათი კუთვნილება ევროპული ტრადიციისადმი კვლავ ეჭვის ქვეშ დგას. შესაბამისად, პროევროპული ელიტების დისკრედიტაციით და სოციალური დესტაბილიზაციით შესაძლოა ისეთი ვითარება შეიქმნას, რომ ამ ქვეყნებს უარი ათქმევინოს დემოკრატიული განვითარების კურსზე და მომავალში, თავად მათ სახელმწიფოებრიობას შეუქმნას საფრთხე. ეს შესაძლებლობის ის ფანჯარაა, რომელსაც კრემლი ამ ქვეყნებზე საინფორმაციო ზეგავლენის მოსახდენად იყენებს. უკრაინისა და საქართველოს დისკურსში გამოიყენება საბჭოთა ნოსტალგიის თემები, მითი ამ ქვეყნებსა და მოსკოვს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების შესახებ, სტერეოტიპი, რომ რუსეთი „უფროსი ძმა“ და „დამცველია“ და ა.შ. კრემლის დისკურსისთვის დამახასიათებელი ანტიამერიკანიზმი და ჰომოფობია შერწყმულია მოსაზრებებთან, თითქოს ევროპული ინტეგრაციის კურსი და თავად დამოუკიდებლობაც კი, შეცდომაა. იგივე მოსაზრებები გამოიყენება ამ ქვეყნების წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის და კრემლის მიერ მათი ტერიტორიების ოკუპაციის გასამართლებლად.

ჩეხეთის რესპუბლიკის და უნგრეთის კუთვნილება ევროპული ცივილიზაციისადმი უფრო გამოკვეთილია და ამიტომ, სწორედ ეს კუთვნილებაა რუსული პროპაგანდის სამიზნე. კრემლის მიზანი დემოკრატიული ღირებულებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტებისადმი ნდობის შერყევაა, რათა ამ ქვეყნების საზოგადოებებმა არსებული მმართველობითი სისტემის „ალტერნატივების“ ძიება დაიწყონ. ამის მისაღწევად გამოიყენება შეთქმულების თეორიები, ევროსკეპტიციზმი, ანტიამერიკანიზმი, ქსენოფობია და

ჰომოფობია. მომავალში ეს პოპულიზმის და პოლიტიკური იზოლაციონიზმის შესაძლებლობებს გააჩენს; საზოგადოება, რომელიც დემოკრატიული იდეის მიმართ ნდობას კარგავს, ღიაა „ალტერნატიული“ იდეებისთვის და სწორედ ამ დროს აღმოჩნდება კრემლი მომგებიან პოზიციაში.

### გავლენა: პოლიტიკური განზომილება

ყველა შესწავლილ ქვეყანას მეტ-ნაკლებად ძლიერი[1] პოლიტიკური პარტიები და პოლიტიკოსები ჰყავს, რომლებიც ავრცელებენ პრორუსულ და ანტიდასავლურ ლოზუნგებს და იყენებენ ნარატივს, რომელიც კრემლისტური ნარატივის მსგავსია. ეს პარტიებია მემარჯვენე „ფიდესი“ და ულტრამემარჯვენე „იობიკი“ უნგრეთში, ულტრამემარჯვენე „პატრიოტთა ალიანსი“ საქართველოში, პოპულისტური „ოპოზიციური ბლოკი“ უკრაინაში, „კომუნისტური პარტია“ და „განთიადი“ ჩეხეთის რესპუბლიკაში. ამ ქვეყნებში, პოლიტიკურ პარტიებს (როგორც წესი) მჭიდრო კავშირები აქვთ მსხვილ ბიზნესებთან და ხშირად, ამ ბიზნესების რუსეთთან ურთიერთობა განაპირობებს ამ პოლიტიკური პარტიების პრორუსულ კურსს. პოლიტიკასა და ბიზნესს შორის ურთიერთობის ეს სისტემა საფრთხეს ქმნის, რადგან კრემლს შეუძლია ბიზნესელიტების ინტერესებით მანიპულირება და შესაბამისად, პოლიტიკური ძალების პოზიციებიც შეიძლება მათი კურატორების ინტერესების შესაბამისად შეიცვალოს. კრემლის კონსერვატიული იდეოლოგია, დეზინფორმირების ძალისხმევასთან ერთად, საბაბს აძლევს პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა პარტიებს, მხარი დაუჭირონ კრემლის პოლიტიკას.

ჩეხეთის რესპუბლიკასა და უნგრეთში ეს გავლენა უმაღლესი რანგის პოლიტიკოსების (ჩეხეთის პრეზიდენტი და უნგრეთის პრემიერმინისტრი) მეშვეობითაც ხორციელდება, რომლებიც, თავიანთ განცხადებებში, ამართლებენ რუსეთის აგრესიულ ქმედებებს მსოფლიოში, ხაზს უსვამენ კრემლთან სტრატეგიულ მეგობრობას და ა.შ. ჩეხეთის რესპუბლიკაში ამ გავლენას მთავრობის შედარებით პრაგმატული და დამოუკიდებელი პოზიცია აბალანსებს; უნგრეთში ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ სხვაობაზე პრორუსულ რიტორიკასა და მთავრობის უფრო პრაგმატულ ხაზს შორის, რომელსაც სწორება აღებული აქვს საყოველთაო კონსენსუსზე სანქციებთან დაკავშირებით, მინსკის შეთანხმებებზე ევროკავშირში და ნატოში. უკრაინა გამოუცხადებელ ომშია რუსეთთან და ამიტომ, პრორუსული პოლიტიკური ძალებიც კი, პატრიოტულ რიტორიკას იყენებენ. საქართველოს ხელისუფლება სარგებლობს რუსეთთან არსებული საფრთხეებით და ნეიტრალურ პოლიტიკას ატარებს, რითიც ქვეყანაში არსებულ ანტიდასავლურ რიტორიკას უწყობს ხელს.

ადგილობრივი ხელისუფლებებიც კრემლის იდეების კომუნიკატორები არიან. აქ ამ ინსტიტუტების არა იმდენად რაოდენობაა მნიშვნელოვანი (მათი რაოდენობა არ არის ბევრი), რამდენადაც საზოგადოების საინფორმაციო გამოხმაურება მათ გადაწყვეტილებებსა და განცხადებებზე, რომლებშიც ისინი ან კრემლის საგარეო პოლიტიკას უჭერენ მხარს ან შეგნებულად არ გმობენ ამ პოლიტიკას.

### გავლენა: მედია განზომილება

კვლევა ადასტურებს მოსაზრებას, რომ რუსული მედიასაშუალებები (როგორებიცაა „სპუტნიკი“, „RT“, „NTV“, „რასია 1“, სხვა) არ თამაშობენ მნიშვნელოვან როლს მოქალაქეთა შორის კრემლისტური ნარატივების გავრცელებაში. ისინი ადგილობრივი პრორუსული მედიასაშუალებების, განსაკუთრებით, ტაბლოიდური მედიის ნარატივების წყაროებია; მათ ადგილობრივი მეინსტრიმული და ადგილობრივი მედიასაშუალებებიც იყენებენ და შესაბამისად, მოვლენების ისეთ ინტერპრეტაციას სთავაზობენ აუდიტორიას, რომელიც კრემლის პროპაგანდას შეესაბამება.

საქართველოსა და უკრაინაში რუსულენოვან რუსულ მედიას მოქალაქეები უფრო გასართობი გადაცემების სანახავად იყენებენ, ვიდრე ახალი ამბების წყაროდ. ამრიგად, აქ პრობლემას უფრო გასართობი კონტენტის (ფილმები, ტელესერიალები, შოუები, ფსევდოსამეცნიერო პროგრამები) უარყოფითი გავლენა წარმოადგენს, ვიდრე არასწორი ინფორმაცია.

ამავე დროს, ეროვნული მედია კრემლის ნარატივების სულ უფრო გავლენიანი გამავრცელებელი ხდება. შესწავლილი ქვეყნების მედიალანდშაფტის ოლიგარქიული ბუნება ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის რუსული საინფორმაციო გავლენისთვის. ამ ქვეყნების ბიზნესის და პოლიტიკური ჯგუფების არსებული ალიანსები კრემლთან (მეტ-ნაკლებად მყარი), რუსეთს შესაძლებლობას აძლევს, ზეგავლენა მოახდინოს იმ ეროვნული და ადგილობრივი მედიის სარედაქციო პოლიტიკებზე, რომლებსაც ეს ჯგუფები აკონტროლებენ. ამრიგად, კრემლის ნარატივის ნიშნები ჩანს იმ მედიასაშუალებების კონტენტში, რომლებსაც აკონტროლებენ ფიდესი-უნგრეთის ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია უნგრეთში; დ. ფირტაში და ს. კუჩენკო და სხვები უკრაინაში; ასევე, „ობიექტივი ტვ“-ში, „მაესტრო ტვ“-სა და „ასავალ-დასავალში“ საქართველოში; გარკვეული სპეციფიკური ნარატივები „ტვ პრიმაში“ ჩეხეთის რესპუბლიკაში. ვინაიდან ასეთი ნარატივები არ არის ყოველთვის ცრუ ახალი ამბების ფორმატით გადმოცემული, აშკარა მტკიცებულება იმისა, რომ ეს მედიასაშუალებები კრემლისთვის მუშაობენ, არ არსებობს; ოპერირებენ რა ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში, ეს მედიასაშუალებები სიტყვის თავისუფლებით სარგებლობენ და მათი აქტივობების შეზღუდვის დემოკრატიული საშუალებები არ არსებობს. მთავრობებს არა აქვთ პოლიტიკური ნება, წინააღმდეგობა გაუწიონ ასეთი მედიის დესტაბილიზაციურ საქმიანობას, რადგან ეს პრორუსულ ოლიგარქებთან კონფლიქტს ნიშნავს.

კრემლის ძლიერი გავლენა შეიმჩნევა ტაბლოიდურ მედიაში. მოქალაქეთა გადასვლა მეინსტრიმული მედიიდან ალტერნატიული წყაროებისკენ ინტერნეტში გავრცელებული ტენდენციაა. საეჭვო მედიის გავლენას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს რუსული პროპაგანდისტული ზეგავლენის სისტემაში.

ცალკე უნდა აღინიშნოს რუსული მედიის გავლენა უკრაინის და საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. რუსეთის ხელისუფლება ატარებს ზომებს ამ ტერიტორიების საინფორმაციო იზოლირების და მათი რუსულ მედიასივრცეში ინტეგრირებისთვის: მოქალაქეებს უზღუდავს დამოუკიდებელი მედიის ხელმისაწვდომობას და პირიქით, ადვილად ხელმისაწვდომს ხდის რუსულ ან კრემლის მიერ კონტროლირებად მედიასაშუალებებს.

### გავლენა: სამოქალაქო საზოგადოების განზომილება

სამოქალაქო ორგანიზაციები გამოიყენება კრემლის საკომუნიკაციო აქტივობების შესანიღბად. ხელოვნურად შექმნილ ამ არასამთავრობო ორგანიზაციებს ისეთი საერთო მახასიათებლები აქვთ, როგორებიცაა ორგანიზაციის ისტორიის არქონა, გაუმჭვირვალე დაფინანსება და საინფორმაციო რესურსების ხარისხი. კერძოდ, უკრაინაში სიტუაციის დესტაბილიზაცია ხდება ეგრეთ წოდებული „გონგოების“ – მთავრობის მიერ დაარსებული არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ. კიდევ ერთი ტიპის პროკრემლისტურ არასამთავრობო ორგანიზაციებს წარმოადგენს სახელოვნებო და კულტურული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციები („ტოლსტოის ასოციაცია“ უნგრეთში, „დამოუკიდებელი მედიის ასოციაცია“ ჩეხეთის რესპუბლიკაში), რომლებიც პოლიტიკის და კულტურის პროკრემლისტური წარმომადგენლებისთვის დამატებით საკომუნიკაციო პლატფორმას ქმნიან და პროკრემლისტურ ხელოვანებს ლეგიტიმაციას მატებენ საზოგადოების თვალში. აკადემიური ინსტიტუტები, რომლებიც კრემლის დისკურსს უწყობენ ხელს, ცოტაა. უფრო ზოგი პროფესორის პროკრემლისტურ პროპაგანდაზე შეიძლება საუბარი, ვიდრე აკადემიური სფე-

[1] წარმოდგენილები უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

როს მეშვეობით ინსტიტუციონალიზებულ გავლენაზე.

უკრაინასა და საქართველოში მართლმადიდებელი ეკლესია (ის ნაწილი, რომელიც მოსკოვს ექვემდებარება) კრემლისტური პროპაგანდის მძლავრ არხს წარმოადგენს. ტრადიციონალიზმი, კონსერვატიზმი და ერების ერთობის იდეა, რომლებსაც ეს პროპაგანდა იყენებს, დამახასიათებელია ამ კონფესიისთვის; ამიტომ, მას კრემლი იყენებს მისი იდეოლოგიის პოტენციური მომხრეების მობილიზებისათვის. უამრავი მაგალითი არსებობს იმისა, რომ ამ ეკლესიის სხვადასხვა იერარქიის წარმომადგენლები ანტიდასავლური გზავნილებით გამოდიან ან რუსეთის ფედერაციის აგრესიულ პოლიტიკას ამართლებენ.

ყველა შესწავლილ ქვეყანაში, ულტრამემარჯვენე და ექსტრემისტულ ორგანიზაციებს კრემლი მის სასარგებლოდ იყენებს, მაგრამ მათი ზეგავლენა უმნიშვნელოა. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიების ნაწილი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების კონტროლის ქვეშ არის, რომელთა გავლენა ამ ტერიტორიებზე ძლიერია; კერძოდ, ისინი ქმნიან საკუთარ მედიას თავიანთი მიზნებისა და იდეოლოგიის პროპაგანდირებისთვის.

#### რეაგირება: პოლიტიკური განზომილება

უკრაინა აშკარა ლიდერია რუსულ საინფორმაციო აგრესიაზე პოლიტიკური რეაგირების თვალსაზრისით. მკაფიოდ გააზრებული რუსული დეზინფორმაციის საფრთხე სტრატეგიულ დოკუმენტებშია ასახული. სახელმწიფოს მიერ მიღებული რამდენიმე ურყევი პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგად მნიშვნელოვნად შეიზღუდა უკრაინის მოქალაქეების ხელმისაწვდომობა რუსულ მედიაპროდუქტებზე. ეს გადაწყვეტილებები მოიცავს რუსული პროპაგანდისტული არხების მაუწყებლობის შეზღუდვას; პროპაგანდის ელემენტების შემცველი რუსული ფილმების აკრძალვას; იმ მსახიობების ქვეყანაში შემოშვების აკრძალვას, რომლებიც საჯაროდ უჭერენ მხარს ყირიმის ანექსიასა და კრემლის მილიტარისტულ აგრესიას; მთავრობის ქმედებებს, რომლებიც მიზნად ისახავს უკრაინული მაუწყებლობის აღდგენას ფრონტისპირა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე; რუსეთში გამოცემული წიგნების იმპორტის შეზღუდვას და სხვა. შეიქმნა დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მაუწყებელი, რომელიც ოლიგარქიული მედიის უკეთესი ალტერნატივაა. თუმცა, პრობლემები არსებობს საინფორმაციო უსაფრთხოების სახელმწიფო მართვაში: ინსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა (სპეციალიზებული სამინისტროს შექმნა) ვერ შეამცირა ამ სფეროში ხელისუფლების შტოებში არსებუ-



ლი ქაოსი და ვერ შეუწყო ხელი ქმედებების სათანადოდ კოორდინირებას.

სხვა შესწავლილ ქვეყნებში პოლიტიკური რეაგირება მმართველი ელიტების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული. უნგრეთის ხელისუფლების პრორუსული ორიენტაციის გამო ამ სფეროში გადაწყვეტილებები არ არის მიღებული. არსებული რეალობის ზეწოლის შედეგად, საქართველოს მთავრობამ რუსეთის საინფორმაციო გავლენა საფრთხედ განსაზღვრა, მაგრამ სათანადო პოლიტიკური ნების არქონის გამო შეიძლება ბევრი დრო დაიკარგოს უსაფრთხოების გასაუმჯობესებლად დეკლარირებიდან რეალურ ქმედებებზე გადასვლაში. ჩეხეთის მთავრობა უფრო აქტიურია ამ სფეროში; კერძოდ, უკვე შეიქმნა სპეციალიზებული სამთავრობო სტრუქტურა, რომლის მოვალეობაც ქვეყანაში პროპაგანდასთან ბრძოლაა და დამტკიცდა საერთო სამთავრობო მიდგომა.

ყველა შესწავლილი ქვეყანა აღნიშნავს მათი ხელისუფლებების არასაკმარის უნარს, განახორციელონ სტრატეგიული კომუნიკაცია, ასევე პოლიტიკურ დღის წესრიგში მოქალაქეთა მედიაწიგნიერების საკითხის არარსებობას (მხოლოდ უკრაინას და ჩეხეთის რესპუბლიკას აქვს ამ სფეროში მიღებული გადაწყვეტილებები, მაგრამ ისინი არ არის საკმარისი).

### რეაგირება: მედია განზომილება

ჟურნალისტებისა და რედაქტორების უუნარობა, წინააღმდეგობა გაუწიონ მფლობელთა მხრიდან ცენზურას, ერთ-ერთი მთავარი საფრთხეა, რომელიც ასუსტებს შესწავლილი ქვეყნების მედიების შესაძლებლობას, წინ აღუდგნენ რუსულ საინფორმაციო აგრესიას. ეს იმ მედიასაშუალებებს ეხება, რომლებსაც პრორუსული ბიზნესმენები და პოლიტიკური ჯგუფები აკონტროლებენ და კრემლისთვის ხელსაყრელი ნარატივების პროპაგანდისთვის იყენებენ. ჟურნალისტური თავისუფლების დაცვის არსებული მექანიზმები და თვითრეგულირება უკიდურესად არასაკმარისი ჩანს იმისთვის, რომ ჟურნალისტებს ჰქონდეთ თავისუფლება, მოამზადონ ობიექტური და მიუკერძოებელი კონტენტი, რომელიც არ იქნება მფლობელთა ინტერესებზე დამოკიდებული.

ჟურნალისტთა არასაკმარისი პროფესიონალიზმი, უუნარობა ამოიცნონ ცრუ ინფორმაცია და მანიპულაცია ასევე უწყობს ხელს კრემლის გეგმების განხორციელებას საინფორმაციო სფეროში. ადგილობრივი მედია, ჩვეულებრივ, უფრო ხშირად იყენებს არასანდო წყაროებს, სოციალურ ქსელებს და სხვა მსგავს საშუალებებს და მის წარმომადგენლებს ნაკლებად მიუწვდებათ ხელი ტრენინგებსა და დამატებით განათლებაზე, ვიდრე მათ კოლეგებს ეროვნული მასშტაბის მედიასაშუალებებიდან.

ამავე დროს, დეზინფორმაციის და პროპაგანდის თემა სულ უფრო პოპულარული ხდება ჟურნალისტებს შორის და მედიაც მას სულ უფრო მეტად აშუქებს. ბუნებრივია, ეს ყველაზე აქტიურად უკრაინაში ხდება, სადაც დეზინფორმაციის თემაზე უკვე ბევრი ფილმი, საგაზეთო სტატია და პროგრამა მომზადდა; ეს თემა განიხილება ტელევიზიების საინფორმაციო პროგრამებსა და ტოქშოუებში. სხვა შესწავლილ ქვეყნებში ჟურნალისტები აშუქებენ კრემლის პროპაგანდის საკითხს, მაგრამ ის ჯერ კიდევ არ არის ინტენსიური გაშუქების საგანი.

### რეაგირება: სამოქალაქო საზოგადოების განზომილება

ყველა შესწავლილ ქვეყანას აქვს სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი პოტენციალი რუსეთის საინფორმაციო აგრესიასთან ბრძოლისთვის. 2015-2017 წლებში, ძლიერმა ადგილობრივმა ანალიტიკურმა ცენტრებმა, კვლევითმა და მონიტორინგის ორგანიზაციებმა თავიანთი საქმიანობა გააერთიანეს ამ სფეროში. ბუნებრივია, ყველაზე მეტი გამოცდილება და ბევრი მიდგომა უკრაინაში შეიქმნა; ჯერ კიდევ 2015 წელს, უკრაინულ არასამთავრობო ორგანიზაციებს შემუშავებული ჰქონდათ მეთოდები დეზინფორმაციის მონიტორინგისთვის, პროპაგანდული დისკურსის და ნარატივების ანალიზისთვის, ასევე, მიდგომები ქვეყანაში რუსული დეზინფორმაციის გავლენის შეფასებისთვის. გროვდება სტატისტიკისა და მონიტორინგის მონაცემები, რომლებიც კრემლის პროპაგანდისტულ ძალისხმევას და მათზე საზოგადოების რეაგირებას ასახავს. მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული ჟურნალისტებსა და უსაფრთხოების, სოციოლოგიურ და კონფლიქტოლოგიურ ცენტრებს შორის; ისინი თანამშრომლობენ მედიასთან და ეხმარებიან ხელისუფლებას.

საქართველოს, უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკის სამოქალაქო საზოგადოებებში რუსულ საინფორმაციო გავლენასთან ბრძოლა ჯერ არ გამხდარა ძალიან პოპულარული თემა, მაგრამ არსებობს ძლიერი ჯგუფები, რომლებიც სისტემატურად მუშაობენ ამ სფეროში. ასეთი ჯგუფები ბევრი არ არის, მაგრამ ისინი აგროვებენ ინფორმაციას რუსული გავლენის სტრატეგიაზე, მონიტორინგს ახორციელებენ დეზინფორმაციაზე, სწავლობენ გავლენის შიდა აგენტების საქმიანობებს, ადგენენ მათ კავშირებს კრემლთან. საქართველოსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში ეს ინსტიტუტები აქტიურად უწევენ კონსულტაციებს ხელისუფლებას სტრატეგიული კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების გაძლიერების საკითხებზე; უნგრეთის მთავრობა ამჟამად არ არის ღია ასეთი თანამშრომლობისთვის. უნგრელ და ჩეხ ანალიტიკურ ცენტრებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამ საკითხებზე მსჯელობაში ევროკავშირის დონეზე.

მოქალაქეთა მედიაწიგნიერება სამოქალაქო საზოგადოების მუდმივი მსჯელობის საგანია, მაგრამ ამ სფეროში ძალზე მცირე სამუშაოა არასამთავრობოების მიერ ჩატარებული. თითოეულ შესწავლილ ქვეყანაში არის ორგანიზაციები, რომლებიც მეტ-ნაკლებად სისტემატურად არიან მოქალაქეთა მედიაგანათლებაში ჩართული, თუმცა მათი გავლენა უმნიშვნელოა, განსაკუთრებით რესურსების ნაკლებობის გამო.

შესწავლილ ქვეყნებში არასამთავრობო ორგანიზაციები, ჩვეულებრივ, საკმაოდ მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ასევე მედიასთან საინფორმაციო აგრესიასთან ბრძოლის სფეროში. არასამთავრობოებმა უფრო აქტიურად დაიწყეს მუშაობა ჟურნალისტებთან, უტარებენ მათ ტრენინგებს მანიპულაციებთან გამკლავების, ფაქტების გადამოწმების და სხვა საკითხებზე. თანამშრომლობა არასამთავრობოებსა და ხელისუფლებას შორის უნგრეთში პრაქტიკულად არ არსებობს; სხვა ქვეყნებში კი, ასეთი თანამშრომლობა საკმაოდ აქტიურია: ხელისუფლებები ანალიტიკურ ცენტრებს კვლევისა და რჩევებისთვის მიმართავენ. მთავრობებსა და მედიას შორის თანამშრომლობა, როგორც წესი, რთულია ამ ქვეყნებში; ასევე, საკმაოდ იშვიათია სხვადასხვა მედიას შორის თანამშრომლობა პროპაგანდასთან ბრძოლის სფეროში.



# მეთოდოლოგიის მოკლე აღწერა

კრემლის საინფორმაციო გავლენას, ერთი მხრივ, მისი შესაძლებლობები და რესურსები, მეორე მხრივ კი დემოკრატიული საზოგადოებების შიდა მდგრადობა და პროპაგანდის წინააღმდეგ მათი ბრძოლა განსაზღვრავს. შესაბამისად, ინდექსი ორ ბლოკს მოიცავს:

## გავლენის ბლოკი

**გავლენის ბლოკი** ქვეყნის საინფორმაციო სივრცეში კრემლის მიერ მართული ნარატივების შეღწევადობას და იმ საინფორმაციო რესურსების ხელმისაწვდომობას აღწერს, რომლებიც კონკრეტულ ქვეყანაში კრემლის მიზნების მისაღწევად გამოიყენება.

## რეაგირების ბლოკი

**რეაგირების ბლოკი** რუსეთის ნეგატიური ინფორმაციული გავლენის ესკალაციაზე საზოგადოების შიდა წინააღმდეგობას; ნეგატიურ შედეგებზე დროული და ეფექტიანი რეაგირების უნარს; კრემლის ინფორმაციულ ოპერაციებთან ბრძოლის პრაქტიკების არსებობას აღწერს.

**გავლენის, ისევე, როგორც რეაგირების ბლოკი, სამი განზომილებით იზომება:**

1 პოლიტიკური: დაკვირვების ქვეშ მყოფი ქვეყნების პოლიტიკური სუბიექტები და ინსტიტუტები;

2 მედია (დაკვირვების ქვეშ მყოფი ქვეყნების მედია, როგორც რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებული, ასევე ნაციონალური/ადგილობრივი მედია გამოცემები);

3 სამოქალაქო საზოგადოება.

**ინდექსის გასაზომად შემუშავდა კითხვარი, რომელიც 33 კითხვას მოიცავს. თითოეული კითხვა ფასდება 0-4 ქულიანი სკალით. დაჯამებული ქულები ქმნის ერთიან მონაცემს, რომელიც თითოეულ განზომილებაში კრემლის შესაძლებლობებს ასახავს.**

### როგორ ითვლება ინდექსი?

კვლევაში ჩართულ თითოეულ ქვეყანაში არსებობს მკვლევართა ჯგუფი, რომელიც დოკუმენტურ კვლევას ახორციელებს, უკავშირდება ექსპერტებს, ატარებს ღონისძიებებს და ამზადებს ანგარიშს. მკვლევართა ჯგუფი ნაციონალური კრემლის გავლენის ინდექსის (KII) კვლევის ჩატარებისთვის კითხვარს ამუშავებს: კითხვების ფორმულირებებში შესაძლებელია მცირე შესწორებების შეტანა, თუ ამას ქვეყნის თავისებურებები მოითხოვს.

თითოეულ ქვეყანაში იქმნება ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც KII-ის გაზომვაში იღებს მონაწილეობას. აუცილებელია, რომ აღნიშნული ექსპერტები ეროვნულ დონეზე იყვნენ აღიარებულნი, ამ თემაზე წამყვან ექსპერტებს წარმოადგენდნენ და თავიანთ სფეროში სულ მცირე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუშაობის გამოცდილება ჰქონდეთ. ექსპერტთა მინიმალური რაოდენობა 8, ხოლო მაქსიმალური – 20-ია (რაოდენობა, შესაძლოა, ქვეყნების მიხედვით განსხვავებული იყოს). ექსპერტთა შორის უნდა იყვნენ (შესაძლოა, ითავსებდნენ ექსპერტიზის სხვადასხვა სფეროს):

- მედიისა და მედიის განვითარების საკითხების ექსპერტები (მინიმუმ 3);
- ექსპერტები, რომლებიც ატარებენ ეროვნული და ადგილობრივი მედია საშუალებების (ტვ, რადიო, ბეჭდური, ონლაინ) მონიტორინგს მანიპულაციების, სიძულვილის ენის, ბალანსისა და ნეიტრალურობის საკითხებზე (მინიმუმ 3);
- ექსპერტები, რომლებიც აკვირდებიან საპარლამენტო ფრაქციებისა და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების აქტივობებს (აქვთ ინფორმაცია მათი საკომუნიკაციო აქტივობების შესახებ) (მინიმუმ 2);
- ექსპერტები, რომლებიც რუსეთის დეზინფორმაციულ აქტივობებს, მათ მეთოდებს, ნარატივებსა და მათი მარიონეტების მონიტორინგს ახორციელებენ (მინიმუმ 3);
- ექსპერტები, რომლებიც ჩართულნი არიან სახელმწიფო უწყებების აქტივობებში (გადაწყვეტილების მიღების პროცესში კონსულტაციები, კანონპროექტებისა და რეგულაციების შემუშავების პროცესში მონაწილეობა) ან ამონიტორინგებენ/აფასებენ სახელმწიფო პოლიტიკას საინფორმაციო უსაფრთხოების, მედია პოლიტიკის, გამოხატვის თავისუფლებისა და სტრატეგიული კომუნიკაციების მიმართულებით (მინიმუმ 3);
- ექსპერტები, რომლებიც ამონიტორინგებენ ქვეყანაში რელიგიური მოძრაობებისა და ეკლესიების საკომუნიკაციო აქტივობებს (მინიმუმ 1).

ექსპერტებმა პასუხი უნდა გასცენ კითხვარს და დაწერონ ქულები. შეფასებების დაწერის შემდეგ ხდება ქულების განსახილველად ექსპერტების შეხვედრაზე მოწვევა. დისკუსიის საბოლოო შედეგი **ცალკეულ კითხვაზე** საშუალო ქულას წარმოადგენს, რაც ექსპერტთა ინდივიდუალური მოსაზრებების ერთობლიობით ითვლება. დისკუსიის პროცესში კონსენსუსის მიღწევა სავალდებულო არ არის.

ინდექსის 6 ბლოკში თითოეულ შეკითხვაზე ქულები ჯამდება. საბოლოო ინდექსი ბლოკების ქვე-ინდექსების შედეგებზე დაყრდნობით ითვლება. ■

დედაქალაქი:

თბილისი

პოლიტიკური სისტემა:

საპრეზიდენტო რესპუბლიკა

მოსახლეობა:

3,7 მლნ



# საქართველო

**მშპ ერთ სულ მოსახლეზე:**

3,67 ათასი USD

**ურბანიზაცია:**

57% ქალაქი
43% სოფელი

**ეთნიკური შემადგენლობა:**

86,8% ქართველი
6,3% აზერბაიჯანელი
4,5% სომეხი
2% სხვა





ზოგადი ინდექსი

54




კონტექსტი

# 1

## 1.1. პოლიტიკური მოვლენები

Freedom House-ის 2017 წლის ანგარიშის[1] მიხედვით, საქართველო, უკრაინისა და მოლდოვის მსგავსად, „გარდამავალი მთავრობის ან ჰიბრიდული რეჟიმის“ ქვეყნების ჯგუფში რჩება. 2017 წელს საქართველოს დემოკრატიული განვითარების მაჩვენებელი (4.61), წინა წელთან შედარებით, არ შეცვლილა, თუმცა ამ მონაცემის ეტაპობრივი გაუმჯობესება 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების[2] შემდეგ შეინიშნებოდა, როდესაც მიხეილ სააკაშვილის ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მთავრობა მილიარდერი ბიძინა ივანიშვილის „ქართული ოცნების“ კოალიციასთან დამარცხდა და პირველად, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ, ძალაუფლების დემოკრატიული გადაცემა მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ არჩევნებიდან მალევე ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დატოვა, მის არაფორმალურ გავლენას საქართველოს მთავრობასა და სასამართლო ხელისუფლებაზე ადგილობრივი და საერთაშორისო აქტორები ამ მმართველობის არადემოკრატიული ხასიათის გამო აკრიტიკებენ.[3] პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, რომელიც 2013 წელს ხმათა 62%-ით იქნა არჩეული, ძლიერ პროდასავლურ პოზიციას ინარჩუნებს. თუმცა, 2013 წელს ამოქმედებული საკონსტიტუციო ცვლილებებით, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე პრეზიდენტის უფლებები თითქმის სრულად შეიზღუდა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება ევროკავშირსა და NATO-ში გაწევრიანების მიმართ ერთგულებას აცხადებს, ყოფილი მმართველი ქართული ოცნების კოალიციის (2012-2016) ცალკეული წევრების წინააღმდეგობრივმა

[1] Freedom House, Nations in Transit, 2017, p. 24; https://freedomhouse.org/sites/default/files/NIT2017_booklet_FINAL_0.pdf.

[2] Freedom House. Nations in Transit 2017, 2012: 4.82; 2013: 4.75; 2014: 4.68; 2015: 4.64. https://freedomhouse.org/report/nations-transit/2017/georgia, ბოლოს ნანახია 2017 წლის 19 აპრილს.

[3] U.S. Department of State, Country Reports on Human Rights Practices for 2016, https://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm?year=2016&dlid=265422#wrapper, ბოლოს ნანახია 2017 წლის 19 აპრილს.

გზავნილებმა ქვეყნის პროდასავლური ორიენტაციის თაობაზე მოსახლეობაში ბუნდოვანება გააჩინა. ახალგაზრდებს შორის ჩატარებული კვლევის თანახმად, ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენელთა გზავნილები ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე თანმიმდევრული რესპონდენტთა მხოლოდ 10.6%-ს მიაჩნია, ხოლო 40.2% ფიქრობს, რომ ხელისუფლების სხვადასხვა წარმომადგენლები ურთიერთგამომრიცხავ განცხადებებს აკეთებდნენ.[4] 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად მემარცხენე ცენტრისტულმა ქართულმა ოცნებამ ძალაუფლება შეინარჩუნა და საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა. მმართველი პარტია დეკლარირებულად პროდასავლური ორიენტაციისაა, მაგრამ, ამავე დროს, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების მომხრეა. ფრაქცია „ქართული ოცნება – მრეწველები“ (პოლიტიკური პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“), რომლის ლიდერი გოგი თოფაძე, 2016 წლის არჩევნებამდე, ყველაზე მწვავედ აკრიტიკებდა საქართველოს NATO-ში გაწევრიანებას, სირიაში რუსეთის ქმედებებს ამართლებდა და რუსეთთან მოლაპარაკებების უპირატესობებზე საუბრობდა,[5] კვლავ საპარლამენტო უმრავლესობის ფრაქციებს შორისაა. ორმა გამოკვეთილად პროდასავლურმა პარტიამ – თავისუფალმა დემოკრატებმა და რესპუბლიკურმა პარტიამ, რომლებიც ქართული ოცნების მმართველი კოალიციის ყოფილი წევრები არიან, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს. მთავარმა ოპოზიციურმა ძალამ, მემარჯვენე ცენტრისტულმა პროდასავლურმა ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 27 მანდატი მოიპოვა; თუმცა ეს სიდიდით მეორე საპარლამენტო პარტია არჩევნების დასრულებიდან მალევე გაიყო და შედეგად ორი დამოუკიდებელი პარტია გაჩნდა – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ფრაქცია ერთიანი ნაციონალური მოძრაობა) და მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველო, რომელიც სამი ფრაქციითაა პარლამენტში წარმოდგენილი. მემარჯვენე პოპულისტურმა პარტიამ, საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში 5.01%-იანი მხარდაჭერა პირველად მოიპოვა. საქართველოს პატრიოტთა ალიანსი თავს მემარჯვენე-კონსერვატიული იდეოლოგიის მიმდევრად აცხადებს და ანტილიბერალურ, ეთნონაციონალისტურ ჯგუფებთან ასოცირდება, რომლებიც იდენტობის და ინდივიდუალური თავისუფლებების ღირებულებითი მოსაზრებების თვალსაზრისით, ანტიდასავლური მიდგომებით გამოირჩევიან. საკუთარ ინგლისურენოვან ვებგვერდზე,[6] პატრიოტთა ალიანსს ევროკავშირთან ინტეგრაციის სურვილი აქვს გაცხადებული, თუმცა სკეპტიციზმს გამოხატავს საქართველოს NATO-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. ეს პოლიტიკური პარტია ტვ ობიექტივთან არის დაკავშირებული და ამ მედიასაშუალების მსგავსად, ცნობილია თურქოფობიითა და ჰომოფობიით[7] ანტიდასავლურ კონტექსტში.[8] ღიად კრემლისტური პარტიები ნაკლებად წარმატებული აღმოჩნდნენ საპარლამენტო არჩევნებზე: პარტიამ „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“, რომლის ლიდერიც პარლამენტის ყოფილი სპიკერი ნინო ბურჯანაძეა, 5%-იანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა და 2016 წლის არჩევნებში მხოლოდ ერთი ადგილი მიიღო აჭარის უზენაეს საბჭოში. წინასაარჩევნო პერიოდში „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო“ ქვეყნის უბლოკო და ნეიტრალური სტატუსის ინიციატივით გამოვიდა.

## 1.2. მედია გარემო

2017 წელს, IREX-ის „მედიის მდგრადობის ინდექსში“ ქვეყნის საერთო მაჩვენებელი ოდნავ გაუარესდა – 2.42-დან 2.34-მდე, რაც პლურალიზმის მომავალთან და ხელისუფლების მიმართ ლოიალური მედიაორგანიზაციების საკუთრების კონცენტრირებასთან დაკავშირებით შეშფოთებას ასახავს.[9] 2016 წლის პრესის თავისუფლების ინდექსში საქართველო 65 ადგილზეა, რაც 5%-იანი გამჯობესებაა 2015 წელთან შედარებით. IREX-ის მსგავსად, „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“ შეშფოთების მთავარ წყაროდ მთავარი სატელევიზიო არხების საკუთრებისთვის ბრძოლა და პლურალიზმის მომავალი მიიჩნია.[10] პოლიტიკური დღის წესრიგები კვლავ ძლიერ გავლენას ახდენს მედიაზე. მედიის საკუთრების გადანაწილების მცდელობები უფრო მკაფიოდ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ გამოჩნდა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საკუთრების უფლება აღედგინა ყველაზე პოპულარული და ხელისუფლების მიმართ კრიტიკულ სატელევიზიო არხის – რუსთავი 2-ის ყოფილი თანამფლობელებისთვის, მწვავედ გააკრიტიკეს საერთაშორისო უფლებადამცველთა ჯგუფებმა – Amnesty International-მა (AI)[11] და Human Rights Watch-მა (HRW)[12], რადგან ის ხელისუფლებისთვის სასურველ ცვლილებად იქნა აღქმული, რომელიც მნიშვნელოვნად შეუზღუდავდა ხალხს ოპოზიციური მოსაზრებების ხელმისაწვდომობას. მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამონაკლის შემთხვევებში მიღებულმა დროებითმა ზომამ შეაჩერა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ რუსთავი 2-თან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება. 2017 წლის 3 მარტს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს მთავრობას, შეეჩერებინა უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება და თავი შეეკავებინა მომჩივანი კომპანიის სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისგან. სხვა სამი მსხვილი ტელეკომპანიის – იმედის, მაესტრო ტვ-სა და ჯიდიესის შერწყმა 2016 წელს, რომლებიც ხელისუფლებისადმი ლოიალურ სარედაქციო პოლიტიკას ატარებენ, საქართველოს მედიაბაზარზე საკუთრების კონსოლიდაციად არის მიჩნეული.[13] გარდა ამისა, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის გენერალური დირექტორის ჩანაცვლებამ „ჯიდიესის“, ანუ ყოფილი პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის ოჯახის კუთვნილი ტელევიზიის, ყოფილი პროდიუსერით უფლებადამცველ ორგანიზაციებს ეჭვები გაუჩინა ამ გადაწყვეტილების პოლიტიკური მოტივაციის შესახებ.[14] ტვ კავშირი ობიექტივი, რომელიც მემარჯვენე პოპულისტურ პარტიასთან, საქართველოს პატრიოტთა ალიანსთან აფილირდება, რეიტინგული სატელევიზიო არხი არ არის, მაგრამ ყველაზე მაღალშემოსავლიან 8 მაუწყებელს შორის ერთადერთია, რომელმაც 2016

[4] მედიის განვითარების ფონდი, ახალგაზრდების დამოკიდებულება ევროინტეგრაციის პროცესისადმი, კვლევის ანგარიში 2015; http://mdfgeorgia.ge/uploads/library/27/file/eng/Research-Publication-ENG.pdf.

[5] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2017; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/65/.

[6] http://patriots.ge, ბოლოს ნანახია 2017 წლის 12 აპრილს.

[7] მედიის განვითარების ფონდი, სიძულვილის ენა, 2016; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/55

[8] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2017; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/65/.

[9] IREX, მედიის მდგრადობის ინდექსი, 2017; https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2017-georgia.pdf

[10] რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე, საქართველო 2016; https://rsf.org/en/georgia; ბოლოს ნანახია 2017 წლის 19 აპრილს.

[11] Amnesty International, Georgia: TV Channel Ownership Dispute Threatens Media Freedom in Georgia, 7 March 2017, https://www.amnesty.org/en/documents/eur56/5833/2017/en/

[12] Human Rights Watch (HRW), Georgia: Media Freedom at Risk. 7 March 2017, https://www.hrw.org/news/2017/03/07/georgia-media-freedom-risk; ბოლოს ნანახია 2017 წლის 12 აპრილს.

[13] IREX, მედიის მდგრადობის ინდექსი, 2017; https://www.irex.org/sites/default/files/pdf/media-sustainability-index-europe-eurasia-2017-georgia.pdf

[14] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, ვასილ მაღლაფერიძის არჩევა საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკური ზეგავლენის გაძლიერებაზე მიუთითებს, 11 იანვარი 2017; http://www.transparency.ge/en/post/general-announcement/election-vasil-maghlaperidze-points-increasing-political-influence-public- ბოლოს ნანახია 2017 წლის 12 აპრილს.

წლის შემოსავლების უდიდესი წილი შემოწირულობების სახით მიიღო (38.3%).[15] პოლიტიკური დღის წესრიგის გარდა, ტვ ობიექტივი სიძულვილის ენითა და ანტიდასავლური განწყობებით გამოირჩევა. ევროპის საბჭოს კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI) ქვეყნის ანტიდისკრიმინაციულ პოლიტიკასთან შეუსაბამოდ მიიჩნია ის, რომ საქართველოს მთავრობამ, 2015 წელს, ინფორმაციის და რეკლამების გავრცელებაზე მომსახურების კონტრაქტები გაუფორმა ტვ ობიექტივსა და სხვა ბეჭდურ ტაბლოიდურ მედიასაშუალებებს, რომლებიც სიძულვილს და შეუწყნარებლობას აღვივებდნენ.[16] ეს პრაქტიკა 2016 და 2017 წლებშიც გაგრძელდა, როდესაც ზოგმა სამინისტრომ და სხვა ქვემდებარე უწყებამ ინფორმაციის გავრცელებაზე მომსახურების კონტრაქტები ისეთ მედიასაშუალებებს გაუფორმეს, რომლებსაც ღიად კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკა აქვთ (ონლაინ გამოცემები „თბილისი 24“, „ნიუსპრესი“).[17] აშშ-ის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ 2016 წელს ჩატარებული კვლევების თანახმად, რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი (89%) ინფორმაციას საქართველოს პოლიტიკისა და მიმდინარე მოვლენების შესახებ ტელევიზიიდან იღებს; ინტერნეტით ინფორმაციას რესპონდენტთა 36% ეცნობა, ბეჭდური მედით – 12%, ხოლო რადიოთი – 2%.[18] აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ბოლოდროინდელმა კვლევამ[19] აჩვენა, რომ რესპონდენტთა 93% ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ ქართული ტელევიზიებიდან ღებულობს და მათი უმრავლესობა (84%) ამ არხებს ენდობა; იმ 21%-დან, ვინც ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ ქართული ონლაინ საინფორმაციო სააგენტოებიდან იღებს, მხოლოდ 6% ენდობა მათ; Facebook-დან ინფორმაციის მიმღებთა 13%-დან მხოლოდ 3% ენდობა ამ სოციალური ქსელით გავრცელებულ საერთაშორისო ამბებს; 6%-დან მხოლოდ 1% ენდობა ბეჭდური მედიით გავრცელებულ ინფორმაციას.

## 1.3. სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც 2004 წელს ამოქმედდა, გამოხატვისა და მედიის თავისუფლების დაცვის მნიშვნელოვან მექანიზმებს შეიცავს.[20] გამჭვირვალობის მოთხოვნები მხოლოდ სამაუწყებლო მედიაზე ვრცელდება: მაუწყებლობის შესახებ კანონში 2011 წელს შეტანილი ცვლილებებით აიკრძალა ოფშორული კომპანიების მიერ სამაუწყებლო ლიცენზიის ან ავტორიზაციის ფლობა; მაუწყებლები ვალდებული არიან, გაამჟღავნონ თავიანთი ბენეფიციარი მფლობელები. ფინანსური გამჭვირვალობის დამატებითი მოთხოვნები კანონში 2013 წლის ცვლილებებით იქნა შეტანილი, რომლებიც მაუწყებლებს ავალდებულებს კვარტალური ანგარიშების წარდგენას დაფინანსების წყაროების შესახებ, მათ შორის შემოსავლების კლასიფიცირებას რეკლამის, სპონსორობის, ტელემარკეტინგის შემოსავლებისა და მფლობელთა ან სხვა პირთა შემოწირულობების მიხედვით. მაუწყებლობის შესახებ კანონი შინაარსთან დაკავშირებულ მოთხოვნებსაც უწესებს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს (სსმ) და ავალდებულებს მას, გადასცეს პროგრამები, რომლებიც პოპულარიზაციას უწევს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად კურსს, მათ შორის, ევროკავშირსა და NATO-ში ინტეგრაციას.[21] გარდა ამისა, კანონმდებლობა სსმ-ს ავალდებულებს საათში მინიმუმ 10 წამი უფასო სარეკლამო დროის გამოყოფას სოციალური რეკლამებისთვის, რომლებიც საქართველოს NATO-სა და ევროკავშირში ინტეგრაციას ეხება.[22] საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანის ინიციატივა წამოაყენა, რაც შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებს ისეთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ რეკლამაზე, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის შესუსტებისკენ და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის ლეგიტიმიზაციისკენ არის მიმართული. ეს ინიციატივა მას შემდეგ გაჩნდა, რაც წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში სსმ-ის პირველი არხით კრემლისტური პარტიის, ცენტრისტების, რეკლამა გადაიცა, რომელშიც ეს პარტია ამომრჩევლებს „რუსული პენსიების“ დარიგებას და საქართველოში რუსული სამხედრო ბაზების „ლეგალიზებას“ ჰპირდებოდა. 2017 წლის 13 აპრილს, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ახალი დოკუმენტი „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის“.[23] წინა სტრატეგიისგან განსხვავებით, რომელიც 2013 წელს იქნა მიღებული და მხოლოდ ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებს ეხებოდა, ახალ პოლიტიკურ დოკუმენტში პირველად არის ნახსენები გრძელვადიანი საინფორმაციო ომის საფრთხეები, რომლებიც საქართველოს და სხვა პარტნიორებს რუსეთის ფედერაციიდან ემუქრება. 2017 წლის 13 იანვარს, საქართელოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია,[24] სადაც რუსეთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული კიბერშეტევები და კიბერდანაშაული საქართველოს ერთ-ერთ უმთავრეს საფრთხედ არის დასახელებული. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ასეთი ქმედებებით რუსეთი ევროატლანტიკურ ოჯახში საქართველოს ინტეგრაციის ხელის შეშლას ისახავს მიზნად.

---

[15] მედიის განვითარების ფონდი, მედიის ფინანსური გამჭვირვალობა, 2016; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/63.

[16] ECRI, ECRI Report on Georgia, fifth monitoring cycle. Adopted on 8 December 2015, published on 1 March 2016, p. 15-16, http://www.coe.int/t/dghl/monitoring/ecri/Country-by-country/Georgia/GEO-CbC-V-2016-002-ENG.pdf; ბოლოს ნანახია 2017 წლის 19 აპრილს.

[17] მედიის განვითარების ფონდი, მედიის ფინანსური გამჭვირვალობა, 2016; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/63; მედიის განვითარების ფონდი, რეკლამის და ინფორმაციის გავრცელების მიზნით მედიაში საბიუჯეტო რესურსების განაწილების პრაქტიკა, 2016; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/31.

[18] National Democratic Institute (NDI) and CRRC Georgia, Public attitudes in Georgia, ივნისი 2016. https://www.ndi.org/sites/default/files/NDI_June_2016%20poll_Public%20Issues_ENG_VFF%20%281%29.pdf

[19] Baltic Surveys/The Gallup Organization on behalf of International Republican Institute (IRI), Survey on Public Opinion Poll in Georgia, February 20 - March 8, 2017, p. 75-76. http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

[20] Article XIX. Guide to the Law of Georgia on Freedom of Speech and Expression, 2005. https://www.article19.org/data/files/pdfs/analysis/georgia-foe-guide-april-2005.pdf

[21] საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია, 2012 წლის 26 დეკემბერი, მუხლი 16, პარაგრაფი „ნ“;Commission.http://www.gncc.ge/uploads/other/1/1252.pdf

[22] იქვე, მუხლი 65, პარაგრაფი 2.

[23] სახელმწიფო მინისტრის აპარატი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგია 2017-2020 წლებისთვის; 2017 წლის 13 აპრილი;http://bit.ly/2o8R4t6.

[24] საქართველოს მთავრობა, საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგია, 2017 წლის 13 იანვარი; http://gov.ge/files/469_59439_212523_14.pdf

# 2 კრემლის საინფორმაციო ზემოქმედების სტრატეგია

რუსეთის ფედერაციის მიზანია პოსტსაბჭოთა სივრცეში სატელიტი სახელმწიფოები ჰყავდეს, რომლებიც დანარჩენ მსოფლიოსთან გარკვეული ბუფერის როლს შეასრულებენ.[25] რუსეთის უსაფრთხოების ეროვნულ სტრატეგიაში (შემდგომში, რუსეთის უსაფრთხოების სტრატეგია), რომელიც 2015 წლის 31 დეკემბერს განახლდა,[26] დასავლეთი ევრაზიის რეგიონში დაძაბულობის ერთ-ერთ წყაროდ არის დასახელებული. აღნიშნულ დოკუმენტში დასავლური ქვეყნების, საერთაშორისო ინსტიტუტების, არასამთავრობო და სხვა ორგანიზაციების ქმედებები რუსეთის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებად განიხილება და მასში „ფერადი რევოლუციების" წახალისების საფრთხეზეა საუბარი. რუსეთის 2015 წლის უსაფრთხოების სტრატეგიაში ასევე საუბარია დსთ-ის წევრ ქვეყნებსა და მოსაზღვრე რეგიონებში საერთო საინფორმაციო ტელესაკომუნიკაციო მედიის შექმნაზე, როგორც აუცილებლობაზე რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების დასაცავად. პოსტსაბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით, რუსული პროპაგანდა საქართველოში კომპლექსური ხასიათისაა. რუსულ პროპაგანდისტულ პლატფორმებთან ერთად რუსული პროპაგანდის ქსელი მოიცავს ასევე ქართულენოვან ტაბლოიდურ მედიასაშუალებებს, პოლიტიკურ პარტიებს, მართლმადიდებელ სასულიერო პირებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და ეგრეთ წოდებულ საბჭოთა ინტელიგენციას, რომელიც კვლავ სერიოზულ გავლენას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე. აშშ-ის საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის[27] თანახმად, რესპონდენტთა 93% ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ ქართული ტელეარხებიდან იღებს და მათი უმრავლესობა (84%) ენდობა მათ. ამავე კვლევის შედეგებით, იმ რესპონდენტთა წილი, რომლებიც ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ რუსული ტელეარხებიდან იღებენ 2%-ით შემცირდა 2015 წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით: 2015 წელს ინფორმაციას საერთაშორისო მოვლენების შესახებ რუსული ტელეარხებიდან რესპონდენტთა 9% და რუსული ვებ-გვერდებიდან 2% იღებდა,[28] 2017 წელს კი ეს მონაცემები, შესაბამისად, 7% და 1%-მდე შემცირდა.[29] ნილსენის სატელევიზიო აუდიტორიის კვლევის ოფიციალური ლიცენზიატის, TV MR GE-ის 2016 წლის იანვარი-აგვისტოს მონაცემებით,[30] საქართველოს ტელემაყურებლების, საშუალოდ, 82.66% ქართულ არხებს უყურებს, ხოლო 11.41% — რუსულ ან სხვა უცხოურ არხებს. TV MR-ის მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ საქართველოს ტელემაყურებლები, რომლებსაც რუსული არხები აინტერესებთ, უმეტესად გასართობ ან სამეცნიერო არხებს უყურებენ (Перец ТВ, Боец ТВ, Наука, Кухня ТВ, სხვა). მაშინ, როდესაც რუსული მედიის გავლენა უფრო მკაფიო და თვალსაჩინო უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებშია, სადაც ქართული ენის არცოდნა პრობლემად რჩება, ქვეყნის სხვა ნაწილებში სურათი ბუნდოვანი და ფრაგმენტირებულია. კრემლისტური არხი, სპუტნიკ-საქართველო, რომელიც ქართულ ენაზე მოქმედი ონლაინ პლატფორმაა, ნაკლებ პოპულარულია საქართველოში, ვიდრე ეთნონაციონალისტური, ანტილიბერალური მედია საშუალებები, რომლებიც იმავე მიზანს ემსახურებიან. ის პოლიტიკოსებიც კი, ვინც ღიად უჭერს კრემლის პოლიტიკას მხარს, პრორუსულის იარლიყის საჯაროდ მიკერებას ერიდება და აცხადებს, რომ პროქართული დღის წესრიგი აქვს. მსგავსი ეთნონაციონალისტური კონცეფცია — არც რუსეთი და არც დასავლეთი — მთავარი მამოძრავებელია დასავლეთის წინააღმდეგ ქართველების სხვადასხვა მედია პლატფორმის გზით მობილიზებაში.[31] პატრიოტული ლექსიკა ერთ-ერთი ძირითადი იარაღია ხალხის ეროვნული ღირსებით მანიპულირებისთვის. აშკარა რუსული პროპაგანდა უფრო იშვიათია, ვიდრე დასავლეთის დაგმობა. როგორც მედიის განვითარების ფონდის კონტენტანალიზმა აჩვენა, 2016 წელს ანტიდასავლური გზავნილების მთავარი წყარო მედია იყო, რომელიც 2 ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ღიად კრემლისტური მედიაორგანიზაციები (საქართველო და მსოფლიო, საქინფორმი, პოლიტიკანო) და ანტილიბერალური, ეთნონაციონალისტური პლატფორმები (ტვ ობიექტივი, ასავალ-დასავალი, ალია), რომლებსაც თვისებრივად იდენტური გზავნილები აქვთ.[32] იგივე შეიძლება ითქვას პოლიტიკურ პარტიებზე. ერთადერთი განსხვავება კრემლისტურ (დემოკრატიული მოძრობა — ერთიანი საქართველო, ცენტრისტები, სხვა) და ეთნონაციონალისტურ პარტიებს (საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, ეროვნულები) შორის არის კრემლის პოლიტიკის მხარდაჭერის ღიაობის ხარისხში. ანგარიშიდან ჩანს, რომ წინა პერიოდის (2014-2015) მსგავსად, ყველაზე

[25] თბილისის ლიბერალური აკადემია, რუსეთის ხისტი და რბილი ძალის საფრთხეები საქართველოში, თბილისი, 2016. http://www.ei-lat.ge/images/doc/threats%20of%20russian%20soft%20and%20hard%20power.pdf

[26] Указ Президента Российской Федерации от 31.12.2015 г. № 683 О Стратегии национальной безопасности Российской Федерации; 2015 წლის 31 დეკემბერი;, http://kremlin.ru/acts/bank/40391/page/1

[27] Baltic Surveys/The Gallup Organization on behalf of International Republican Institute (IRI), Survey on Public Opinion Poll in Georgia, February 20 - March 8, 2017, p. 75-76, http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

[28] Baltic Surveys/The Gallup Organization on behalf of International Republican Institute (IRI), Survey on Public Opinion Poll in Georgia, February 3- 28 2016. p. 44. http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/iri_georgia_public_2015_final_0.pdf

[29] Baltic Surveys/The Gallup Organization on behalf of International Republican Institute (IRI), Survey on Public Opinion Poll in Georgia, February 20 - March 8, 2017. p.75. http://www.iri.org/sites/default/files/iri_poll_presentation_georgia_2017.03-general.pdf

[30] მითების დეტექტორი, დეზინფორმაცია: Russia Today-ს ნდობა ამერიკელ და ევროპელ მაყურებელში იზრდება, 2016 წლის 15 დეკემბერი; http://eurocommunicator.ge/eng/view_myth/605; ბოლოს ნანახია 2017 წლის 13 აპრილს.

[31] Tamar Kintsurashvili, Further from 'Russkiy Mir', Closer to the West, Resisting Foreign State Propaganda in the New Information Environment: the Case of the EU, Russia, and the Eastern Partnership Countries. Foundation for European Progressive Studies (FEPS). p. 173. http://bsf-latvija.lv/wp-content/uploads/2016/09/research_FEPS_BSF.pdf

[32] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2016; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/65/.

მეტი ანტიდასავლური გზავნილი იდენტობის, ადამიანის უფლებებისა და ღირებულებების თემებს ეხებოდა. სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მსგავსად, ითესებოდა შიში, რომ დასავლურ ოჯახში ინტეგრირების ფასი ეროვნული იდენტობის, რელიგიური მრწამსის და სექსუალური იდენტობის დაკარგვა იქნებოდა და ამიტომ, „ღირსების" დასაცავად ნაბიჯების გადადგმა იყო საჭირო. ამ კონტექსტში მართლმადიდებელი რუსეთი ხშირად დასავლეთის საპირწონედ არის წარმოჩენილი. ეს სახალხო ნარატივი, რომელიც „რუსკი მირ"-ის კონცეფციიდან მომდინარეობს,[33] ყველაზე მძლავრი გზავნილია, რომელიც ქართულ მედიაში ღირებულებით დისკურსს განსაზღვრავს. წინა წელთან შედარებით NATO-ს საწინააღმდეგო გზავნილებმაც იმატა, მათ შორის თითქოს „საქართველოს NATO-ში ინტეგრაცია შედეგად რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს [ცხინვალის რეგიონის] დაკარგვას მოიტანს" ან თურქეთის არმიის საქართველოში განლაგებას. სირიაში რუსეთის სამხედრო ქმედებებს ასევე მედია ან სხვადასხვა პოლიტიკოსი ამართლებს. ევროკავშირი და ასოცირების შეთანხმება გაიგივებულია მიგრანტების მიღების ვალდებულებასა და ტერორიზმის საფრთხესთან, ხოლო ევროპასთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაცია და ევროპული ინტეგრაცია ქვეყნისთვის დემოგრაფიულ საფრთხესთან. პროპაგანდის ყველაზე ხშირად გამოყენებული იარაღი, რომელსაც რამდენიმე წყარო იყენებს, „ცრუ დილემის" ან „შავ-თეთრი აზროვნების" მეთოდია, რაც ითვალისწინებს მხოლოდ ორი ვარიანტის მიწოდებას, რომელთაგან ერთს უპირატესობა ენიჭება. ასეთი მიდგომის მაგალითებში უმეტესწილად შემდეგი ფორმულები გამოიყენება: „თუ დასავლეთი ჰომოსექსუალობას და ჰომოსექსუალობის ლეგალიზებას უჭერს მხარს, ასეთი დასავლეთი ჩვენ არ გვინდა!", „თუ დასავლეთი ჰომოსექსუალობას გვახვევს თავს, ქართველ ხალხს რუსეთი ურჩევნია დასავლეთს!"[34] დეზინფორმაციის გავრცელებისას პროპაგანდისტული პლატფორმები ხშირად იყენებენ დეფლექციის მეთოდს, ანუ პირველწყაროებისთვის თავის არიდებას. მითების დეტექტორის პლატფორმის ფორმატში ცრუ ინფორმაციის გადამოწმებამ აჩვენა, რომ იდენტური ინფორმაცია უმეტესწილად რუსულ მედიასაშუალებებს ან სხვადასხვა სატირულ მედიასაშუალებას ჰქონდა გამოქვეყნებული.[35] მედიამონიტორინგის გზით გამოვლენილი ყველა ეს ქართულენოვანი მედიასაშუალება გამოკვეთილად ქსენოფობიური ან ჰომოფობიურია და სხვადასხვა ჯგუფის მიმართ სიძულვილის ენას იყენებს. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის კვლევის[36] მიხედვით, ასეთი მედიების უმრავლესობა რუსულ ფონდებთან არის დაკავშირებული.

კრემლის
გავლენის
ინდექსი

3

## ბლოკი A1.
## გავლენა. პოლიტიკური განზომილება.
## ქულა: 45

რუსეთის მიმართ ხელისუფლების პოზიცია ექსპერტებმა არაერთგვაროვნად შეაფასეს. უმრავლესობის აზრით, დღევანდელი ხელისუფლება არც ანტი-რუსული და არც პრო-რუსულია, ნაწილმა კი ხელისუფლების პოზიცია რუსეთის მიმართ ნაწილობრივ პრო-რუსულად მიიჩნია, რაც ერთ-ერთმა ექსპერტმა ხელისუფლების მხრიდან *„ღიად პრორუსული ძალების პირდაპირი თუ ირიბი მხარდაჭერით"* ახსნა, რის გამოვლინებადაც პარლამენტში ახალი პოლიტიკური ცენტრის – ე.წ. ნაციონალისტური პროქართული ძალის (პატრიოტთა ალიანსი) გაჩენა დაასახელა. სირიის პრობლემასა და რუსეთის მიერ უკრაინის ანექსიაზე საქართველოს ხელისუფლების თავშეკავებული საჯარო პოზიციაც ხელისუფლების ნაწილობრივ პრო-რუსულობის არგუმენტად დასახელდა.

საპარლამენტო უმრავლესობაში შემავალი 6 ფრაქციის შეფასებაც არაერთგვაროვანი იყო. მმართველი პარტია ქართული ოცნების და მასთან უმრავლესობაში შემავალი ფრაქციების – ქართული ოცნება-კონსერვატორების და ქართული ოცნება – რეგიონების განვითარებისთვის შეფასებისას ექსპერტთა მოსაზრებები გაიყო: ნაწილმა ისინი ნაწილობრივ-პრო-რუსულად, ხოლო მეორე ნახევარმა არც ანტი-რუსულად და არც პრო-რუსულად შეაფასა. ფრაქცია ქართული ოცნება-მწვანეები და ქართული ოცნება-სოციალ-დემოკრატები კი არც ანტი-რუსულად და არც პრო-რუსულად მიიჩნიეს. ფრაქცია ქართული ოცნება – მრეწველები უმრავლესობამ ძლიერ პრო-რუსულად შეაფასა. ამ შეფასებისას განმსაზღვრელი პარტია „მრეწველობა გადაარჩენს საქარ-

[33] Nicolai N. Petro, Russia's Orthodox Soft Power, Carnegie Council, 2015, https://www.carnegiecouncil.org/publications/articles_papers_reports/727

[34] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2017; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/65/.

[35] მედიის განვითარების ფონდი, ანტიდასავლური პროპაგანდა, 2017; http://mdfgeorgia.ge/eng/view-library/65/.

[36] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე, თბილისი, 2015 წლის 9 ივნისი; https://idfi.ge/public/upload/russanimpactongeorgianmediadaNGO.pdf

თველოს“ ლიდერის გოგი თოფაძის ნატოს წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებები იყო. ექსპერტებმა ასევე გაიხსენეს მისი შეფასება, რომლითაც სირიაში რუსეთის აგრესიული ქმდებების გამართლება ხდებოდა. ძლიერ ანტი-რუსულად შეფასდა უმცირესობაში შემავალი ოპოზიციური ფრაქციები „ევროპული საქართველო“, „მოძრაობა თავისუფლებისთვის – ევროპული საქართველო“ და „მოძრაობა თავისუფლებისთვის – რეგიონები“, ასევე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. ექსპერტთა უმრავლესობამ ძლიერ პრორუსულად მიიჩნია „პატრიოტთა ალიანსი“, რომელიც ეთნო-ნაციონალისტურ პლატფორმაზე პოზიციონირებს, თუმცა მისი ანტიდასავლური ნარატივი ღიად პრორუსული პარტიების იდენტურია. ერთ-ერთმა ექსპერტმა პატრიოტთა ალიანსის მიერ ანტიდასავლურ დისკურსში თურქოფობიის თემის შემოტანაზე გაამახვილა ყურადღება, რაც საქართველოს დღევანდელი საფრთხეებიდან (რუსეთის ოკუპაცია) აქცენტის ისტორიულ საფრთხეებზე (ოსმალეთის იმპერიის მიერ საქართველოს ოკუპაცია) გადატანას ისახავს მიზნად.

პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის პოზიცია, რომელიც 2013 წელს აირჩიეს, ექსპერტთა უმრავლესობამ ნაწილობრივ ანტი-რუსულად შეაფასა. არასაპარლამენტო პარტიებიდან ძლიერ პრორუსულად შეფასდა დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველო, ხოლო თავისუფალი დემოკრატების შემთხვევაში ექსპერტთა აზრი ორად გაიყო: ნაწილმა პარტია ძლიერ ანტი-რუსულად, ხოლო მეორე ნახევარმა ნაწილობრივ ანტი-რუსულად მიიჩნია.

უმრავლესობის აზრით, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რუსეთის ფედერაციის მიმართ საჯარო მხარდაჭერის მკაფიო შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა რამოდენიმე ექსპერტმა გაიხსენა ცალკეული ადგილობრივი ხელისუფლების ვიზიტები რუსეთის ფედერაციაში (ფოთის საკრებულოს ვიზიტი კალინინგრადის დღეებზე, ბათუმის საკრებულოს, ქუთაისის საკრებულოსა და მერიის ვიზიტები სხვადასხვა ღონისძიებებზე).

## ბლოკი A2.
## გავლენა. მედია განზომილება.
## ქულა: 53

რუსული მედიის საზოგადოებრივ აზრზე გავლენას, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, *„ნაცნობი და შეჩვეული რეალიები“* განაპირობებს. მომხმარებელი აცნობიერებს, რომ რუსული მედია შეიძლება სანდო არ იყოს, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებული ნარატივი, საზოგადოებისთვის ნაცნობი და პოპულარულია. ექსპერტთა აზრით, ამ მხრივ გაცილებით პრობლემატურია ქართულენოვანი მედია, განსაკუთრებით კი ტაბლოიდური გამოცემები. რომ არა ბაზარზე დეკლარირებულად პროდასავლური სატელევიზიო არხის, ყველაზე რეიტინგული რუსთავი 2-ის არსებობა, რომლის წინააღმდეგ საკუთრებასთან დაკავშირებით სასამართლო დავას ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლები პოლიტიკურად მოტივირებულად მიიჩნევენ, ვითარება გაცილებით მძიმე იქნებოდა.

სატელევიზიო რეიტინგებით მეორე ადგილზე მყოფი ტელეკომპანია „იმედი“, ექსპერტთა ნაწილის აზრით, ზოგჯერ მოვლენებს კრემლისტური ნარატივის სასარგებლოდ აშუქებს, მაგრამ, როგორც წესი, მედია საშუალება ჟურნალისტურ სტანდარტებს იცავს. როგორც „იმედის“, ასევე ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებში პრორუსული ორიენტაციების რესპონდენტების მოწვევისას, *„წამყვანები სათანადო ოპონირებას ვერ უწევენ რესპონდენტებს, რაც დეზინფორმაციის და არასწორი სტერეოტიპების ტირაჟირებას უწყობს ხელს“*. რესპონდენტთა ნაწილის აზრით, ამის მიზეზი ჟურნალისტთა არაპროფესიონალიზმი, ნაწილის აზრით, კი გააზრებული სარედაქციო პოლიტიკაა. ტელეკომპანია „მაესტროს“ შემთხვევაში ექსპერტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მედია საშუალება *„პრორუსულ სარედაქციო პოლიტიკას, ტაბლოიდური მედიისგან განსხვავებით, სხვადასხვა თანამედროვე სატელევიზიო ფორმატებში კარგად ფუთავს და ეს როგორც რუსული სერიალების პოპულარიზაციაში, ასევე ინტერაქტივის შეკითხვებში, თემატიკისა და რესპონდენტების შერჩევაში ვლინდება“*.

ბეჭდური მედიიდან ყველაზე პრობლემატურად ექსპერტებმა გაზეთი „ასავალ-დასავალი“ მიიჩნიეს, რომლის გაცხადებული ეთნონაციონალისტური სარედაქციო პოლიტიკა რეალურად კრემლისტური ნარატივის დამკვიდრებას უწყობს ხელს, გაზეთი აქვეყნებს დეზინფორმაციებს დასავლეთის შესახებ და სიძულვილის ენის ტირაჟირებას ახდენს. ონლაინ მედიიდან პრობლემატურად სააგენტო PIA-ს გაშუქების ცალკეული შემთხვევები ჩაითვალა, სადაც ასევე ვხვდებით დასავლეთის შესახებ დაუზუსტებელ მასალებს. რადიოს გაშუქება პანელის მონაწილეებმა შედარებით ნეიტრალურად მიიჩნიეს. ექსპერტთა დიდი ნაწილის აზრით, საზოგადოების უმრავლესობას ესმის, რომ დეზინფორმაციული მედია საშუალებები შესაძლოა, მანიპულირებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იყენებენ მათ და სჯერათ მათი.



# ბლოკი A3.
## გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება.
## ქულა: 42



კრემლის და მისი შეხედულებების მხარდამჭერი არასამთავრობოების გავლენა საზოგადოებრივ აზრზე, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მხოლოდ ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზეა საგრძნობი, რადგან პრორუსული ორგანიზაციები ხშირად საქველმოქმედო აქტივობებს პროპაგანდისტული მიზნებით იყენებენ. აღინიშნა ისიც, რომ ასეთი ორგანიზაციების დაფინანსება ხშირად გაუმჭვირვალეა. დასახელდა ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტის (IDFI) კვლევა[37], რომელმაც აჩვენა, რომ *„საუბარი პრორუსული ორგანიზაციების მრავალრიცხოვნებაზე გადაჭარბებულია, რადგან ყველა ორგანიზაცია, რომლის სახელითაც კეთდება საჯარო განცხადებები, ხშირად ერთიდაიგივე პიროვნებაზე ან მათი ოჯახის წევრებზეა რეგისტრირებული*“. ერთ-ერთი ასეთი ორგანიზაცია „ევრაზიული არჩევანი“ ევრაზიული კავშირისა და რუსეთის აგრესიული ექსპანსიური პოლიტიკის იდეოლოგის, ალექსანდრ დუგინის „საერთაშორისო ევრაზიულ მოძრაობასთან“ არის დაკავშირებული. „გორჩაკოვის ფონდმა“, რომელიც რუსეთის პრეზიდენტის, დიმიტრი მედვედევის განკარგულების საფუძველზე შეიქმნა, საქართველოში რუსულ-ქართული საზოგადოებრივი ცენტრი დააფუძნა, რუსეთის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული ორგანიზაცია “Русский Мир”-ის მხარდაჭერით კი საქართველოში რამდენიმე ორგანიზაცია რუსული ენის შემსწავლელ კურსებს ახორციელებს. სოციალური ფონის გარდა, პრორუსული და ეთნონაციონალისტური, ექსტრემისტული ორგანიზაციები საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოსახდენად ისეთ მგრძნობიარე და პოპულისტურ თემებს იყენებენ, როგორიცაა ლგბტ პირთა ქორწინების საკითხის დასავლეთის მიერ თავსმოხვევა, ID ბარათებში სატანის ნიშნების არსებობა და სხვა.

რაც შეეხება რუსეთის ეკლესიის გავლენას, გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეს გავლენა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მეშვეობით ხორციელდება. მართალია, ერთის მხრივ, მართლმადიდებელი ეკლესიის პატრიარქი ილია II საჯაროდ უჭერს მხარს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, მაგრამ მეორე მხრივ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იზოლაციონისტური პოლიტიკა დასავლური ქრისტიანული ორგანიზაციების მიმართ[38], ასევე სასულიერო პირების ანტიდასავლური საჯარო განცხადებები, ექსპერტთა აზრით, რუსული ეკლესიის ირიბ გავლენაზე მიანიშნებს. მაგალითად დასახელებული იყო რუის-ურბნისის მიტროპოლიტის, ეპისკოპოს მეუფე იობის საგაზეთო სტატია საეკლესიო გამოცემაში, სადაც მან 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს რუსული ბომბები ღვთის მიერ გამოგზავნილ სასჯელად შეაფასა. აღინიშნა ის ღირებულებითი თანხვედრა, რომელიც „რუსული სამყაროს“ კონცეფციით საზრდოებს. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, *„რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბებული ნარატივების მიმართ ცალკეული სასულიერო პირები აგრესიული მორჩილებით გამოირჩევიან*“. ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის ლიტერატურის 90% რუსულიდან არის თარგმნილი და ამ მხრივ განსაკუთრებული ადგილი რუსი არქიმანდრიტის რაფაელ კარელინის ლიტერატურას უკავია. სწორედ რაფაელ კარელინის იდეოლოგიას უკავშირებენ რადიკალურ ორგანიზაცია „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირს“, რომელიც 2016 წლის 30 სექტემბერს საქართველოში რომის პაპის ვიზიტს საპროტესტო აქციებით დახვდა. დასახელდა ასევე რამდენიმე ექსტრემისტული ნაციონალისტური ჯგუფი „ქართული ძალა“, „ედელვაისი“, საქართველოს საფეხბურთო კლუბების ფანები „ულტრასები“, რომლებიც 2016 წლის დეკემბერში უცხოელი ლტოლვილების მიღების შესაძლებლობას აპროტესტებდნენ[39], რასისტული ჯგუფი „ბერგმანი“, რომელიც სოციალურ ქსელებში აქტიურობს. ექსპერტთა აზრით, მათი გავლენა საზოგადოებაზე საგრძნობი არ არის.

---

[37] IDFI, რუსული გავლენა ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიაზე, 9 ივნისი, 2015. https://idfi.ge/public/upload/russanimpactongeorgianmediadaNGO.pdf

[38] მაგალითად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სინოდის გადაწყვეტილება 2016 წლის 16-27 ივნისს საბერძნეთში, კრეტაზე დაგეგმილ მართლმადიდებელ ეკლესიათა წმინდა და დიდი კრებაზე მონაწილეობის არმიღების თაობაზე. საქართველოს საპატრიარქო, 10 ივნისი, 2016 http://patriarchate.ge/geo/the-decree-of-the-holy/

[39] ნეტგაზეთი, „ნაციონალისტური ჯგუფების აქცია უცხოეული ლტოლვილების მიღების წინააღმდეგ“, 24 დეკემბერი, 2016. http://netgazeti.ge/news/164251/

## ბლოკი B1.
## რეაგირება. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 73



საქართველოს ხელისუფლება ქმედითი რუსული პროპაგანდის საფრთხეების პოლიტიკის დოკუმენტებში ასახვის მხრივ 2017 წლის დასაწყისში გახდა. დოკუმენტი, რომელშიც რუსული პროპაგანდა ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის საფრთხედ არის დასახელებული, საქართველოს მთავრობამ მხოლოდ 2017 წლის 13 აპრილს დაამტკიცა[40], რაც სამოქალაქო საზოგადოების ხანგრძლივი და აქტიური ლობირების შედეგი იყო. „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის 2017-2020 წლების სამთავრობო სტრატეგიასთან" ერთად პოზიტიურად შეფასდა „კიბერუსაფრთხოების სტრატეგიაც", რომლის მიღებაც ასევე წლის დასწყისში გახდა შესაძლებელი. თუმცა, ექსპერტებმა აღნიშნეს ის ზოგადი სიფრთხილე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან მიმართებით იჩენს. მაგალითად, დასახელდა ყირიმის ანექსიის გამო საერთაშორისო თანამეგობრობის სანქციებისადმი არმიერთებისა და ამ თემაზე საჯარო განცხადებების ნაკლებობის საკითხი, ასევე ის, რომ საერთაშორისო ფორმატებში ყირიმის ოკუპაციასთან ერთად საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია აქტიურად აღარ განიხილება.

რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა სახელმწიფო საინფორმაციო სტარტეგიის არარსებობის მაგალითად ციფრულ პლატფორმაზე გადასვლისას წარმოქმნილი ტექნიკურ-ფინანსური პრობლემები დაასახელა. მისი თქმით, ციფრული პლატფორმებისთვის აუცილებელი რუსული წარმოების პროგრამული უზრუნველყოფა ბაზარზე დასავლურთან შედარებით გაცილებით იაფი ღირს, რეგიონული მედიის ფინანსური მოწყვლადობის პირობებში კი, ეს გარემოება საინფორმაციო ველში შეღწევადობის რისკებს ზრდის.

სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტები 2015 წლიდან ორ სამთავრობო სტრუქტურაში ფუნქციონირებს: თავდაცვის სამინისტროსა და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში. ექსპერტთა ნაწილის აზრით, გარკვეული გადაწყვეტილებები როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო დონეზე მიიღება, თუმცა ისინი საკმარისად ეფექტიანი არაა, იკვეთება უწყებებს შორის კოორდინაციის პრობლემაც. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„სტრატკომი ფასადური სახის არის, რადგან პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, ის ქმედითი არ არის"*. არ ხდება საჯარო რეაგირება იმ დეზინფორმაციულ ნაკადებზე, რომელთაც გარედან ორგანიზებული სახე აქვს.

პანელის მონაწილეთა უმრავლესობამ გაიზიარა მოსაზრება, რომ მედია წიგნიერების ამაღლების მიზნით ხელისუფლების მხრიდან ქმედითი და სისტემატიური აქტივობების მხარდაჭერა არ ხდება.

## ბლოკი B2.
## რეაგირება. მედია განზომილება. ქულა: 64

ჟურნალისტების უნარი, დაიცვან ობიექტურობის და ნეიტრალურობის სტანდარტები თავიანთ საქმიანობაში, ექსპერტთა უმრავლესობამ ნაციონალური დაფარვის მედიის შემთხვევაში საშუალო ქულით, ხოლო რეგიონული მედიის შემთხვევაში საშუალოზე დაბალით შეაფასა. პრობლემას ექსპერტთა აზრით, ზოგჯერ მედიის არაპროფესიონალიზმი და საკითხებში გაუთვითცნობიერებლობა წარმოადგენს, რაც პრორუსი პოლიტიკოსების ნარატივისა და დეზინფორმაციის უაპელაციო ტირაჟირებისთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის. *„შესაძლოა ისინი ვერ აცნობიერებდნენ, მაგრამ ამით ირიბად უწყობენ ხელს პრორუსული ნარატივის უკრიტიკო ტირაჟირებას"*, აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა. პროპაგანდის და მანიპულაციების გამოვლენის და ფაქტების დაზუსტების უნარის შეფასებისას, როგორც ნაციონალურ დონეზე, ასევე რეგიონულზე, იდენტური სურათი გამოიკვეთა. მიუხედავად ცალკეული შემთხვევებისა, როცა ჟურნალისტებმა მფლობელებისა და რედაქტორების სარედაქციო დამოუკიდებლობაში ჩარევის ფაქტები გააპროტესტეს (მაესტრო, 25 არხი), პანელის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ამ თვალსაზრისით ვითარება არც ისე სახარბიელოა. დასახელდა შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე ჟურნალისტური კორპუსი მფლობელის ცვლილების კვალობაზე სარედაქციო პოლიტიკას რადიკალურად ცვლიდა და ეს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების გაშუქებაზეც აისახებოდა.

---

[39] „ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს გაწევრიანების კომუნიკაციის 2017-2020 წლების სამთავრობო სტრატეგია". ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი. http://bit.ly/2nHZU4Z. ბოლო წვდომა 13 აპრილი, 2017

კრემლის დეზინფორმაციის თემატიკა ნაციონალური დაფარვის ტელევიზიებში იშვიათად განიხილება. გამონაკლისია ტელეკომპანია რუსთავი 2, რომლის ცალკეული ჟურნალისტები თემისადმი სისტემატიურ ინტერესს იჩენენ და ამ თვალსაზრისით თანმიმდევრულობით გამოირჩევიან. გამონაკლისია ასევე ცალკეული ონლაინ გამოცემები და რეგიონული მედიის ის პროგრამები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით ხორციელდება. სახეზეა დეზინფორმაციის შესახებ უშუალოდ მედიის მიერ წარმოებული სპეციალური გამოძიებების, ფილმებისა და პროგრამების ნაკლებობა და ძირითადი წყარო ამ მხრივ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები და მედია შინაარსია, რომელიც მეინსტრიმულ მედიაში არასისტემატიურად შუქდება.

## ბლოკი B3.
## რეაგირება. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება.
## ქულა: 49

სამოქალაქო საზოგადოებაში დეზინფორმაციის საფრთხის გააზრება ნაწილობრივია და ამ მხრივ ძირითადად ამინდს ის არასამთავრობო ორგანიზაციები ქმნიან, რომლებიც მიზანმიმართულად და სისტემატიურად მუშაობენ ამ თემებზე. წამყვანი არასამთავრობოები ძირითადად ეროვნულ დონეზე საქმიანობენ, შედარებით ნაკლებად რეგიონულზე და მათი გავლენა მეტწილად გადაწყვეტილებების მიმღებ აქტორებზეა ორიენტირებული. მედია მონიტორინგი და დეზინფორმაციაზე რეაგირება, პანელის მონაწილეთა უმრავლესობის აზრით, ცალკეული არასამთავრობოების მხრიდან სისტემატიურ ხასიათს ატარებს, თუმცა მხოლოდ ეროვნულ დონეზე და მათი გავლენა საზოგადოებაზე, მეინსტრიმული მედიის გარეშე, შეზღუდულია.

მოქალაქეების მედია წიგნიერების გაუმჯობესებაზე მიმართული პროგრამებიც, ექსპერტთა უმრავლესობის აზრით, მცირერიცხოვანია და მხოლოდ ახლა იკიდებს ფეხს. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ამის მიზეზი *„საერთაშორისო დონორებზე არასამთავრობოების დამოკიდებულებაა, რომლებიც ახლა იწყებენ იმის გააზრებას, რომ ანტიდასავლური პროპაგანდა მზარდი საფრთხეა, ხოლო არსებული ინიციატივები პროპაგანდაზე ორგანიზებული პასუხის გასაცემად მცირეა“*.

სხვადასხვა აქტორებს შორის პროპაგანდასთან ბრძოლაში თანამშრომლობის მხრივ ყველაზე წარმატებულად არასამთავრობოებს შორის პარტიონორობა გამოიკვეთა, რის მაგალითადაც წამყვანი არასამთავრობოების მიერ დაფუძნებული კოალიცია „ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის“ დასახელდა, რომელიც რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლაში რესურსებისა და აქტივობების კონსოლიდირებას გეგმავს. პოზიტიურად შეფასდა მედიასა და სამოქალაქო სექტორს შორის თანამშრომლობაც, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის სტრატკომის დონეზე თანამშრომლობა კი პოზიტიურად, თუმცა არასაკმარისად და არასისტემატიურად იქნა მიჩნეული. მედიებს შორის თანამშრომლობა მხოლოდ რეგიონულ დონეზეა წარმატებული, რაც შეეხება სახელმწიფოსა და მედიას შორის თანამშრომლობას, ერთ-ერთი ექსპერტის მოსაზრებით, *„ის უფრო ხელისუფლების მიმართ ლოიალურად განწყობილ მედიაში შიდაპოლიტიკურ დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხების გაკონტროლებით არის განპირობებული, ვიდრე გარედან მომავალი დეზინფორმაციის საფრთხეების ბრძოლის ამოცანით“*. ამავე დროს იკვეთება წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციების მარგინალიზაციის მცდელობები იმ თემებზე სპეკულაციებით, რომლებიც ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას და მოწყვლად ჯგუფებს უკავშირდება. როგორც ე.წ. გონგო სამთავრობო ორგანიზაციების, ასევე პრორუსული აქტორებისა და მმართველი პარტიის იმ ცალკეული წარმომადგენლების მხრიდან, რომლებიც 2012-2016 წლის საპარლამენტო უმრავლესობაში იყვნენ წარმოდგენილნი, გაისმის მოწოდებები უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობოების აკრძალვის შესახებ, რომელთა ქმედებას ისინი ქვეყნის ეროვნული ინტერესების საწინააღმდეგოდ აფასებენ[41]. ეს ნარატივი „რუსეთის ფედერაციის 2015 წლის სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგიაში“ გაცხადებული მიდგომის იდენტურია, სადაც უცხოეთიდან და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული არასამთავრობოების საქმიანობა ქვეყნისათვის საფრთხედ და რუსეთის ტრადიციული სასულიერო ღირებულებების წინააღმდეგ მიმართულად არის მიჩნეული.

[37] მაგალითად, კოალიცია ქართული ოცნების ყოფილი წევრების გოგი თოფაძის და თამაზ მეჭიაურის, ასევე დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის ყოფილი მოადგილის სანდრო ბრეგაძის განცხადებები. MDF, ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასება, კვლევის ანგარიში, მაისი 2016.
http://mdfgeorgia.ge/geo/view-library/29/



## კვლევაში მონაწილე ექსპერტები:

- **გიორგი ახალკაცი**, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო
- **ნატალია ანთელავა**, Coda Story
- **ეკა ჭითანავა**, ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტი – TDI
- **ნინო დანელია**, BBSA საქართველო
- **ნატა ძველიშვილი**, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
- **ნინო ევგენიძე**, ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევების ცენტრი – EPRC
- **პაატა გაფრინდაშვილი**, GRASS
- **ეკა გიგაური**, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო TI
- **ნინო ივანიშვილი**, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი – GIPA
- **კორნელი კაკაჩია**, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი – GIP
- **ნათია კუპრაშვილი**, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია – GARB
- **ბათუ ქუთელია**, საქართველოს ატლანტიკური საბჭო
- **გიორგი ლომთაძე**, IDFI
- **ქეთი მსხილაძე**, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი
- **ირაკლი ფორჩხიძე**, საქართველოს სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი – GISS
- **ნინო რობაქიძე**, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო TI
- **გიორგი თარგამაძე**, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფონდი – GFSIS
- **თორნიკე შარაშენიძე**, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის – GIPA პროფესორი
- **თორნიკე ზურაბაშვილი**, Civil.ge

დედაქალაქი:

ბუდაპეშტი

პოლიტიკური სისტემა:

საპარლამენტო რესპუბლიკა

მოსახლეობა:

9,9 მლნ



# უნგრეთი

**მშპ ერთ სულ მოსახლეზე:**

12,2 ათასი დოლარი

**ურბანიზაცია:**

| | |
|---|---|
| 71% | ქალაქი |
| 29% | სოფელი |

**ეთნიკური ჯგუფები:**

| | |
|---|---|
| 85,6% | უნგრები |
| 3,2% | ბოშა |
| 1,9% | გერმანელი |
| 1,4% | რუმინელი |
| 16,7% | სხვა |








**ზოგადი ინდექსი**

**61**

# 1 კონტექსტი

## 1.1. პოლიტიკური მოვლენები

ამჟამინდელი მმართველი Fidesz-KDNP-ის კოალიცია მთავრობაში 2010 წლიდანაა და მის შემადგენლობაში ცენტრისტი-მემარჯვენე ქრისტიან-კონსერვატიული პარტიები არიან. 2014 წელს ხუთმა პოლიტიკურმა პარტიამ ეროვნულ ასამბლეაში საპარლამენტო ჯგუფების ჩამოყალიბება შეძლო. ესენია: ფიდესი, ქრისტიან-დემოკრატიული სახალხო პარტია (KDNP), იობიკი, უნგრეთის სოციალისტური პარტია (MSZP) და პოლიტიკა შეიძლება სხვანაირად (LMP). Freedom House-ის მონაცემებით, ქვეყნის დემოკრატიული სტანდარტები 2010 წლიდან მკვეთრად გაუარესდა[1]. ფიდესი უნგრეთში ყველაზე მძაფრ ანტირუსულ ძალას წარმოადგენდა, თუმცა მას შემდეგ, რაც პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი 2009 წელს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინს შეხვდა, რუსეთზე პარტიის აზრი შეიცვალა[2]. ამის პირველი გამოხატულება იყო პაკს II[3], Rosatom-ის მიერ აშენებული პროექტი. ცოტა ხნის წინ კი უნგრეთის მთავრობამ კრემლის იდენტური პოლიტიკის გატარება დაიწყო: უცხოეთიდან დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციები რიტორიკის დონეზე უცხოელ აგენტებად მოიხსენებიან და მათ წინააღმდეგ ეროვნულ ასამბლეაში ახალი საკანონმდებლო ინიციატივაა წარდგენილი[4].

მთავრობა იცავს ევროკავშირისა და ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ოფიციალურ ხაზს, როდესაც საქმე სანქციებზე ხმის მიცემას[5] ან რუსულ დეზინფორმაციას[6] ეხება, თუმცა განცხადებების დონეზე იგი სანქციების წინააღმდეგია, ეგუება დეზინფორმაციას და პრორუსულ

[1] დემოკრატიული სტანდარტების გაუარესება Freedom House-ის უნგრეთის დემოკრატიის შეფასებაში აისახა: 2010 წელს ქვეყნის თავისუფლების რეიტინგი 1.0 იყო, საუკეთესო შედეგი, რომელიც 2.5-მდეგაუარესდა, თუმცა ქვეყანა ჯერ კიდევ თავისუფლად ითვლება. Freedom House-ის ბოლო ანგარიშში აღნიშნულია, რომ შესამჩნევია „სამთავრობო პრაქტიკა, რომელმაც შეზღუდა ოპოზიციის შესაძლებლობა, თავისუფლად და არსებითად მიიღოს მონაწილეობა ფორმალურ პოლიტიკურ სისტემაში". დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ https://freedomhouse.org/reports.

[2] Sz. Panyi, Orbánt is eszközként használja Putyin a Nyugat ellen, [ორბანი პუტინმა დასავლეთის წინააღმდეგ გამოიყენა], 3 თებერვალი, 2017

[3] C. Keszthelyi, პრემიერ-მინისტრის აპარატი PAKS II- ის გარიგებას საიდუმლოდ აცხადებს, 8 იანვარი, 2015, http://bbj.hu/economy/pms-office-declares-paks-ii-deal-classified_90486

[4] A. Byrne, ორბანი უტევს სოროსს და უნგრეთის არასამთავრობო ორგანიზაციებს,12 იანვარი, 2017, https://www.ft.com/content/20d291f8-d87b-11e6-944b-e7eb37a6aa8e

[5] P. Magyari, 2017, A lengyel kormány addig lesz a magyar barátja, ameddig Orbán nem piszkálja az orosz szankciókat [პოლონეთის მთავრობა უნგრეთის მეგობრად რჩება, სანამ ორბანი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს მხარს დაუჭერს], 25 თებერვალი, 2017, https://444.hu/2017/02/25/a-lengyel-kormany-addig-lesz-a-magyar-baratja-ameddig-orban-nem-piszkalja-az-orosz-szankciokat

[6] Orbán: El kell fogadni az intellektuális és politikai harcot a baloldallal [ორბანი: ჩვენ უნდა მივიღოთ ინტელექტუალური და პოლიტიკური ბრძოლები მემარცხენეებისგან], 30 მარტი, 2017, http://index.hu/kulfold/ep/2017/03/30/orban_az_eu-nak_valtoznia_kell_hogy_europa_maradjon_a_legjobb_hely_a_vilagon/

გასამხედროებულ რადიკალიზაციას თავის ტერიტორიაზე[7]. ულტრა-მემარჯვენე იობიკმა თავისი ანტი-ევროკავშირული/ანტი-ნატო და ანტი-ამერიკული რიტორიკა ამომრჩევლის ფართო სპექტრის მოსაზიდად შეარბილა, თუმცა მისი გამოკვეთილად პრო-რუსული პოზიცია არ შეცვლილა. მათ წარმომადგენელს ევროპარლამენტში ბელა კოვაჩს უნგრეთის ხელისუფლება ბრალს რუსეთის სახელით ევროკავშირის ინსტიტუტებზე ჯაშუშობაში სდებდა[8]. მემარცხენე, ყოფილი მმართველი პარტია MSZP (უნგრეთის სოციალისტური პარტია) რუსეთთან მიმართებით ნეიტრალურ პოზიციას გამოხატავს და მიუხედავად იმისა, რომ პრო-ევროპულ და პრო-ამერიკულ პოზიციას ინარჩუნებს, იგი რუსეთთან პრაგმატული კავშირების მომხრეა. LMP მკაცრად ანტირუსულია და მთავრობის მჭიდრო კავშირებს პუტინის რეჟიმთან ეწინააღმდეგება. მომდევნო საპარლამენტო არჩევნები 2018 წლის გაზაფხულზე გაიმართება.

## 1.2. მედია გარემო

2016 წლის მსოფლიო პრესის თავისუფლების ინდექსში უნგრეთი 67-ე ადგილზეა მაშინ, როდესაც 2010 წელს ის 23-ე ადგილს იკავებდა[9]. „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აღნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ორბანმა მედიაზე კონტროლი გაამკაცრა, ხოლო მისმა მოკავშირეებმა რამდენიმე მედია საშუალებაც კი შეიძინეს[10]. მთავრობა საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემების ცენზურას ახდენს[11]. კვოტების საწინააღმდეგო რეფერენდუმის კამპანიისას[12], საზოგადოებრივი საინფორმაციო არხი M1 მთავრობის პოზიციას დროის 95% უთმობდა, ამასთანავე არც რბილი ცენზურის ნაკლებობა შეინიშნებოდა[13]. ქვეყანაში არსებული ძირითადი დამოუკიდებელი მედია საშუალებები არიან: კომერციული სატელევიზიო არხი RTL, უმსხვილესი ონლაინ პორტალი Index.hu და ორბანის ყოფილი მომხრის ლაიოშ შიმიჩკას მედია იმპერია. პრო-სამთავრობო ოლიგარქები სიდიდით მეორე ყველაზე მსხვილ სატელევიზიო არხ TV2-სა და პოპულარულ ონლაინ პორტალ Origo-ს აკონტროლებენ, ხოლო პრემიერ-მინისტრის მრჩეველმა პრო-სამთავრობო მედია ჰოლდინგი დააფუძნა. ყველაზე მსხვილი მემარცხენე ყოველდღიური გამოცემა Népszabadság-ის გამომცემელი Mediaworks-ი ორბანის ახლო მეგობარმა ლორინც მესაროშმა[14] შეიძინა, შედეგად გაზეთის გამოცემა შეწყდა, ხოლო ყოველდღიური ადგილობრივი გაზეთების უმრავლესობის კონტროლი მის ხელში აღმოჩნდა[15].

ხელისუფლების მკაცრი კონტროლი სახელმწიფო და კერძო მედიაზე, რომელთაც პრო-ფიდესის ოლიგარქებთან აქვთ კავშირი, ნიშნავს იმას, რომ Fidesz-KDNP-ის პოზიცია საგარეო პოლიტიკის შესახებ და პრორუსული ნარატივი უნგრეთის საჯარო დისკურსში მოჭარბებულად არის წარმოდგენილი.

2016 წლის Globsec Trends-ის კვლევის თანახმად, უნგრელების 71% მეინსტრიმულ მედია საშუალებებს უფრო ენდობა, ვიდრე ალტერნატიულს და მხოლოდ 16% ანიჭებს ალტერნატიულ მედიას უპირატესობას[16]. Mérték Media Monitor-ის მონაცემებით, უნგრეთის ზრდასრული მოსახლეობის უმრავლესობა პოლიტიკური საკითხების შესახებ ინფორმაციას ტელევიზიით იღებს, თუმცა 18-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი ამ მიზნით ინტერნეტს უფრო მეტად იყენებს, ვიდრე ტელევიზიას[17]. ტელევიზიას, როგორც ინფორმაციის მიღების ერთადერთ წყაროს, 60 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები იყენებენ, ასევე ისინი, ვისი განათლებაც 8 წლიან დაწყებით სასკოლო დონეს არ აღემატება ან ნაკლებია[18], სწორედ ამიტომ ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედია საშუალებით რუსული ნარატივების გავრცელება რეალურ პრობლემას წარმოადგენს.

## 1.3. სამართლებრივი და მარეგულირებელი ჩარჩო

მედიის მფლობელობის გამჭვირვალობის რეგულაციები ამჟამად არ არსებობს. ამდენად, მრავალი უნგრული მედია საშუალება ოფშორული კომპანიების ან უცნობი პირების მფლობელობაშია, რომლებიც საგამოძიებო ჟურნალისტების თანახმად, ძირითადად, უნგრელი მოქალაქეები არიან[19]. 2010 წელს ამოქმედებული უნგრეთის მედია აქტი, რომელიც ბოლოს 2015 წელს შეიცვალა, „ხელს უშლის ჯანსაღი“ საჯარო დისკუსიის წარმართვას. თუმცა, ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი მედიის მმართველობის პრაქტიკა ზომიერი და არათანმიმდევრული აღმოჩნდა[20].

როგორც უნგრეთის მთავრობის დადგენილებაში 1035/2012(21) ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის[21] შესახებ, ასევე მთავრობის 1166/2013 დადგენილებაში უნგრეთის კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის[22] შესახებ აღნიშნულია, რომ საინფორმაციო ომი ქვეყნისთვის ეროვნული უსაფრთხოების გამოწვევას წარმოადგენს, თუმცა ამგვარი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ზომები არ გატარებულა და ამ მიმართულებით არც რუსეთის დეზინფორმაციაა სპეციფიურად მოხსენიებული[23].

---

[7] Political Capital, უნგრეთის პოლიციის მაღალჩინოსანი მკვლელობა ულტრა-მემარჯვენეების მხრიდან: პრო-რუსული რადიკალიზაცია ევროპის ცენტრალურ ნაწილში, 2016, http://politicalcapital.hu/library.php?article_read=1&article_id=320

[8] Tovább nyomoznak Kovács Béla ellen [ბელა კოვაჩის გამოძიება გრძელდება], 18 იანვარი, 2017, https://mno.hu/belfold/tovabb-nyomoznak-kovacs-bela-ellen-1381607

[9] რეპორტიორები საზღვრებს გარეშე, უნგრეთი, 2016, https://rsf.org/en/hungary

[10] იგივე

[11] Belső szerkesztői utasításra nem szerepelhetnek gyerekek a köztévé menekültes anyagaiban [შიდა მემორანდუმის თანახმად, არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს ახალი ამბების გამოშვებაში ლტოლვილების შესახებ საზოგადოებრივ არხზე], 25 აგვისტო, 2015, https://444.hu/2015/08/25/belso-szerkesztoi-utasitasra-nem-szerepelhetnek-gyerekek-a-kozszolgalati-teve-menekultes-anyagaiban/

[12] მერტეკ მედია მონიტორი, მედია მიკერძოება უნგრეთში, რეფერენდუმის დროს, კამპანია ევროკავშირის ლტოლვილთა კვოტების შესახებ, 4 ოქტომბერი, 2016, http://mertek.eu/en/2016/10/04/dri-mertek-study-media-bias-hungary-durning-referendu-campaign-eu-refugee-quotas/

[13] ბაზრის მედია მონიტორი, შესავალი – ყალბი კაპიტალიზმი და მედია ბაზარი, 5 მაისი, 2016, http://mertek.eu/en/2016/05/05/soft-censorship-hungary-2015-2/

[14] D. Szalai, Csak egyvalaki lesz nagyobb a médiapiacon a Mészáros Lőrinc közelébe kerülő Mediaworksnél [მხოლოდ ერთი კომპანია იქნება უფრო დიდი, ვიდრე Mediaworks, კომპანია, რომლის უკანაცაა Lőrinc Mészáros], 26 ოქტომბერი, 2016, http://24.hu/media/2016/10/26/csak-egy-valaki-lesz-nagyobb-a-mediapiacon-a-meszaros-lorinc-kozelebe-kerulo-mediaworksnel/

[15] Felfüggesztették a Népszabadság kiadását [Népszabadság-ის გამოცემა შეჩერდა], 8 ოქტომბერი, 2016, http://index.hu/belfold/2016/10/08/felfuggesztettek_a_nepszabadsag_kiadasat/

[16] Globsec, ცენტრალური ევროპა პროპაგანდის ცეცხლის ქვეშ: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანალიზი ჩეხეთში, სექტემბერი, 2016, უნგრეთი და სლოვაკეთი, http://www.galerie9.com/blog/glb_trends_en.pdf

[17] Mertek Media Monitor, პოლიტიკური ინფორმაციის წყაროები უნგრეთში: მედიის სტრუქტურა ტრანსფორმირებამდე დამის შემდეგ, 2016 წლის ნოემბერი, http://mertek.eu/wp-content/uploads/2017/01/Mertek_newsconsumption_eng_2016.11.25.pdf

[18] იგივე

[19] Mertek Media Monitor, მედიის მფლობელობაში ბოლო ცვლილებები, 2016 წლის ნოემბერი, http://mertek.eu/wp-content/uploads/2016/11/mertek_media_owners2016.pdf

[20] იგივე

[21] A Kormány 1035/2012. (II. 21.) Korm. határozata Magyarország Nemzeti Biztonsági Stratégiájáról, Magyar Közlöny 19, 2012, http://2010-2014.kormany.hu/download/f/49/70000/1035_2012_korm_hatarozat.pdf

[22] A Kormány 1139/2013 (III.21.) Korm. határozata Magyarország Nemzeti Kiberbiztonsági Stratégiájáról, Magyar Közlöny 47, 2013, https://www.enisa.europa.eu/topics/national-cyber-security-strategies/ncss-map/HU_NCSS.pdf

[23] Panyi Sz., Lázár magasról tesz az orosz információs hadviselés elleni védekezésre. [ლაზარს ნამდვილად არ აწუხებს რუსული საინფორმაციო ომის წინააღმდეგ ბრძოლა], 8 თებერვალი, 2017, http://index.hu/belfold/2017/02/08/lazar_magasrol_tesz_az_orosz_informacios_haboru_elleni_vedekezesre/

# 2 კრემლის საინფორმაციო ზემოქმედების სტრატეგია

უნგრეთში რუსეთის საინფორმაციო გავლენა ძირითადად პოლიტიკურ პარტიებზეა დამოკიდებული, უნგრეთის საზოგადოების ტრადიციული უნდობლობის გამო რუსეთის მიმართ, რაც წარსულში დაძაბული ისტორიული ურთიერთობების შედეგია[24]. შედეგად, უნგრეთში ვითარება გარკვეულწილად უნიკალურია იმ მხრივ, რომ პოლიტიკურ ელიტას პრორუსული შეხედულებები აქვს, ხოლო ზოგადად მოსახლეობა უფრო პრო-ევროპული და პრო-ამერიკულია[25]. კრემლმა წარმატებით შექმნა უნგრული ტაბლოიდური მედია-ქსელი ყირიმის ანექსიამდე და მის შემდეგ, თუმცა მისი გავლენა შეზღუდულია ულტრა-მემარჯვენე იდეოლოგიით და ზოგადად ტრადიციულ, მეინსტრიმულ მედიაზე მოსახლეობის დამოკიდებულების გამო.

უნგრულ საზოგადოებაზე გავლენის მოხდენა ძალიან რთული აღმოჩნდა. უახლესი გამოკითხვების თანახმად, უნგრელების 53% მიიჩნევს, რომ ქვეყანას უფრო მჭიდრო კავშირები უნდა ჰქონდეს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ვიდრე რუსეთთან და მხოლოდ 25% აცხადებს საწინააღმდეგოს, მიუხედავად იმისა, რომ იგივე კვლევა აჩვენებს, რომ მმართველი მთავრობის ამომრჩევლები ყველაზე რუსოფილები არიან[26]. უნგრეთის მოსახლეობის წილი, რომელიც აღმოსავლეთზე ორიენტაციას ანიჭებს უპირატესობას, ძალიან დაბალია და 6 %-ია[27]. მიუხედავად ამისა, უნგრეთში ამჟამინდელი პრორუსული ნარატივები ევროკავშირის, ნატო-ს და დასავლეთის წინააღმდეგ განწყობების გაღვივებაზეა მიმართული, რაც მიგრაციის კრიზისის შემდეგ კიდევ უფრო გამძაფრდა და ეს გზავნილები არა მხოლოდ ალტერნატიულ მედიაში ვრცელდებოდა, არამედ მათ მთავრობაც ახმოვანებდა, ასევე უნგრეთის ხელისუფლებასთან დაახლოებული პრესა, მათ შორის საზოგადოებრივი საინფორმაციო არხიც[28]. პრო-სამთავრობო მეინსტრიმული მედია დეზინფორმაციას სამი არხით ავრცელებს: სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მთავარ არხზე M1 რუსულენოვანი საინფორმაციო პროგრამა გადის, რომელიც პრორუსული ნარატივის და შეთქმულების თეორიების ტირაჟირებას ახდენს[29]. პრო-სამთავრობო მედია საშუალებები ფორმალურად მხარს უჭერენ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას, თუმცა რუსეთის და პრეზიდენტ პუტინს უნგრეთის მთავარ მოკავშირედ წარმოაჩენენ ლიბერალური ძალებისგან ქრისტიანული ევროპის დასაცავად[30]. მიგრაციის საკითხზე უნგრეთის მთავრობის პოზიცია, მისი რიტორიკული შეტევები ევროკავშირსა და მიგრაციის პოლიტიკაზე, ხელს უწყობს რუსეთს თავისი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების მიღწევაში[31]. საგარეო საქმეთა და ვაჭრობის სამინისტროს (KKM) საგარეო ურთიერთობათა და ვაჭრობის ინსტიტუტის (KKI) ანგარიშში ნათქვამია, რომ უნგრეთი ადგილობრივი რუსულენოვანი აუდიტორიისთვის გარკვეულწილად პოზიტიურად არის წარმოდგენილი, თუმცა რუსულ მედიაში, რომელიც ინფორმაციას აწვდის დასავლურ აუდიტორიას, ევროკავშირსა და უნგრეთს შორის კონფლიქტი გაერთიანების დაშლის მაგალითად არის წარმოჩენილი[32]. უფრო მეტიც, იმ ქვეყნებისთვის, რომლებსაც რუსეთი „ახლო საზღვარგარეთად“ მიიჩნევს, უნგრეთი მადესტაბილიზებელ ელემენტად არის წარმოდგენილი, რომელსაც თითქოს აღმოსავლეთ კარპატების ანექსიის ამბიცია აქვს, უკრაინის სისუსტების დემონსტრირების მიზნით[33]. ბოლოს, KKI-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ უნგრეთს რუსული პროპაგანდა ხშირად რუსული გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად იყენებს[34].

ამჟამად, უნგრეთში არც ერთი უნგრულენოვანი რუსული მედია საშუალება ფუნქციონირებს, მას შემდეგ, რაც 2014 წლის ბოლოს რუსეთის უნგრული ხმა დაიხურა[35]. თუმცა, არსებობს ეჭვები, რომ ონლაინ პორტალი Hídfő, რომელიც ამჟამად რუსულ დომეინს იყენებს, რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით მოქმედებს[36]. ნეო-ნაცისტურმა ორგანიზაცია MNA-მა 2012 წელს ვებ-გვერდი დაარსა, რომელიც რუსეთის სადაზვერვო სამსახურებს აქტიური ღონისძიების ფარგლებში გადაეცა[37]. ალტერნატიული მედია საშუალებები, ბლოგები და სოციალური მედიის ისეთი გვერდები, როგორიცაა Hídfő, შეიძლება კრემლის პოზიციების გამხმოვანებლად მივიჩნიოთ, რადგან ისინი რუსეთის საგარეო პოლი-

[24] P. Krekó et al. კულტურის შეიარაღება

[25] იგივე

[26] P. Magyari, A magyarok többsége Amerikát választaná és nem Oroszországot [უნგრეთის უმრავლესობა ამერიკას აირჩევს და არა რუსეთს], 7 იანვარი, 2015, https://444.hu/2015/01/07/a-magyarok-tobbsege-amerikat-valasztana-es-nem-oroszorszagot/

[27] Globsec, ცენტრალური ევროპა პროპაგანდის ცეცხლის ქვეშ: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანალიზი ჩეხეთში, სექტემბერი, 2016, უნგრეთი და სლოვაკეთი http://www.galerie9.com/blog/glb_trends_en.pdf

[28] P. Krekó et al. კულტურის შეიარაღება

[29] იგივე

[30] იგივე

[31] Political Capital, Orbán tovább menetel a putyini úton, 3 თებერვალი, 2017, http://politicalcapital.hu/konyvtar.php?article_read=1&article_id=398

[32] B. Tölgyesi, Magyarország-kép az orosz és ukrán médiában 2016-ban [უნგრეთის აღწერა რუსულ და უკრაინულ მედიაში 2016 წელს], 2017 http://kki.gov.hu/download/f/4e/a1000/01_KKI-elemzes_HUN_Tolgyesi_20170105.pdf

[33] იგივე

[34] იგივე

[35] P. Krekó et al. კულტურის შეიარაღება

[36] A. Dezső and Sz. Panyi, Orosz diplomaták gyakorlatoztak a rendőrgyilkos brigádjával, 27 ოქტომბერი, 2016, http://index.hu/belfold/2016/10/27/orosz_hirszerzok_gyakorlatoztak_a_rendorgyilkos_harcosaival/

[37] იგივე



ტიკური მიზნების და არალიბერალური დღის წესრიგის პოპულარიზაციას ღიად და მუდმივად ახდენენ[38].

უკრაინული კრიზისის შემდეგ 100-ზე[39] მეტი Facebook გვერდი და ალტერნატიული ბლოგი აღმოჩნდა, რომელიც კრემლის დღის წესრიგის მხარდაჭერას ახდენდა. ამგვარი გვერდების ახალ ტალღას კი სწორედ მიგრაციის კრიზისმა დაუდო საფუძველი[40]. 2016 წელს, უნგრეთის მოსახლეობის მხოლოდ 16% აცხადებდა, რომ უფრო ენდობოდა ალტერნატიულ მედია საშუალებებს, ვიდრე მეინსტრიმულს[41], თუმცა ასეთი განწყობები მეტწილად მათ შორისაა, ვისაც საშუალო განათლება აქვს და ცხოვრობს ბუდაპეშტში ან მცირე დასახლებებში[42]. იობიკის ამომრჩევლები განსაკუთრებით მიდრეკილნი არიან, მოექცნენ ამ მედია საშუალებებით გავრცელებული ინფორმაციის გავლენის ქვეშ, რადგან ულტრამემარჯვენე პარტიის მხარდამჭერთა 41% უფრო ენდობა ალტერნატიულ მედიას, ვიდრე მეინსტრიმულს[43]. ალტერნატიული (და ზოგჯერ პრო-სამთავრობო) მედია ფართო სპექტრის თემებს აშუქებს კრემლის შიდა ღირებულებების და მისი გეოპოლიტიკური დღის წესრიგის წარმოსაჩენად, რასაც ისინი უნგრეთის კულტურულ თავისებურებებს არგებენ. ინტერესის ეს სფეროები მოიცავს უნგრეთში 1956 წლის რევოლუციას, ლიბერალიზმის კრახს შვედეთში, მიგრაციას, სირიაში რუსეთის თითქოსდა ანტიტერორისტულ ბრძოლას და უკრაინის შესახებ კარგად ცნობილ შეთქმულებებს[44].

საბოლოო ჯამში, უნგრეთზე პრორუსული პროპაგანდა მოქმედებს, რომელიც როგორც მეინსტრიმული, ასევე ალტერნატიული მედიით ვრცელდება და ხდება ქვეყნის იარაღად გამოყენება რუსეთის გეოპოლიტიკურ მიზნების მისაღწევად.

[38] P. Krekó et al. კულტურის შეიარაღება

[39] A. Báthorfy and Zsuzsa Szánthó, , Bivalybasznádi álhírvállalkozó és Oroszország magyar hangjai [ყალბი მედია მეწარმე არსაიდან და რუსეთის უნგრული ხმები], 2016, http://vs.hu/kozelet/osszes/bivalybasznadi-alhirvallalkozok-es-oroszorszag-magyar-hangjai-0407#!s1

[40] იგივე

[41] Globsec, ცენტრალური ევროპა პროპაგანდის ცეცხლის ქვეშ: საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის ანალიზი ჩეხეთში, სექტემბერი, 2016, უნგრეთი და სლოვაკეთი, http://www.galerie9.com/blog/glb_trends_en.pdf

[42] Political Capital-ის საკუთარი გათვლები, რომელიც ეფუძნება TNS ჰოფმანის 2016 წელს ჩატარებულ კვლევას Globsec Trends-ის კვლევისათვის.

[43] იგივე

[44] http://politicalcapital.hu/konyvtar.php?article_read=1&article_id=310

კრემლის გავლენის ინდექსი

3

## ნაწილი A1.
## გავლენა. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 62

ექსპერტთა აზრი რუსეთთან მიმართებით უნგრეთის პოლიტიკური პარტიების პოზიციის შესახებ საკმაოდ ერთგვაროვანია. პარტიების შეხედულებები რუსეთზე პოლიტიკურ აქტორებს შორის მემარჯვენე-მემარცხენეობის ხაზზე იყოფა. იობიკი ყველაზე პრორუსულ პარტიად მიიჩნევა კრემლის მიმართ მისი ადრეული „აღმოსავლეთის გახსნის“ პოლიტიკის, ასევე პარტიის წევრ ბელა კოვაჩის მიმართ ბრალდებების გამო, რომლის თანახმადაც, იგი ევროპულ ინსტიტუტებზე რუსეთის სასარგებლოდ ჯაშუშობდა. მმართველი Fidesz-KDNP კოალიცია ზოგადად დახასიათდა როგორც გარკვეულწილად პრორუსული, მიუხედავად პარტიების ძლიერი გეოპოლიტიკური შემობრუნებისა აღმოსავლეთისკენ 2010 წლის შემდეგ[45]. რესპონდენტებმა მეტწილად თავი შეიკავეს Fidesz-KDNP-ის მკვეთრად პრო-რუსულად შეფასებისაგან, რადგან, როგორც ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, უნგრეთის მთავრობა *„დასავლური სტრუქტურების ფარგლებში მოქმედებს“*. მეორე ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ *„ჩვენ არ ვართ მარიონეტული სახელმწიფო“* და მთავრობა ყოველთვის ხაზს უსვამს კრემლთან *„პრაგმატულ ურთიერთობებს“*.

მემარცხენე MSZP არც ანტირუსულ და არც პრო-რუსულ პარტიად შეფასდა, ხოლო მწვანე LMP – ანტირუსულად. განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ MSZP მთავრობაში იყო 2002 და 2010 წლებში, როდესაც მან გადაწყვიტა მხარი დაეჭირა მივიწყებული სამხრეთ ნაკადის პროექტისთვის და ხმა მისცა Paks 2-ის ბირთვული რეაქტორის მშენებლობას, რომელსაც Rosatom-ი 2018 წელს დაიწყებს. პროექტი რუსეთის მხრიდან 10 მილიარდ ევროიანი კრედიტით ფინანსდება. ამგვარად, რესპონდენტებმა MSZP-ის ამჟამინდელი ანტირუსული პოზიცია არადამაჯერებლად მიიჩნიეს. ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„ხელისუფლებაში ყოფნის შემთხვევაში, MSZP მოსკოვის მიმართ იგივეს მოიმოქმედებდა“*. მწვანე LMP-ს ასეთი პრობლემები არ ახასიათებს, რადგან პარტია 2009 წელს, 2010 წლის არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე შეიქმნა.

ექსპერტების აზრით, თითოეული პარტიის მედია გავლენა, მათი ოფიციალური პოლიტიკური პოზიციის შესაბამისი იყო. 2012 წლიდან უნგრეთის პრეზიდენტი იანოშ ადერი არც ანტირუსულ, არც პრო-რუსულ პოლიტიკოსად ჩაითვალა, რადგან მას უნგრეთის პოლიტიკურ დისკურსში რუსეთთან მიმართებით აზრი არ გამოუთქვამს. ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან რუსეთის ფედერაციის მხარდაჭერის არცერთი შემთხვევა არ არის ცნობილი, თუმცა რესპონდენტები ფიქრობენ, რომ ადგილობრივი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ან თვითონ ხელისუფლება შესაძლოა, კრემლს უჭერდეს მხარს. ადგილობრივ დონეზე ბუნდოვანებას ორი ფაქტორი განაპირობებს: არ არსებობს მნიშვნელოვანი პრორუსული მოძრაობები ადგილობრივ დონეზე, რადგანაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი რუსული დიასპორა არ არის. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ადგილობრივი პოლიტიკოსი პრორუსულ ხაზს მიჰყვება, რადგან ეს მათი პარტიის ოფიციალური პოლიტიკაა. ადგილობრივი პრორუსული პოლიტიკის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სახელმწიფო შესყიდვების ტენდერი, რომელიც რუსულმა კომპანიამ მოიგო ბუდაპეშტის მეტროს რეკონსტრუქციისთვის, სადაც კორუფციის ნიშნები იკვეთება.

## ნაწილი A2.
## გავლენა. მედია განზომილება. ქულა: 52

ჩვენ არ შეგვიძლია საუბარი საზოგადოებრივ აზრზე რუსული მედიის ძლიერ გავლენაზე, რადგან უნგრეთის მედია სივრცეში რუსული მედია არ ფუნქციონირებს და უნგრეთის მოსახლეობა არ საუბრობს რუსულ ენაზე, არ აქვს პირდაპირი წვდომა რუსულ მედიაზე ინტერნეტის საშუალებით ან სატელიტით. მეორე მხრივ, პრო-რუსული მედია არსებობს ან მეინსტრიმული მედიუმების სახით, რომელთაც პრო-რუსული მმართველი Fidesz-KDNP-ის კოალიცია და ულტრა-მემარჯვენე იობიკი აკონტროლებს, ან

[45] მიუხედავად იმისა, რომ კითხვარი Fidesz და KDNP-ს ცალ-ცალკე განიხილავს, ისინი პოლიტიკური თვალსაზრისით ერთ პოლიტიკურ აქტორს წარმოადგენენ. მათ აქვთ ცალკეული ფრაქციები პარლამენტში, მაგრამ ქრისტიან-დემოკრატიული პარტია KDNP არჩევნებში ძირითად მემარჯვენე პარტიად Fidesz-თან ერთად გამოდის და მათი პოლიტიკური კომუნიკაცია კოორდინირებულად ან სრულ თანხვედრაშია Fidesz-თან.

ტაბლოიდური მედია პლატფორმების სახით, რომელთაც უცნობი ავტორები ჰყავთ. ამდენად, როდესაც ექსპერტები საუბრობდნენ, რომ კრემლის ნარატივი პოპულარულია ზოგიერთ გამოკვეთილ ჯგუფში, ან რუსული მედია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს უნგრეთის საზოგადოებრივ აზრზე, ისინი გულისხმობენ უნგრეთის მფლობელობაში არსებულ ან /და ფუნქციონირებად მედია საშუალებებს, რომლებიც რუსულ ნარატივს ავრცელებენ. ექსპერტების აზრით, ეს მგრძნობიარე ჯგუფები პარტიების პოლიტიკური ბაზის საფუძველზე ვლინდება, შეადგენენ რა *„ფიდესის თუ იობიკის ძირითად ამომრჩეველს“*, რადგან *„ფიდესის მიმართ ლოიალურობა ტრადიციულ მემარჯვენე ანტირუსულ პოზიციას ძლევს“*. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„კომუნისტური დაზვერვის ვეტერანები“*, რომლებიც სავარაუდოდ ნაწილობრივ ჩართულნი არიან ამგვარი მედიასაშუალებების საქმიანობაში, აუდიტორიის მეორე პრორუსული ჯგუფია. *„უკრაინა ფაშისტურია“* ნარატივი შეიძლება საკმაოდ ეფექტიანი იყოს *„კომუნისტების“* ძველ თაობას შორის, განაცხადა ექსპერტმა.

უნგრული მედიის პრორუსული პოზიციის შესაფასებლად ავტორებმა აირჩიეს სამი ყველაზე პოპულარული სატელევიზიო არხი, ბეჭდური ყოველდღიური გაზეთები, რადიოები და ონლაინ საინფორმაციო საშუალებები[46]. ამ მედიასაშუალებების პრორუსული პოზიცია ხელისუფლების/ოპოზიციის პოზიციის შესაბამისია, რადგანაც მედიის უმრავლესობა მმართველი Fidesz-KDNP-ის მიერ კონტროლირდება და საინფორმაციო მედიის მეშვეობით ცენტრალიზებულად ავრცელებს სამთავრობო ან პრორუსულ ნარატივებს. ამრიგად, კომერციული ონლაინ პორტალი Origo.hu, სატელევიზიო არხი TV2, ყოველდღიური Magyar Idok, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული Kossuth რადიო, ისევე როგორც Petofi რადიო შეიძლება ჩაითვალონ მანიპულატორებად, რომლებიც კრემლის სასარგებლოდ ამახინჯებენ ინფორმაციას. თითქმის ყველა დამოუკიდებელი მედია, ყოველდღიური “Magyar Nemzet”-ის გარდა ექსპერტებმა სრულად ობიექტურად ან მიუკერძოებლად მიიჩნიეს. Magyar Nemzet ეკუთვნის ერთ-ერთ უდიდეს ოლიგარქს, ლაიოშ შიმიჩკას, რომელსაც პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან 2014 წლის შემდეგ კონფლიქტი აქვს. შესაბამისად, მისი გეოპოლიტიკური პოზიცია უფრო პროდასავლური გახდა. ექსპერტებმა ვერ მოახერხეს სხვა რომელიმე მედია საშუალების, როგორც სრულიად არაზუსტის და მიკერძოებულის დასახელება, მათ ეს კატეგორია მიაკუთვნეს ღიად ტაბლოიდურ პრორუსულ მედიას.

რაც შეეხება გავლენას, რესპონდენტების აზრით, უნგრული საზოგადოება ან ენდობა ან იყენებს პრორუსულ მედიას, მიუხედავად მათი მანიპულაციური მცდელობისა, რადგან როგორც ერთი ექსპერტი აღნიშნავს, *„საზოგადოება ეძებს იმ წყაროებს, რომლებიც დააბალანსებენ ლიბერალურ გზავნილებს, მაგალითად, CNN-ის“.*



## ნაწილი A3.
## გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება.
## ქულა: 28

სამოქალაქო საზოგადოება ყველაზე ნაკლებად განიცდის რუსეთის საინფორმაციო გავლენას იმის გამო, რომ გაზიარებული რუსოფილური ისტორია, მართლმადიდებლობა თუ პანსლავური იდეოლოგია უნგრულ საზოგადოებაში და მის ინსტიტუტებში არ არსებობს. ამ მიზეზით, რესპონდენტებმა მხოლოდ ერთი ან ორი პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაცია დაასახელეს, როგორიცაა მაგალითად, ტოლსტოის ასოციაცია ან Lakitelek Népfőiskola (ლაკიტელეკის სახალხო კოლეჯი), რომელიც ეროვნული ასამბლეის დეპუტატის, შანდორ ლეჟაშკის მიერ დაარსდა. ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ რეალურ საფრთხეს არა პრო-რუსული ორგანიზაციები, არამედ პრო-სამთავრობო ორგანიზაციები ან მთავრობის მიერ შექმნილი არასამთავრობო ორგანიზაციები (GONGO) წარმოადგენენ. მაგალითად, სამოქალაქო Összefogás Fórum-ის (სამოქალაქო საზოგადოების საზოგადოებრივი სარგებლის ფონდი), რომელიც მოდელირებული იყო რუსეთის მაგალითზე. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, „CÖF- ის მეთოდი რუსულია, (...) ეს არის რუსული რეცეპტი ხელისუფლების მხარდასაჭერად მასობრივი მოძრაობის შესაქმნელად“.

[46] ძირითადი სატელევიზიო არხი M1 სიაში არ შედიოდა დაბალი ყურებადობის გამო, თუმცა არხი ეყრდნობა ცენტრალურ ოფიციალურ საინფორმაციო გამოშვებას, hirado.hu, ყველა სხვა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მედია, Kossuth Radio და Petofi Radio ასახავს საზოგადოებრივი მედიის ოფიციალური კომუნიკაციის ხაზს. ამ მიდგომის კიდევ ერთი მიზეზი იყო უნგრეთში დამოუკიდებელი მედიის ნაკლებობა, ვინაიდან ყველა მედიის ორი მესამედი არის ან საზოგადოებრივ მედია ან Fidesz-KDNP-ს მმართველი კოალიციის დაახლოებულ ოლიგარქებს ეკუთვნის.



რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის გავლენა ასევე უმნიშვნელოა, რადგან უნგრეთში ძალიან ცოტა მიმდევარი ჰყავს ამ რელიგიას და მოსახლეობა ძირითადად კათოლიკე ან კალვინისტია. თუმცა, ერთ-ერთმა ექსპერტმა დასძინა, რომ მართლმადიდებელი ეკლესია შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს *„მცირე სუბკულტურებში“*. მეორე ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„FSB კვლავ იყენებს“* უნგრეთში მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობას თავისი მიზნებისთვის. საერთოდ, უნგრეთის არცერთ ეკლესიას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა საზოგადოებაზე, რადგან ისინი მედია არხებს არ ფლობენ, გარდა ორმოცდაათიანელთა ეკლესიისა, რომელსაც ATV სატელევიზიო არხი ეკუთვნის.

ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხი აკადემიური ინსტიტუტების გეოპოლიტიკური პოზიცია იყო. ერთის მხრივ, აკადემიურმა პერსონალმა კრემლის ბერკეტები უნგრეთის აკადემიურ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად შეამცირა, რადგან პრორუსული სასწავლო პროგრამა, როგორც ასეთი, არ არსებობს. პირიქითაც კი, ისტორიკოსები კვლავ კომუნისტურ წარსულს იკვლევენ და პერიოდულად ითხოვენ იმ დროის უშიშროების ფაილების გასაჯაროებას. მეორეს მხრივ, სხვა ექსპერტებმა მიუთითეს ნახევრად აკადემიურ აქტივობებსა თუ ინსტიტუტებზე, როგორიცაა მაგალითად Lakitelek Népfőiskola (ლაკიტელეკის სახალხო კოლეჯი).

ექსტრემისტული ორგანიზაციები და შეიარაღებული დაჯგუფებები ცალკეული მხარდამჭერების ან ცალკეული სოციალური ჯგუფების მეშვეობით კრემლის დღის წესრიგის განხორციელებაში ზომიერ როლს ასრულებენ. ეს უკანასკნელი გასაკვირი არ არის, რადგან უნგრეთის შეიარაღებული ორგანიზაციები პრორუსული ულტრამემარჯვენე იობიკის გარშემო მჭიდრო სუბკულტურას ქმნიან. ექსპერტთა გათვლით, გასამხედროებულ საქმიანობაში *„რამდენიმე ათასი ადამიანი“* შეიძლება იყოს ჩართული. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ რევიზიონისტი Hatvannégy Vármegye Ifjúsági Mozgalom (სამოცდაოთხი საგრაფოს ახალგაზრდული მოძრაობა) რუსეთის ჩარევის ნიშანს ატარებს, ორგანიზაცია *„როგორც ჩანს, გარედან არის შექმნილი და აღმოსავლეთ კარპატეთის ავტონომიის მინიჭებას ისახავს მიზნად*[47]*“*.

## ბლოკი B1.
## რეაგირება. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 88

უნგრეთის პოლიტიკური სფერო აშკარად ყველაზე მეტად მგრძნობიარეა რუსეთის დეზინფორმაციულ გავლენაზე, ვინაიდან მემარჯვენე მმართველი Fidesz-KDNP და ულტრა-მემარჯვენე იობიკი პრორუსულ საგარეო პოლიტიკას სთავაზობენ ამომრჩეველს, რომელიც 2010 წლიდან მკვეთრად გადაიხარა მემარჯვენეობისკენ. ამდენად, პრორუსული განწყობები უნგრეთში თითქმის მთლიანად ელიტიდან მართული ფენომენია, რაც კრემლის წინააღმდეგ უნგრეთის სახელმწიფოს ამჟამინდელ ან მომავალ თავდაცვით შესაძლებლობებს ასუსტებს.

ექსპერტები ძალზედ თანმიმდევრულები იყვნენ შეფასებაში, რომ არსებულ ვითარებაზე ადეკვატური პოლიტიკური პასუხების ნაკლებობა შეინიშნებოდა. გამოიკვეთა ერთიანი პოზიცია, რომ რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციული საქმიანობა საფრთხედ არ არის შეფასებული უნგრეთის სახელმწიფოს ისეთ დოკუმენტებში, როგორიცაა უსაფრთხოების სტრატეგია ან საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ამის საპირისპიროდ, უნგრე-

[47] კარპატეთი არის უკრაინის დასავლეთ ნაწილში უნგრეთის მოსაზღვრედ რეგიონი უნგრული უმცირესობით. ტერიტორია პირველ მსოფლიო ომამდე ავსტრიულ-უნგრეთის მონარქიის შემადგენლობაში იყო, უნგრეთის რევიზიონისტული მოძრაობები მას განიხილავენ, როგორც უნგრეთის ერთ-ერთი „დაკარგულ ტერიტორიას“.

თის დაზვერვის თანამშრომლებმა 2013 წელს გამოთქვეს საყვედური იმის შესახებ, რომ მათ ოპერატიულ-ტექნიკური დაზვერვისთვის ადეკვატური რესურსები არ გააჩნდათ. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„სახელმწიფო თავს იცავს არასწორი მიმართულებით, ის იცავს თავს დასავლეთის გავლენისგან (...) არის უამრავი სტატია რუსული გავლენის შესახებ და უნგრეთის სახელმწიფო ამ თემაზე არც კი საუბრობს“*. მედიის და სიტყვის თავისუფლების მარეგულირებელი სახელმწიფო სტრატეგიები და დოქტრინები პრობლემების გარკვეულ მოგვარებას გვთავაზობს, თუმცა ისინი საკმარისად ეფექტიანი არ არის. ექსპერტების საერთო მოსაზრება იყო, რომ დაზვერვაში მოქმედებენ ინსტიტუტები, რომელთა უფლებამოსილებაში რუსეთის ფედერაციის საინფორმაციო საქმიანობის შესწავლა შედის, თუმცა რესპონდენტებმა გამოთქვას სკეპტიციზმი, თუ რამდენად ზედმიწევნით სრულდება ეს ამოცანები. როგორც ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„ისინი არ ახდენენ სათანადო დაზვერვით გამოფვრას საგარეო საქმეთა სამინისტროში ან საზღვარგარეთ, მოსკოვში (...), ისინი უუნაროები არიან უნგრეთის საინფორმაციო სააგენტოს, საზოგადოებრივი მედიის ან პოლიტიკის დაცვის მხრივ“*. გარდა ამისა, ეროვნული მედია და ინფორმაციის და კომუნიკაციის მარეგულირებლები *„სრულიად პასიურობენ ამ კუთხით“*. როდესაც ეს ინსტიტუტები მოქმედებენ, ისინი ინფორმაციული უსაფრთხოების ფუნქციებს სათანადოდ ვერ ასრულებენ ან უუნაროები არიან *„პოლიტიკური მოტივების“* გამო.

ამრიგად, მთავრობას არ აქვს არვითარი გავლენა უნგრეთის მოქალაქეთა მედია წიგნიერების ამაღლების ან რუსული დეზინფორმაციის შესახებ ცნობიერების გაზრდის მხრივ. ექსპერტების ერთიანი მოსაზრება იყო, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერილი მედია წიგნიერების აქტივობების მხრივ არავითარი მცდელობა არ იკვეთება. ერთი ექსპერტის აზრით, *„სადაზვერვო სამსახურები სათანადო ცოდნას რომ ფლობდნენ, რომელიც მათ არ გააჩნიათ, ისინი ამ მიმართულებით სამოქალაქო საზოგადოების განათლებას უნდა ახდენდნენ“*. ერთი მნიშვნელოვანი დასკვნაა ის, რომ უნგრეთის მთავრობასა და კრემლს შორის ასიმეტრიული ურთიერთობებია, რაც მოტივაციას უკარგავს უნგრეთის პოლიტიკურ ელიტას, დაიცვას საკუთარი თავი, რამდენადაც მოსკოვი იყენებს გრძელვადიან უნგრულ-რუსული გაზის კონტრაქტებს ან 10 მილიარდი ევროს ღირებულების PAKS-2 პროექტს, როგორც შანტაჟის იარაღს.

# ბლოკი B2.
## რეაგირება. მედია განზომილება.
## ქულა: 70

უნგრეთის მედიაზე უკიდურესად დიდ გავლენას ახდენს პრორუსული მთავრობა, რისი შედეგიცაა უნგრეთის მედია საშუალებების უმრავლესობის მიერ კრემლისტური პოზიციების ტირაჟირება, სახელმწიფოს ან ფიდესთან დაახლოებული ოლიგარქების ზეწოლის შედეგად. მხოლოდ დამოუკიდებელი საინფორმაციო საშუალებებისა და საგამოძიებო მედიის მცირე ნაწილი აქვეყნებს კრიტიკულ მასალებს ბუდაპეშტსა და მოსკოვს შორის ურთიერთობის შესახებ, მათ შორის უნგრეთში კრემლის დეზინფორმაციულ საქმიანობაზე.

საერთო ჯამში, რესპონდენტების აზრით, ეროვნულ მედიას მეტად შესწევს უნარი დაიცვას ობიექტურობის სტანდარტები, გამოავლინოს პროპაგანდა და მანიპულაციები, ასევე დაიცვას ჟურნალისტების დამოუკიდებლობა ცენზურისაგან. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„ადგილობრივ მედიას ზოგადად უფრო დაბალი სტანდარტები ახასიათებს, ვიდრე ეროვნულ მედიას“*. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც განაპირობებს უნგრეთის ადგილობრივი მედიის სუსტ მუშაობას არის ის, რომ ადგილობრივი პრესის ყოველდღიური ჟურნალების უმრავლესობა ახლახანს პრემიერ-მინისტრ ორბანთან დაახლოებულმა ოლიგარქმა ლორინც მესაროშმა შეიძინა.

ნაციონალური დაფარვის მედიაში კრემლის დეზინფორმაციის გაშუქება საშუალოდ შეფასდა, რაც იმას ნიშნავს, რომ თემა მედიაში ხშირად განიხილება, მაგრამ ის არ არის ყურადღების ცენტრში. ექსპერტებმა ამ მოვლენის ორ მიზეზი დაასახელეს. პირველი, დეზინფორმაციის საკითხი უნგრეთის პოლიტიკური დისკურსის ცენტრალური თემა არასოდეს ყოფილა. *„მთავრობა, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს მოიცავს, არ არის დაინტერესებული ან ინდიფერენტულია დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, ხოლო ოპოზიცია სუსტია და მხოლოდ მაშინ განიხილავს ამ საკითხს, როდესაც გარკვეულ პოლიტიკურ სარგებელს მოელის“*, – განაცხადა ერთ-ერთმა ექსპერტმა. მეორე, თავად თემა ძალიან ვიწროა იმისათვის, რომ დიდი აუდიტორია მოიზიდოს. მეორე ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„მკითხველს ნამდვილად არ აინტერესებს, ... ჯაშუშობის სკანდალმა შეიძლება მათ ყურამდეც მიაღწიოს, ვინც საგარეო პოლიტიკის საკითხებში ნაკლებ ინფორმირებულია, თუმცა საინფორმაციო ომი თვით საგარეო პოლიტიკის ფარგლებში ვიწრო სფეროა, რომელიც მხოლოდ ჟურნალისტებსა და ინტელექტუალებს*

*აინტერესებთ“*. იგივე ექსპერტმა დეზინფორმაციის მეტად გაშუქების მხრივ არსებული პროფესიული სირთულეები განმარტა: *„ეს თემა ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას არ ეხება, ამიტომ ვერცერთი რედაქცია ყოველკვირეულად დროს ამ თემას ვერ დაუთმობს“*. ამდენად, გასაკვირი არ არის, რომ რესპონდენტთა უმრავლესობამ მიიჩნია, რომ რუსული დეზინფორმაციის მხილება პროფესიონალთა მცირე ჯგუფით შემოიფარგლება, რამდენიმე პროექტის ფარგლებში, რომელიც ამ საკითხებზეა ფოკუსირებული. ჟურნალისტმა რესპონდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მიზეზი, როგორც შესაძლებლობები, ასევე თემების ხელმისაწვდომობაა. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„სიმართლე ორ ვარიანტს შორისაა. არსებობს 4-5 თემა, რომელიც ჩვენ შეგვიძლია განვავრცოთ, მეტი რესურსებისა და დროის არსებობის შემთხვევაში. ამ საკითხზე რეგულარულად მხოლოდ ორი ჟურნალისტი ვმუშაობთ, თუმცა სხვა მედიასაც შეუძლია ეს საკითხები ფრაგმენტულად გააშუქოს. ჩვენ გვაკლია საექსპერტო ბაზა, არსებობს ათეულობით ადამიანი და ამ ჯგუფშიც ყველა ყველას იცნობს. (...) ჩვენ ასევე განვიცდით თემების დეფიციტს, (...) დიდი ამბავი მხოლოდ ნახევარ წელიწადში ერთხელ გამოდის სააშკარაოზე“*.

## ბლოკი B3.
## რეაგირება. სამოქალაქო საზოგადოება. ქულა: 68

უნგრეთის ძირითადი პოლიტიკური ძალების (Fidesz და Jobbik) პრორუსული პოზიცია დიდ დაღს ასვამს სამოქალაქო წინააღმდეგობას რუსულ დეზინფორმაციასთან მიმართებაშიც. მთავრობის ბოლო საკანონმდებლო ინიციატივა დამოუკიდებელი არასამთავრობო ორგანიზაციები *„უცხოურ დაფინანსებულ ორგანიზაციებად“* დაარეგისტრიროს პირდაპირ მიჰყვება კრემლის ხაზს. ეს ნაბიჯი ხელს უწყობს GONGO ორგანიზაციებს, რომლებიც მთავრობის დაფუძნებული და მხარდაჭერილია[48]. ძალაუფლებისა და მიკერძოებული კანონმდებლობის კომბინაცია, რომლის სამიზნე არასამთავრობო ორგანიზაციები და GONGO-ებია, ნიშნავს იმას, რომ დეზინფორმაციასთან ბრძოლაში მთავრობისა და არასამთავრობოების ნებისმიერი ერთობლივი ძალისხმევა ძალზედ სათუოა. შესაბამისად, ასეთ ქმედებებში სახელმწიფოს ნებისმიერი ჩართვა წარმატების მაჩვენებელს ამცირებს, ვიდრე აძლიერებს არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობებს კრემლის გავლენასთან ბრძოლაში. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, რომ *„არსებობს პროექტები, რომლებიც ინიცირებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ, თუმცა სახელმწიფო არ იჩენს ღიაობას მათ მიმართ. სახელმწიფო დევნის არასამთავრობო ორგანიზაციებს“*. დამოუკიდებელი და პროპაგანდის საქმეში სპეციალიზებული არასამთავრობო ორგანიზაციების სიმცირის გამო, უნგრეთის სამოქალაქო საზოგადოებას მხოლოდ ნაწილობრივ შესწევს ძალა დეზინფორმაციის პრობლემის სათანადოდ იდენტიფიცირება მოახდინოს, ამასთანავე მათი ხმა მარგინალიზებულია საზოგადოებაში. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„დეზინფორმაციის აღქმა ოპოზიციურ ინტელექტუალებს შორის უნდა ვეძებოთ, თუმცა ისინი მეინსტრიმში არ არიან. 6-7 მილიონი ადამიანია, რომელსაც არ მიუწვდება ხელი ამ ინფორმაციაზე, რადგან ქალაქგარეთ ცხოვრობს და ადგილობრივ მედიას მოიხმარს. არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, პოლიტიკური კაპიტალი, CEID, ყოფილი საგარეო საქმეთა ინსტიტუტი, რომელთა მიღმა უბრალოდ არ არსებობენ ორგანიზაციები“*, ვინც ამ ამოცანას თავს გაართმევს. სამოქალაქო საზოგადოების კონკრეტული შესაძლებლობები სპეციალიზებული ინსტიტუტების ნაკლებობას ასახავს. ჟურნალისტების და ოფიციალური პირების ცოდნა ფაქტების გადამოწმებაში, სტრატეგიულ კომუნიკაციასა და პოლიტიკურ კონტზომებში დაბალი მაჩვენებლით შეფასდა, რადგან ამ მიმართულებით არც საქმიანობა, არც სპეციალიზებული ინსტიტუტები და ხელმისაწვდომი გამოცდილება არ არსებობს. დეზინფორმაციის მონიტორინგი და პრორუსულ ტაბლოიდურ მედიაზე რეაგირება უფრო მაღალი ქულით შეფასდა, რადგან რამდენიმე ინსტიტუტი მაინც საქმიანობს ამ მიმართულებით. მოქალაქეთა მედია წიგნიერების საკითხზე მოსაზრებები გაიყო.

სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობა პროპაგანდის წინააღმდეგ უნგრეთის სახელმწიფოსა და სახელმწიფო ინსტიტუტების დისფუნქციაზე მეტყველებს. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო აქტორებსა და მედიას შორის ან სახელმწიფო აქტორებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა მინიმალურია ან საერთოდ არ არსებობს. როგორც ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *„უნგრეთი სხვა გზას ადგას, ის სხვა გუნდში თამაშობს“*. სამოქალაქო საზოგადოების და მედიის, სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობა ძალზედ მჭიდროდ ჩაითვალა, ინტენსიური დიალოგითა და პროექტებზე დაფუძნებული თანამშრომლობით.

მიუხედავად ამისა, ერთმა რესპონდენტმა სამოქალაქო საზოგადოების ქმედებები პოლიტიკური ნიშნით ეჭვქვეშ დააყენა, *„სამოქალაქო აქტორები უნგრეთში დარტმის ქვეშ არიან, ასე რომ წარმატება იშვიათია (...) ამასთანავე ვერ ვიხსენებ სამი არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლობას, რომელსაც ხელშესახები შედეგი მოჰყვა. არსებობს მხოლოდ რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელსაც შეუძლია თანამშრომლობა და ისინი ერთიდაიგივეს აკეთებენ, გამოსცემენ ანალიზებს და აორგანიზებენ კონფერენციებს“*. მედია აქტორებს შორის ურთიერთობა უფრო პრობლემატურია, ზოგი ამტკიცებდა, რომ წარმატებული პროექტების ნაკლებობაა, ზოგის აზრით კი დიალოგის დამყარების და კოორდინაციის მცდელობები სახეზეა. ერთ-ერთი ექსპერტის აზრით, ამ თვალსაზრისით არსებითია მედიის ბუნება, *„მედიის ფუნქცია არ არის თანამშრომლობა (...) დამოუკიდებელ მედიასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობა არ უნდა არსებობდეს, სახელმწიფო უნდა თანამშრომლობდეს საზოგადოებრივ მედიასთან“*.

[48] Amnesty International, უნგრეთი: არასამთავრობო ორგანიზაციების ბრენდირება წაავავს რუსეთის „უცხოური აგენტების კანონს“, 7 აპრილი, 2017, https://www.amnesty.org/en/latest/news/2017/04/hungary-plan-to-brand-ngos-has-sombre-echoes-of-russias-foreign-agents-law/



## კვლევაში მონაწილე ექსპერტები:

- **დეჟო ანდრეშ**, index.hu
- **იუჰას ატილა**, პოლიტიკური კაპიტალი
- **თამაშ ბოდოკი**, atlatszo.hu
- **ჰუნიადი ბულჩუ**, პოლიტიკური კაპიტალი
- **ანდრეშ დეაკი**, რეგიონული და ეკონომიკური კვლევების ცენტრი, HAS, მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუტი, უნგრეთის მეცნიერების აკადემია
- **ბაბეტ ოროსი,** RTL Klub
- **გაბორ პოლიაკი**, პროფესორი, ბუდაპეშტის კორვინუს უნივერსიტეტი
- **ანდრეშ რაცი**, Pázmány Péter-ის კათოლიკური უნივერსიტეტი
- **პანი საბოლჩი**, index.hu
- **იანოშ სეიკი**, Élet és Irodalom
- **ედიტ ზგუტი**, პოლიტიკური კაპიტალი

**დედაქალაქი:**

კიევი

**პოლიტიკური სისტემა:**

საპარლამენტო-საპრეზიდენტო რესპუბლიკა

**მოსახლეობა:**

42,3 მლნ (ოკუპირებული ყირიმის გარეშე)



# უკრაინა

**მშპ ერთ სულ მოსახლეზე:**

2,1 ათასი აშშ დოლარი

**ურბანიზაცია:**

69% ქალაქი

31% სოფელი

**ეთნიკური შემადგენლობა:**

77,8% უკრაინელი

17,3% რუსი

4,9% სხვა





ზოგადი ინდექსი
49




კონტექსტი
1

## 1.1 პოლიტიკური მოვლენები

**მიმოხილვა.** 1990-იანი წლებიდან უკრაინისთვის დამახასიათებელია ოლიგარქიული სოციალური მოდელი, რომელშიც ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა ერთეული ბიზნესისა და პოლიტიკური ჯგუფების ხელშია აკუმულირებული. პოლიტიკურ დაპირისპირებას მეტწილად ამ ჯგუფებს შორის ინტერესთა კონფლიქტის სახე აქვს; ხოლო პოლიტიკური პარტიები მოქმედებენ, როგორც მათი პოლიტიკური აგენტები. სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური გავლენისკენ მიისწრაფვის; იგი ცდილობს, ოლიგარქიული ოპოზიცია თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს ნაწილობრივ ევოლუციებისა და რევოლუციების მეშვეობით (2004 და 2014 წლის მოვლენები).

2013-2014 წლების მოვლენებმა, ანუ ღირსების რევოლუციამ, უკრაინაში დემოკრატიულ პროცესებს ახალი ბიძგი მისცა. სახელმწიფოს ავტორიტარული ზეწოლა შემცირდა; სიტყვისა და პოლიტიკური გამოხატვის თავისუფლება რეალური გახდა. ყველა დონეზე პოლიტიკის შემუშავებაში არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა უფრო აქტიური გახდა. 2014-2017 წლებში მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, მათ შორის ადმინისტრაციული, ჯანდაცვის, სამართალდამცავი და ა.შ. მთავრობის მხრიდან მედიის რეგულირება აქტიურად მიმდინარე პროცესია. საერთაშორისო პარტნიორებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ზეწოლამ ამ რეფორმის სტიმულირებისათვის არც თუ მცირე როლი შეასრულა.

2014 წლიდან უკრაინის ტერიტორიების 7% მთავრობის მიერ ვერ კონტროლდება (44 ათასი მ2: ტერიტორიები აღმოსავლეთით და ყირიმის ნახევარკუნძულზე). რუსეთმა ყირიმის ანექსია მოახერხა, მაგრამ მსოფლიო თანამეგობრობა ამ ფაქტს არ აღიარებს. აღმოსავლეთ უკრაინის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მარიონეტული რეჟიმები

ჩამოყალიბდა: „დონეცკის სახალხო რესპუბლიკა“ (DPR) და „ლუგანსკის სახალხო რესპუბლიკა“ (LPR); მათ მხარს შეიარაღებული ჯგუფები უჭერენ. რუსული სამხედრო აგრესიისგან ქვეყნის დაცვას 10 ათასზე მეტი უკრაინელი შეეწირა. ომი უკრაინულ ეკონომიკას ძირს უთხრის და იმ რესურსების ამოწურვას იწვევს, რომლებიც შესაძლოა, რეფორმებს მოხმარებოდა.

ომი დამოკიდებულებების პოლარიზებას ახდენს, რითაც პოლიტიკოსები სარგებლობენ. ადამიანები იღლებიან ომით, ცხოვრების დონის ვარდნით; მთავრობის პოლიტიკა ოკუპირებული ტერიტორიების, იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ, თავდაცვის საკითხებზე გაუგებარი და არათანმიმდევრულია. ეს არის ბერკეტი ხელისუფლების გასაკრიტიკებლად და ანტი-სამთავრობო და ანტი-სამხედრო (პრაქტიკულად დანებების) განწყობების გასაღვივებლად. თუმცა, ხელისუფლება აქტიურად იყენებს სამხედრო და პატრიოტულ ენას საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად.

რუსულ აგრესიაზე ხალხს ერთიანი აზრი არ აქვს. საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მითებს და კრემლის მიერ დადგენილ რწმენებს მეტ-ნაკლებად იზიარებს. უკრაინის სამხრეთით ვითარება განსაკუთრებით მგრძნობიარეა, რადგან იქ მცხოვრები რუსულენოვანი მოსახლეობა რუსულ მსოფლმხედველობას იზიარებს. კორუფცია, ეკონომიკური პრობლემები, მთავრობის არაეფექტიანი კომუნიკაცია ამ პროცესს ხელს უწყობს.

უკრაინის პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევა 2014 წლის ღირსების რევოლუციის შემდეგ მოხდა. პეტრო პოროშენკო პრეზიდენტი გახდა. პრეზიდენტი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ფიგურაა; იგი არის ქვეყნის მთავარსარდალი, ამიტომ მისი გამოსვლები რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლისკენ მოწოდებებს შეიცავს, თუმცა ის არასდროს კვეთს სიძულვილის ენის ან დაუფარავი მილიტარიზმის ხაზს.

პარლამენტი (უკრაინის უმაღლესი რადა) შერეულია (დეპუტატების ნახევარი მაჟორიტარულ ოლქებში აირჩევა, მეორე ნახევარი – პარტიული სიით); ძირითადი ფრაქციებია: პეტრო პოროშენკოს ბლოკი (BPP) (31%), სახალხო ფრონტი (18%), ოპოზიციის ბლოკი (10%), სამოპომიჩი (6%), ბატკივშინა (სამშობლო) (4%) და რადიკალური პარტია (4%). ყველა მათგანი, ოპოზიციის ბლოკის გარდა, პატრიოტულ და კრემლის საწინააღმდეგო რიტორიკას იყენებს. პარლამენტის ამჟამინდელი შემადგენლობა პოლიტიკური პარტიების რეალურ სოციალურ მხარდაჭერას არ ასახავს: ბოლო ორი წლის განმავლობაში პრეზიდენტის პარტიამ პოპულარობა დაკარგა და დღესდღეობით BPP-ს, სახალხო ფრონტსა და ოპოზიციის ბლოკს თითქმის იდენტური მხარდაჭერა აქვთ. საპარლამენტო არჩევნები 2019 წლის მარტშია დაგეგმილი; ხოლო პრეზიდენტის არჩევნები – იმავე წლის ოქტომბერში.

მთავრობას პრეზიდენტის პროტეჟე ვოლოდიმირ გროისმანი ხელმძღვანელობს; მთავრობა პარლამენტის მსხვილი პარტიების წარმომადგენლებისგან (BPP, სახალხო ფრონტი, სამოპომიჩი) არის დაკომპლექტებული. მთავრობას უკრაინის პარლამენტი ამტკიცებს; ამჟამინდელი შემადგენლობა 2016 წელს დაინიშნა; მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა 2017 წელს ახლადარჩეულმა რადამ უნდა განსაზღვროს, თუ მანამდე მისი დათხოვნა არ მოხდა.

## 1.2. მედია გარემო

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“-ს მსოფლიოს პრესის თავისუფლების რეიტინგში უკრაინა 107 ადგილზეა. მთავრობის ზეწოლა მედიაზე თითქმის ნულოვანია. უკრაინული მედია არამომგებიანია და დამოკიდებულია სპონსორებსა და მფლობელებზე; ამდენად, მფლობელები ძალიან ძლიერ გავლენას ახდენენ სარედაქციო პოლიტიკაზე. ძირითადი ეროვნული მედია საშუალებები ოლიგარქიული ჯგუფების მფლობელობაშია და პოლიტიკურ და ეკონომიკურ ბერკეტად გამოიყენება. ადგილობრივ მედია საშუალებებში ბევრი არასარედაქციო მასალა და ფარული რეკლამა გვხვდება. მცირე რაოდენობით დამოუკიდებელი მედია საშუალებები ძირითადად დონორების დაფინანსებით ფუნქციონირებენ.

ექსპერტები ზოგადად ჟურნალისტების დაბალ პროფესიონალიზმზე მიუთითებენ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მათი უნარი, თავიდან აიცილონ სიძულვილის ენა და მოახდინონ ყალბი ინფორმაციის იდენტიფიცირება მცირედით გაუმჯობესდა, მაგრამ პროფესიული სტანდარტების დაცვისა და ხარისხიანი ინფორმაციის წარმოების დონე ჯერ კიდევ დაბალია (შედარებით მაღალია ეროვნულ მედიაში და დაბალი რეგიონულში).

**ძირითადი მედია მოთამაშეები:**

- Star Light მედია: STB, ICTV, Novyi სატელევიზიო არხები და სხვა მედია საშუალებები; მფლობელი: ვიქტორ პინჩუკი, ძირითადად გასართობი პროგრამები;

- Inter Media ჯგუფი: Inter TV და სხვ.; მფლობელები: დმიტრო ფირტაში და სერგი ლიოვოჩკინი, ყოფილი პრეზიდენტის იანუკოვიჩის გუნდის წევრები;
- მედია ჯგუფი უკრაინა: უკრაინა ტვ, გაზეთი Segodnia, სხვა მედია საშუალებები; მფლობელი: რინატ ახმეტოვი, ყოფილი პრეზიდენტის, იანუკოვიჩის გუნდის წევრი;
- 1 + 1 მედია ჰოლდინგი: 1 + 1, 2 + 2 სატელევიზიო არხები, სააგენტო UNIAN, სხვა მედია საშუალებები; მფლობელი: იგორ კოლომოისკი;
- 5 არხი, მფლობელი: პეტრო პოროშენკო.

ტელევიზია ინფორმაციის მიღების ძირითად წყაროდ რჩება (87%). ადამიანთა შორის კომუნიკაცია (48%) და ინტერნეტ მედია (41%)[1] კი კომუნიკაციის მეორე მნიშვნელოვანი წყაროებია, რადგან 2014 წლიდან ეროვნული მედიისადმი დაბალი ნდობა (47%) შეინიშნება[2]. რუსული მედიის მოხმარება არც ისე მნიშვნელოვანია (8%)[3]. რუსული ტელეარხების გავრცელება უკრაინაში შეზღუდულია, თუმცა მათზე წვდომა სატელიტით, ინტერნეტით ან თვით ანალოგი ანტენის საშუალებითაც კი შესაძლებელია. მრავალი მედია საშუალება რუსულ ბიზნესთან ან პრორუსულ პოლიტიკურ სუბიექტებთან (ინტერ მედია ჯგუფი, მედია ჯგუფი უკრაინა, ვესტ ჰოლდინგი, რომელსაც უცნობი მფლობელი ჰყავს) არის დაკავშირებული, რომელთაც კრემლის სასარგებლოდ ინფორმაციის მანიპულაციაში ხშირად ადანაშაულებენ. 2016 წლის აგვისტოში დიდი სკანდალი ინტერ ტვ-ის საინფორმაციო პოლიტიკის დონეცკის ტერორისტული ჯგუფის DPR-ის ხელმძღვანელებთან კოორდინაციას უკავშირდებოდა.

ფრონტის ხაზთან სპეციფიკური მედია ლანდშაფტია. ადგილობრივი მედიის ინფრასტრუქტურა აქ განადგურებულია; სატელევიზიო სიგნალის გავრცელება სუსტია მაშინ, როცა ადგილობრივ მოსახლეობას წვდომა DPR-ისა და LPR-ის პროპაგანდისტულ არხებზე აქვთ; ეროვნული მედიისადმი ნდობა ძალიან დაბალია.

ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკრაინულ მედიაზე წვდომა პრაქტიკულად არ არის. უკრაინელი ჟურნალისტები იქ ვერ მუშაობენ. საოკუპაციო ხელისუფლება უკრაინის საინფორმაციო ვებ-გვერდებს ბლოკავს და სატელევიზიო სიგნალს ახშობს. ადგილზე დამოუკიდებელი მედია აღარ ფუნქციონირებს, სიტყვის თავისუფლება კი ძალიან შეზღუდულია, განსხვავებული აზრის წინააღმდეგ პიროვნულ ტერორს მიმართავენ. ადგილობრივები რუსულ ან საოკუპაციო ადმინისტრაციების მედიას იყენებენ. ადგილობრივი ჟურნალისტები, რომლებიც არ თანხმდებიან ასეთ პირობებში მუშაობას, იძულებული არიან, უკრაინის მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე გადავიდნენ ; ამდენად დონბასისა და ყირიმის ადგილობრივ მედია საშუალებებს კიევში გადასვლა და იქ მუშაობა უხდებათ (ATR, Chernomorska TV და რადიო კომპანია, გაზეთი Realnaya Gazeta და ა.შ.).

### 1.3. მარეგულირებელი ჩარჩო

მედიის ძირითადი მარეგულირებელი კანონებია: უკრაინის კონსტიტუცია, კანონი ტელე და რადიო მაუწყებლობის შესახებ (მოძველებულია და აუდიოვიზუალური მომსახურების შესახებ ახალი საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება მიმდინარეობს), კანონი ბეჭდვითი მედიის შესახებ და ა.შ. 2014-2016 წლებში ბევრი პროგრესული რეფორმა განხორციელდა: სახელმწიფო მაუწყებლობის ბაზაზე საზოგადოებრივი მაუწყებელი დაფუძნდა; მოხდა სახელმწიფო (და მუნიციპალურ) საკუთრებაში არსებული პრესის ნაციონალიზაცია; დაინერგა სატელევიზიო არხების მფლობელობის გამჭვირვალობის მოთხოვნები.

რუსეთის მედიის გავლენის შეზღუდვისთვის გარკვეული გადაწყვეტილებები იყო მიღებული. ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია, რომელიც რუსეთის ფედერაციიდან მომავალ საფრთხეებზეა მეტწილად ფოკუსირებული, მიღებულია. სასამართლოებისა და მარეგულირებლის გადაწყვეტილებებით კრემლის პროპაგანდის გამავრცელებელი 70-ზე მეტი რუსული არხის მაუწყებლობა შეიზღუდა. რუსული პროპაგანდისტული ფილმების გავრცელება და მაუწყებლობა აკრძალა. თუმცა ეს მექანიზმები მხოლოდ მაუწყებლებზე ვრცელდება, ხოლო კრემლის ინტერნეტ გავლენაზე გადაწყვეტილებები არ არსებობს. უფრო მეტიც, შეზღუდვები ეხება მხოლოდ რუსულ მედიას და მხოლოდ შინაარსს; არ არსებობს ეფექტიანი ბერკეტი უკრაინის მედიასთან მიმართებით, რომელსაც პრორუსული ბიზნესი აკონტროლებს და უკრაინაში კრემლის ნარატივების პოპულარიზაციას ახდენს.

უკრაინაში ინფორმაციული პოლიტიკის სამინისტრო მოქმედებს, რომელსაც არ აქვს არც უფლებამოსილება, არც შესაძლებლობა საინფორმაციო პროცესებზე ან მედიის ფუნქციონირებაზე გავლენა მოახდინოს. ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე სხვა უწყებებიც არიან პასუხისმგებელი; თუმცა ძალაუფლების განაწილების პრობლემა და ცუდი კოორდინაცია ამ სისტემას არაეფექტიანს ხდის.

უკრაინის კანონმდებლობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არ ვრცელდება. სამხრეთ ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის კანონმდებლობა ვრცელდება, აღმოსავლეთ ოკუპირებული ტერიტორია კი ადგილობრივი სამხედროების მმართველობის ქვეშაა.

## 2 კრემლის ინფორმაციული ზეგავლენის სტრატეგია

უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომის პირველი ეტაპები, რომლებიც კრემლის ჰიბრიდული ომის შემადგენელი იყო, დეტალურად არის აღწერილი უკრაინელი თუ ევროპელი ანალიტიკოსების ანგარიშებში. 2013 წლის ნოემბერში, კიევში რევოლუციური მოვლენების განვითარების კვალობაზე, რუსეთის მთავრობა შემდეგი ალგორითმით მოქმედებდა: „დეზინფორმაცია — დესტაბილიზაცია — მტრის იმიჯის შექმნა — შემოჭრის ლეგიტიმაცია"; კრემლის საყრდენი როგორც რუსული მედია, ასევე უკრაინაში არსებული აგენტების ქსელი (მოკავშირე მედია, ადგილობრივი ელიტა, პოლიტიკური პარტიები, არასამთავრობო ორგანიზაციები, შავი ზღვის საზღვაო ფლოტი, ეკლესია) იყო. ყველაზე მეტად გავლენის ქვეშ უკრაინის სამხრეთი და აღმოსავლეთი რეგიონები მოექცნენ, რადგან კრემლი იმედოვნებდა, რომ ადგილობრივები „რუსულ გაზაფხულს" დაუჭერდნენ მხარს.

2014 წლის შემოდგომიდან კრემლის ტაქტიკა შეიცვალა. აღმოჩნდა, რომ დონბასში განვითარებული სცენარი უკრაინის სხვა რეგიონებში არ იმუშავებდა; ამიტომ კრემლმა უკრაინის შიგნიდან დესტაბილიზაციაზე მიმართა ძალისხმევა. **კრემლის საინფორმაციო**

[1] დეტექტორ მედია, რა გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა უკრაინის საზოგადოებრივი აზრზე (კვლევა), ბოლოს წვდომა: 13 აპრილი 2017. http://osvita.mediasapiens.ua/mediaprosvita/research/yak_rosiyska_propaganda_vplivae_na_suspilnu_dumku_v_ukraini_doslidzhennya/

[2] ილკო კუჩერივი, დემოკრატიული ინიციატივების ფონდი, 2016: პოლიტიკური საფუძვლები- ეროვნული კვლევა,, http://dif.org.ua/article/2016-y-politichni-pidsumki-zagalnonatsionalne-opituvannya.

[3] დეტექტორ მედია, რა გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა უკრაინის საზოგადოებრივი აზრზე (კვლევა) http://osvita.mediasapiens.ua/mediaprosvita/research/yak_rosiyska_propaganda_vplivae_na_suspilnu_dumku_v_ukraini_doslidzhennya/

**ზეგავლენის საბოლოო მიზანი რუსეთის აგრესიისადმი უკრაინის წინააღმდეგობის გატეხვა და მოსკოვის პირობებით მშვიდობის დამყარებაა.**

**სოციალურ თემებზე სენტიმენტები შეუთავსებელია წინააღმდეგობასთან.** 2014-2015 წლებში უკრაინის სხვადასხვა რეგიონში „დედების აჯანყების“ სცენა გათამაშდა. მობილიზაციის წინააღმდეგ ქალთა საპროტესტო დემონსტრაციული აქციები, მრგვალი მაგიდები და სხვა საჯარო ღონისძიებები – სხვადასხვა რეგიონში ერთი და იგივე ადამიანის მიერ იყო ორგანიზებული და ცხადია, მობილიზაციის ჩაშლას, უცხოური მედიისათვის იმიჯის შექმნას და ჯარისკაცების მორალურ გატეხვას ისახავდა მიზნად.

სოციალურ ქსელებსა და მედიაში დონბასისა და ყირიმის მოსახლეობის მიმართ სიძულვილის გავრცელება ხდებოდა, ისმოდა ბრალდებები „მწვანე კაცების“ მიმართ წინააღმდეგობის არარსებობის შესახებ; ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ ისინი ნამდვილი უკრაინელები არასოდეს ყოფილან და მათთვის ბრძოლას აზრი არ ჰქონდა.

რუსეთის პროპაგანდა სულ უფრო აქტიურია აზრის დამკვიდრებაში, რომ უკრაინას არ შესწევს ძალა იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფო; უკრაინის ელიტები უუნაროები არიან, მართონ ქვეყანა; რომ უკრაინის რუსეთის შემადგენლობაში დაბრუნება გარდაუვალია. უკრაინის, როგორც შეუმდგარი სახელმწიფოს იმიჯის დასამკვიდრებლად ვრცელდება კიდევ ერთი ნარატივი, რომ ის ქაოსის ადგილია; სადაც სამართალზე მაღლა უკონტროლო ნაციონალისტური დაჯგუფებები დგანან; ან საპირისპიროდ, ეს არის ოლიგარქიული დიქტატის კერა, სადაც ღარიბების ექსპლუატაცია მდიდრების სასარგებლოდ ხდება.

ხდებოდა ომისგან სოციალური დაღლილობით, აპათიით, გამარჯვებაში ურწმუნოების დათესვით მანიპულირება; ხოლო ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების სასურველ გზად მშვიდობის ნებისმიერ ფასად დამკვიდრება იყო წარმოდგენილი. რუსეთი გრძელვადიან პარტნიორად, მეგობრულ ქვეყნად იყო წარმოჩენილი, რომელთანაც ურთიერთობების გამწვავება შეცდომად ითვლებოდა. რუსეთის ეკონომიკური და სამხედრო ძლიერება გაზვიადებული („ჩვენ ვერ დავამარცხებთ მათ“) იყო. 2016 წლის ბოლოს, ექსპერტების დაკვირვებით, მიზანმიმართულად ხდებოდა აზრის დამკვიდრება, რომ „რუსეთთან ურთიერთობების აღდგენა გარდაუვალი“ იყო. როგორც წესი, ომის გაჩაღებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება კიევზე ხდებოდა (მან არ „შეისმინა დონბასის“, ის დაინტერესებულია ომის გაგრძელებით). ასეთ რიტორიკას განსაკუთრებით ოპოზიციური ბლოკი მიმართავდა.

## პრორუსული პოლიტიკური აქტორების მხარდაჭერა

კიევის პოლიტიკური ელიტის რუსეთის მიმართ უფრო მეტად ლოიალურით ჩანაცვლება კრემლისათვის უკრაინაში მისი ინტერესების მიღწევის ერთ-ერთი ოპტიმალური გზაა. ქვეყანაში ძალზედ ძლიერი პოლიტიკური მოთამაშეა ოპოზიციის ბლოკი, რომელიც ვ. იანუკოვიჩის ყოფილმა მოკავშირეებმა დააფუძნეს; აღნიშნული ბლოკი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ პოლიტიკური დივიდენდები ომისგან დაღლილობით მოიპოვოს და მისი დასრულების პირობას იძლევა (რაც რეალურად კაპიტულაციაა). ამ ბლოკის მხარდასაჭერი მსხვილი ბიზნესი გავლენიან მედია რესურსებს ფლობს (მაგალითად, ინტერი და ტელე არხები უკრაინა), რომელსაც თავიანთი იდეებისა და განწყობების გასავრცელებლად იყენებს.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ოპოზიციური ბლოკი ყველაზე ლოიალურია რუსეთის მიმართ, ყოველთვის არის შანსი, რომ კრემლი სხვა უკრაინელ ოლიგარქებს გაურიგდეს და ისინი თავის მხარეს გადაიბიროს. ამდენად არსებობს რისკი, რომ მოსკოვისადმი მეგობრული ელიტები პატრიოტული და ანტი-კრემლისტური რიტორიკის გამოყენებით მოვიდნენ სათავეში.

## დესტაბილიზაცია უკრაინაში

2015-2017 წლებში არაერთი მცდელობა იყო, უკრაინის საზოგადოებაში ყველა შესაძლო (ლატენტური და პოტენციური) კონფლიქტის ესკალაცია მომხდარიყო. დონბასისა და ყირიმის მოსახლეობის მიმართ სიძულვილის გაღვივების ტენდენცია უკვე ვახსენეთ. გამოიკვეთა იძულებით გადაადგილებულ პირთა დისკრედიტაციის მცდელობები; გავრცელდა ყალბი ინფორმაცია „ცუდი შიდა მიგრანტების შესახებ“, რომლებსაც თითქოს ადგილობრივ მოსახლეობასთან კონფლიქტი ჰქონდათ ენის, არასწორი ქმედებების და სეპარატისტების საჯარო მხარდაჭერის გამო. ასეთ დეზინფორმაციებს თავისი შედეგი მოჰყვა: ნაწილობრივ იმიტომ, რომ იძულებით გადაადგილებული პირები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციას. ეს კრემლისთვის ორმაგად სასარგებლოა: შიდა მიგრანტები უყვებიან ოკუპირებულ ზონაში დარჩენილ ახლობლებს, რომ უკრაინელები მათ მტრულად ექცევიან, რითაც ამყარებენ კრემლის მიერ გავრცელებულ მითებს და სტერეოტიპებს, რომ უკრაინას სძულს შიდა მიგრანტები.

ბულგარელებით, რუმინელებითა და პოლონელებით დასახლებული სასაზღვრო რეგიონების დესტაბილიზაცია 2014 წელს განხორციელდა და 2016 წლის ბოლოს განახლდა. უკრაინელებსა და სხვა ეროვნებებს შორის ეთნიკურ ნიადაგზე სიძულვილის გაღვივება გამიზნულად ხდება.

საპროტესტო განწყობები აქტიურად იზრდება. კრემლის აგენტები მოქმედი ხელისუფლების შეცდომებს აქტიურად იყენებენ ანტისამთავრობო განწყობების გასაღვივებლად. „მესამე მაიდნის“, როგორც მორიგი გადატრიალების იდეა დღის წესრიგში დგას (მაგრამ ამჯერად მას შესაძლოა, დამღუპველი შედეგი მოჰყვეს სუვერენიტეტისთვის). ყოველივე გამოწვეულია ეკონომიკური პრობლემებით, მაღალი მუნიციპალური გადასახადებით, დაბალი სამხედრო ქმედებებით და სხვა. ამდენად, საკუთარი მიზნების მისაღწევად კრემლი არა მხოლოდ რუსეთის მხარდამჭერების, არამედ სოციალურად მგრძნობიარე და რადიკალიზებული პატრიოტული ჯგუფების მობილიზებას ახდენს.

## გავლენის აგენტები

მიუხედავად იმისა, რომ უკრაინაში რუსული ტელეარხების მაუწყებლობა აკრძალულია, მოქალაქეებს მათზე წვდომა სატელიტით და ინტერნეტით აქვთ. თუმცა, მოქალაქეების მხოლოდ 1% მიიჩნევს მათ სანდო საინფორმაციო წყაროდ. ჯერჯერობით კრემლის საინფორმაციო გავლენის მთავარი აგენტები კრემლისადმი მეგობრულად განწყობილი ბიზნესი და პოლიტიკური ჯგუფები არიან. ისინი აკონტროლებენ პოლიტიკურ პარტიებს და გავლენიან მედია რესურსებს. **უკრაინული მედია კრემლის ნარატივის ძირითადი გამხმოვანებელია უკრაინაში.** სოციალური მედია (ძირითადად VKontakte) და ჩრდილოვანი ვებ-გვერდები ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. გავლენის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არხი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიაა, რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება (UOC MP), ასევე ადგილობრივი ელიტები, რომლებიც კრემლს მხარს უჭერენ (ძირითადად სამხრეთ და აღმოსავლეთ უკრაინაში). არასამთავრობო ორგანიზაციების სახით არსებობს აგენტების ფართო ქსელი.

**ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით კრემლის საინფორმაციო პოლიტიკა** უკრაინის მედია სივრცისგან მათ აბსოლუტურ იზოლაციას და ამ გამოყოფის ლეგიტიმაციას ისახავს მიზნად. ჩვენ ვხედავთ, რომ ყირიმის მედია უკრაინის თემის უგულვებელყოფას ახდენს, რომელსაც თითქოს არაფერი აქვს საერთო ყირიმთან; კლიშე „ყირიმი კუნძულია“ 2014 წელს ხშირად გამოიყენებოდა, რაც იმის ხაზგასმას ისახავდა მიზნად, რომ ნახევარკუნძულს უკრაინის დანარჩენ ნაწილთან არავითარი კავშირი არა აქვს, ადგილობრივებს თავი რუსეთის ფედერაციის სრულფასოვან მოქალაქეებად უნდა ეგრძნოთ და დაევიწყებინათ უკრაინასთან კავშირები.

აღმოსავლეთ ოკუპირებულ ტერიტორიებზე უკრაინის, უკრაინელების, უკრაინული ძალების დემონიზება დისკურსის მნიშვნელოვანი ნაწილია. უკრაინა ქაოსის სათავედ, ფაშისტურ ტირანიად, ხალხის სიღარიბისა და დეგრადაციის მიზეზად არის წარმოდგენილი; ეს რეალობა კი სავარაუდოდ ხალხის დასაშინებლად და „ახალგაზრდა რესპუბლიკების წარმატების“ ხაზგასასმელად არის შექმნილი.

კრემლის ნარატივები, რომლებიც თავდაპირველად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეებისთვის შემუშავდა, ძლიერ ზეგავლენას ახდენს ოკუპირებულ ტერიტორიებზე: ტოტალიტარული წარსულისადმი ნოსტალგია; მეორე მსოფლიო ომში სტალინის გამარჯვების განდიდება; პუტინის კულტი; „ფაშისტური“ მითი; გეოპოლიტიკურ ლიდერობაზე რუსეთის ამბიციის გამართლება; მილიტარისტული და იმპერიალისტური იდეები; ჰომოფობია, კონფორმიზმი; ანტი-ამერიკული და ანტი-ევროპული განწყობები. ამ ნარატივების გავლენა უკრაინის დანარჩენ ტეროტორიაზეც საგრძნობია, სადაც მოქალაქეები რუსული საინფორმაციო და გასართობი პროგრამების მომხმარებლები არიან.

3 კრემლის ინფორმაციული ზეგავლენის ინდექსი

## ნაწილი A1.

## გავლენა. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 32

ამ განზომილებაში კრემლის პოტენციალი ექსპერტებმა ყველაზე ლიმიტირებულად შეაფასეს. არცერთ უკრაინულ პოლიტიკურ პარტიას ან ლიდერს შესწევს ძალა, ოფიციალურად უარყოს აგრესიის ფაქტი, უკრაინის ტერიტორიაზე რუსული ჯარის ყოფნა, გაამართლოს კრემლის მიერ ყირიმის ანექსია ან სხვა აგრესიული ქმედებები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა მათ შესაძლოა, კრემლთან კავშირები ჰქონდეთ. 2014 წლის ღირსების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში პრო-ევროპული პარტიები მოვიდნენ, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ინფორმაციული და სამხედრო აგრესიის სათანადოდ მოგერიებაზე გახდნენ პასუხისმგებელნი. ამდენად, ყველა მაღალი რანგის თანამდებობის პირის ოფიციალური პოზიცია კრემლის საწინააღმდეგო რჩება.

უმაღლესი რადას ქულა პრეზიდენტისა და მთავრობის ქულებს ოდნავ აღემატება, რადგან მასში მხოლოდ პრო-ევროპული ძალები არ არიან წარმოდგენილი. ძირითად ფრაქციებს პრო-ევროპული პოზიცია და უკრაინის მთლიანობისთვის ბრძოლის მზაობა აქვთ დეკლარირებული; ისინი რუსეთს მტრად აცხადებენ (პრეზიდენტის პოლიტიკური პარტია – PPB – უფრო ზომიერია, ხოლო ლიაშკოს რადიკალურ პარტიას და „ბატკივშჩინას“ უფრო რადიკალური და აგრესიული პოზიცია აქვთ). „ოპოზიციური ბლოკი“, თავის მხრივ, თავს არიდებს რუსეთის ფედერაციის აგრესიული პოლიტიკის პირდაპირ პოზიტიურად შეფასებას (აგრესიის, ყირიმის ოკუპაციის გამართლება და ა.შ.), მაგრამ, პირდაპირ ადანაშაულებს კიევს ომის გაჩაღებასა და გახანგრძლივებაში[4] და კრემლთან დიალოგისკენ მოუწოდებს[5], ჰპირდება რა მოქალაქეებს მშვიდობიან ცხოვრებას (თუმცა არ ხდება დაკონკრეტება, თუ რა ფასი ექნება უკრაინისთვის ასეთ მშვიდობას). ამდენად, ზოგიერთმა ექსპერტმა ეს პარტია 4 ქულით შეაფასა, არა მათი პრორუსული პოზიციის, არამედ იმის გამო, რომ პარტიის გზავნილები თანხვედრაშია კრემლის ინტერესებთან. იგივე ეხება სხვა პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც იყენებენ პატრიოტულ ლოზუნგებს, მაგრამ რეალურად რუსეთს და მის ინტერესებს უწყობენ ხელს.

ადგილობრივ დონეზე, განსაკუთრებით აღმოსავლეთ და სამხრეთ რეგიონებში, ელიტების საკმაოდ ძლიერი პრო-რუსული პოზიციები იკვეთება. ზოგჯერ, ეს გამოიხატება ადგილობრივი ხელისუფლებების დემონსტრაციულ ქმედებებსა და გადაწყვეტილებებში, რაც ინტერპრეტირებულია, როგორც რუსეთის ფედერაციის ქმედებების მხარდაჭერა (ან როგორც ნეიტრალური პოზიციის დემონსტრირება)[6]. ამ ნაწილში კრემლის პოტენციალი უმაღლეს დონეზე – 2.5 ქულით არის შეფასებული.

ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ არა მხოლოდ კომუნიკაცია, არამედ რიტორიკასთან წინააღმდეგობრივი ქმედებები, იმსახურებდა ცალკე შეფასებას. კერძოდ, ზოგიერთმა ექსპერტმა გამოთქვა ეჭვი, თუ რამდენად თანმიმდევრულია პრეზიდენტი აგრესიასთან გამკლავებისას (ანტირუსული რიტორიკის შერბილების პირობებში); უკრაინაში კრემლის მიზნების მისაღწევაში არც ზოგიერთი პოლიტიკური ძალის ჩართულობა გამოირიცხა.

## ნაწილი A2.

## გავლენა. მედია განზომილება. ქულა: 49

სოციოლოგიურ კვლევებში რუსული მედიისადმი ნდობის დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, ექსპერტებმა მათი გავლენა უკრაინულ საზოგადოებრივ აზრზე საკმაოდ მაღალი – 2.6 – ქულით შეაფასეს. პირველ რიგში, შეზღუდვების მიუხედავად, ხალხი კვლავ უყურებს RTR-ს, NTV-ს, Russia 1-ს სატელიტითა და ინტერნეტით. მიუხედავად იმისა, რომ რუსული მედიისადმი, როგორც ინფორმაციის წყაროსადმი სანდოობა დაბალია, მათი გასართობი კონტენტი – შოუები, ფილმები, სატელევიზიო სერიალები – ძალზედ პოპულარულია და ის ძლიერი საინფორმაციო იარაღია, რადგან ამ პროდუქტების ძირითადი ნაწილი კრემლის იდეოლოგიისა და პროპაგანდის შემცველია.

[4] ოპოზიციური ბლოკი, Власть должна обеспечить мир в Украине: Заявление Оппозиционного блока [ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მშვიდობა უკრაინაში: ოპოზიციური ბლოკის განცხადევა], 13 April 2017, http://opposition.org.ua/news/vlada-povinna-zabezpechiti-mir-v-ukrani.html — ბოლო წვდომა: 21 April 2017.

[5] ოპოზიციური ბლოკი, Прекратить огонь и начать немедленные переговоры. Гибель и страдания людей на Донбассе нужно остановить: Заявление Оппозиционного блока, [შეწყდეს ცეცხლი და დაიწყოს დაუყოვნებლივი მოლაპარაკებები. სიკვდილი და ტანჯვა დონბასში უნდა შეწყდეს: ოპოზიციური ბლოკის განცხადება ]03 February 2017, http://opposition.org.ua/news/pripiniti-vogon-i-rozpochati-negajni-peregovori-zagibel-i-strazhdannya-lyudej-na-donbasi-potribno-zupiniti.html

[6] RBC-Ukraine, Горсовет Кривого Рога не признал Россию страной-агрессором [კრივოი როგის საკრებულომ რუსეთი აგრესორ ქვეყნად არ აღიარა], 31 January 2015

მეორეც, ხალხი სულ უფრო მეტად ეყრდნობა მეგობრებისა და თანამშრომლებისგან მიღებულ ინფორმაციას, რომელსაც ახალი ამბების წყაროდ იყენებს[7]. მესამეც, რუსეთის მედია კონტენტის გავლენა განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილშია საგრძნობი (სადაც უკრაინული მედიისადმი ნდობა განსაკუთრებით დაბალია, ხოლო რუსული ტელეაარხების მიღება ანალოგი ანტენის საშუალებითაა შესაძლებელი).

როგორც უკვე აღინიშნა, უკრაინაში კრემლის ნარატივების აქტიური გამტარი უკრაინული მედიაა, რომელსაც პრო-რუსი პოლიტიკოსები და ბიზნესმენები აფინანსებენ. ამდენად, გამოიკვეთა რამდენიმე მედია საშუალება, რომლის სარედაქციო პოლიტიკაც კრემლისადმი საკმაოდ მეგობრულად (3-ზე მაღალი ქულა) შეფასდა, კერძოდ: გაზეთები „ვესტი“ და „კომსომოლსკაია პრავდა უკრაინაში“, Korrespondent.net-ი და სხვა. 2 ქულაზე მაღალი შეფასება მიიღეს ტელეარხებმა „ინტერმა“ და „უკრაინამ“, ასევე რადიო „ერამ“. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ეს მედია საშუალებები ან პრო-რუსულ პოლიტიკურ და ბიზნეს-ჯგუფებთანაა დაკავშირებული, ან მათი მფლობელები უცნობია. 2015-2017 წლებში, კრემლისადმი მათი სიმპათიების გამო, ეს მედია საშუალებები მუდმივად იყვნენ სკანდალების ცენტრში. მაგალითად, გაზეთი „ვესტი“ (ის უფასოდ ვრცელდება და მისი ყოველდღიური ტირაჟი 300 ათასზე მეტია, დაფინანსების წყარო უცნობია) საჯარო კრიტიკის მუდმივი სამიზნეა კრემლის სასარგებლოდ მანიპულირების გამო[8]; არსებობს მტკიცებულება, რომ ტვ „ინტერის“ საინფორმაციო პოლიტიკა ორგანიზაცია DNR-თან იყო კოორდინირებული[9]; ტელეარხი „უკრაინა“ კი რეალურად სეპარატისტული ჯგუფების პროპაგანდას მის ტელესერიებში იმეორებს[10].

ისევე როგორც პოლიტიკური აქტორების შემთხვევაში, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია არა კრემლის ქმედებების დადებითი შეფასება (რაც პრინციპულად მიუღებელია უკრაინის შემთხვევაში), არამედ იმ ნარატივების, რომლებიც ახლოსაა კრემლის ხედვასთან და ქმნის სოციალურ კლიმატს, რაც უკრაინაში კრემლის ამოცანების განხორციელებას უწყობს ხელს. გარდა ამისა, კვლევაში არ შედიოდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მედია, რომელიც ნაკლებ პოპულარულია, თუმცა კვლავ საკმაოდ გავლენიანი (განსაკუთრებით საზოგადოებრივი აზრის ლიდერთა შორის) და ხშირად ხდება კრიტიკის საგანი რუსეთის სასარგებლოდ მანიპულირების გამო (NewsOne, 112 უკრაინა, მე-17 არხი და ა.შ.).

ცალკე აღინიშნა ის ფაქტი, რომ ინფორმაციაზე მონოპოლიის გამო, რუსული მედიის გავლენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საზოგადოებრივ აზრზე ძალზედ საგრძნობია.

## ნაწილი A3.
## გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება.
## ქულა: 59

უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიას (UOC MP), რომელიც მოსკოვის საპატრიარქოს ექვემდებარება, უკრაინაში დიდი გავლენა აქვს. კრემლი აქტიურად იყენებს ეკლესიას რუსეთში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად და საზღვარგარეთ მისი ინტერესების გატარებისთვის; ამდენად ამ ეკლესიის წარმომადგენლები უკრაინაში კრემლის ნარატივების აქტიური გამავრცელებლები არიან. *„UOC MP-ის გავლენა... მნიშვნელოვნად გაძლიერდება იმ პირობებში, როცა მთავრობისა და საზოგადოების აქტიური ნაწილის ანტირუსული განწყობები შემცირდება. ეს უკიდურესად ძლიერი ზამბარაა, რომლის შესაძლებლობებიც დროებით პოლიტიკური მიზეზების გამო შეზღუდულია“*, — აღნიშნა ექსპერტმა. თუმცა, კვლევის მონაწილეებმა ეკლესიის პოზიციის ცალსახად შეფასება ვერ შესძლეს. *„მე ვერ ვიტყოდი, რომ მთელი UOC MP-ი კრემლთან დაახლოებულია“, რადგან პირადად ვიცი, რამდენიმე გავლენიანი მიტროპოლიტი, რომელიც რუსეთის პოზიციას უკრაინისთან მიმართებაში გმობს და ეკლესიური თემების დონეზე ბევრი ასეთი შემთხვევაა“*, აღნიშნა ექსპერტმა. *„რუსეთის ფედერაცია უბრალოდ იყენებს უკრაინის*



[7] დეტექტორ მედია, რა გავლენას ახდენს რუსული პროპაგანდა უკრაინის საზოგადოებრივი აზრზე (კვლევა), 13 თებერვალი, 2017 http://osvita.mediasapiens.ua/mediaprosvita/research/yak_rosiyska_propaganda_vplivae_na_suspilnu_dumku_v_ukraini_doslidzhennya/

[8] R. Shutov, Метаморфози російськоі пропаганди: газета «Вести» [რუსული პროპაგანდის მეტამორფოზა. გაზეთი “Vesti”], MediaSapiens, 14 June 2014, http://osvita.mediasapiens.ua/monitoring/advocacy_and_influence/metamorfozi_rosiyskoi_propagandi_gazeta_vesti/

[9] დეტექტორ მედია, Редактори «Інтера» та телеканалу «Донбас» звітували перед органами держбезпеки «ДНР»? [ტელეარხების „ინტერ“ და „დონბასის“ რედაქტორები „დნრ“-ს უშიშროების ორგანოებს ანგარიშს აბარებენ?], 03 August 2016, http://detector.media/infospace/article/117468/2016-08-03-redaktori-intera-ta-telekanalu-donbas-zvituvali-pered-organami-derzhbezpeki-dnr-dopovneno/

[10] დამოუკიდებელი მედია საბჭოს დასკვნები სერილზე “Ne zarikaysia” [„არასოდეს თქვა არასდროს“], 27 April 2016, http://detector.media/infospace/article/114699/2016-04-27-visnovok-nezalezhnoi-mediinoi-radi-shchodo-serialu-ne-zarikaisya/



*მართლმადიდებელი ეკლესიის გარკვეულ პირებს, რათა „რუსულენოვანი ეკლესიის რელიგიური დევნის“ განცდა შექმნას, თუმცა ვითარება ბევრად უფრო რთულია“.*

საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით მუშაობა 2014 წლის ომის დაწყებამდე იყო აქტიური; 2015-17 წლებში ასეთი ორგანიზაციების საქმიანობა მნიშვნელოვნად შემცირდა. არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომლის საქმიანობა აშკარად სინქრონიზირებულია კრემლის პოლიტიკასთან. კერძოდ, ეს ეხება ე.წ. ფონდ „ანტივოინას“ („ანტი-ომი“)[11], რომელიც უკრაინის სხვადასხვა ქალაქში ომის საწინააღმდეგო აქტივობებს უწევს ორგანიზებას. *„საინფორმაციო სფეროში პრორუსული არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მომდინარე გარკვეული საფრთხე და მათი ხილვადობა უცხოეთშია შესამჩნევი; ისინი უკრაინის საწინააღმდეგო აქციებს ატარებენ, უკრაინას ფაშიზმში ადანაშაულებენ და ამ აქტივობებს ევროპის მოქალაქეებისა და ქვეყნების პოზიციად წარმოაჩენენ“*, – აცხადებენ ექსპერტები. *„პრორუსულ ორგანიზაციებს, რომლებიც დონბასში საჯაროდ შემრიგებლის პოზიციას ახმოვანებენ, ძალზედ მცირე გავლენა აქვთ“*. ისინი ასევე თანამშრომლობენ UOC MP-თან. როგორც წესი, ისინი დიდი ორგანიზაციები არ არიან და არც არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვთ, მაგრამ კარგ მედია რესურსებს ფლობენ, რაც მათ ხელოვნურ ბუნებაზე მიუთითებს.

საგანმანათლებლო რესურსების გავლენა ექსპერტებმა დაბალი ქულით შეაფასეს, ვინაიდან მათი გავლენა ქვეყანაში ლიმიტირებულია. თუმცა, ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ პროფესორები, რომლებიც პრორუსული შეხედულებებით გამოირჩევიან, აკადემიურ საქმიანობას თავიანთი შეხედულებების გასავრცელებლად იყენებენ.

ექსტრემისტული და გასამხედროებული ჯგუფების გავლენის შეფასებისას ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ისინი – აღმოსავლეთ ოკუპირებულ რეგიონებში – ადგილობრივ ცხოვრებაზე და მოქალაქეთა შეხედულებებზე გადამწყვეტ გავლენას ახდენენ. გასამხედროებულმა სტრუქტურებმა – DNR და LNR – საკუთარი პროპაგანდისტული არხების ფართო სისტემის ჩამოყალიბება (ხშირად იყენებენ ადგილობრივი მედიის დატოვებულ აპარატურასა და საშუალებებს) 2014 წელს დაიწყეს. ამჟამად მათ განკარგულებაშია სრულად ფუნქციონირებადი ტელეარხები, რადიოსადგურები, გაზეთები და ვებ-გვერდები. ეს პროპაგანდისტული არხები *„ზეგავლენას ახდენენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობაზე“*, *„ნაცრისფერ ზონაში“* და დონეცკისა და ლუგანსკის რაიონების ტერიტორიებზე, ასევე დევნილებზე ნათესავების მეშვეობით, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩნენ“. მათი *„ციტირება უკრაინულ მედიაშიც კი ხდება, ისეთებშიც კი, რომლებიც კრემლისტურ პოზიციას არ იზიარებენ“*. ამრიგად, შეიარაღებული დაჯგუფებები არა მხოლოდ დონბასის ოკუპირებულ რეგიონებში ახდენენ მედიის კონტროლს, არამედ უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზეც აქვთ გავლენა.

## ბლოკი B1.

## რეაგირება. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 46

სამ წელზე მეტია უკრაინა აქტიურ თავდაცვით ომშია ჩაბმული, ამიტომ ინფორმაციული უსაფრთხოება პოლიტიკურ დღის წესრიგში საკვანძო საკითხია. უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიაში (2015) რუსეთის ფედერაციის აგრესიული ქმედებები და *„რუსული მედიის კომუნიკაცია, რომელიც ალტერნატიულ რეალობას და სამყაროს დამახინჯებულ სურათს ქმნის“* საფრთხეების ჩამონათვალშია მოხსენიებული. კრემლის დეზინფორმაციული ძალისხმევა უკრაინის ინფორმაციული უსაფრთხოების დოქტრინის (2017) ფოკუსშია. ასევე არსებობს რამდენიმე რეგულაცია რუსულ კინოინდუსტრიულ პროდუქციასთან, რუსული წიგნების ექსპორტთან, სატელევიზიო არხების მაუწყებლობასთან და სხვა თემებთან დაკავშირებით. ამავდროულად, მთავრობის სამოქმედო გეგმა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ (2016) არ შეიცავს რაიმე მითითებას დეზინფორმაციის საფრთხეებზე, თუმცა მასში ყურადღება ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეების საინფორმაციო საჭიროებებზეა გამახვილებული. მიუხედავად მრავალრიცხოვანი რეგულაციებისა, ექსპერტების აზრით, სათანადო მექანიზმები ამ კანონმდებლობის სრული იმპლემენტაციისათვის არ მოქმედებს.

უკრაინაში ინფორმაციულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი რამდენიმე ინსტიტუტი მოქმედებს. ესენია: უკრაინის უშიშროების სამსახური, უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, ტელევიზიისა და რადიო მაუწყებლობის ეროვნული საბჭო და სხვა. ომის დაწყებიდან ამ სიას საინფორმაციო პოლიტიკისა და დროებით ოკუპირებული ტერიტორიების სამინისტროები დაემატა. ამ უწყებების მოვალეობების სრული აუდიტი არ ჩატარებულა. ხშირად მათი უფლებამო-

[11] http://shilova.org/

სილებების გადაფარვა ხდება, რაც არათანმიმდევრულ და არაკორდინირებულ ქმედებებს განაპირობებს[12]. პრობლემის ნაწილის გადაწყვეტას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფების შექმნამ შეწყო ხელი (მათ შორის, ATO-ს ტერიტორიაზე უკრაინული მაუწყებლობის აღდგენის სამუშაო ჯგუფის წარმატებული გამოცდილება).

ექსპერტების აზრით, რუსეთის საინფორმაციო გავლენის შეზღუდვის საჯარო პოლიტიკა საკმაოდ მაღალი ეფექტიანობით გამოირჩევა, თუმცა მათ ყურადღება გაამახვილეს მთავრობის არაადეკვატურ ძალისხმევაზე, აამაღლოს მოქალაქეების მედია წიგნიერება. *„პრაქტიკულად არ არის ძალისხმევა, მედია წიგნიერების გასაუმჯობესებლად, რასაც ძირითადად, მხოლოდ არასამთავრობო ორგანიზაციები მიმართავენ“*, – აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა. ამ სფეროში საჯარო პოლიტიკის ერთადერთი მიღწევაა საშუალო სკოლებში მედია წიგნიერების საპილოტე კურსის განხორციელება.

## ბლოკი B2.
## რეაგირება. მედია განზომილება.
## ქულა: 66

რუსულ დეზინფორმაციას მედია დისკურსში სათანადო ადგილი უკავია. რამდენადაც ამ თემის აქტუალიზებას პოლიტიკოსები ახდენენ, ის ხშირად ფიგურირებს პოლიტიკურ თოქ-შოუებში და საინფორმაციო გამოშვებებში, ანალიტიკურ პროგრამებში ბრძოლისა და უსაფრთხოების კუთხით. არაერთი ჟურნალისტი, რომელიც სპეციალიზრებულია ამ საკითხში, ეროვნულ პრესაში სტატიების ავტორებად, ეროვნულ ტელევიზიაში სატელევიზიო პროგრამის წამყვანებად გვევლინება; არსებობს მთელი რიგი დოკუმენტალისტური პროექტები, რომლებიც გარკვეულწილად პროპაგანდის თემას ეხება (Hromadske TV); დეზინფორმაციის პრობლემაზე ყურადღება გამახვილებულია თოქ-შოუებში (მაგალითად, „მართვის უფლება“, „1 + 1“) და გასართობ ფორმატში (მაგალითად, „დილა დიდ ქალაქში“ ICTV-ზე).

ექსპერტებმა აღნიშნეს უკრაინული ჟურნალისტიკის რამდენიმე პრობლემა, რაც მას რუსული დეზინფორმაციის გავლენისადმი მგრძნობიარეს ხდის. უკრაინული მედია არ არის მომგებიანი და, შესაბამისად, დაფინანსების წყაროებზეა დამოკიდებული, რაც მფლობელებს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევისა და დისკურსის დაკვეთის შესაძლებლობას აძლევს. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტური პროფესიონალიზმი და ეთიკა მფლობელთა ინტერესებისთვის მნიშვნელოვანი დაბრკოლება ვერ იქნება, თუკი ისინი მათი მედია რესურსების კრემლის სასარგებლოდ გამოყენებას მოისურვებენ.

თავად ჟურნალისტების პროფესიონალიზმის დონე (ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა) ექსპერტებმა მაღალი ქულით არ შეაფასეს. დეტექტორ მედიას მიერ ჩატარებული კვლევები[13] ჟურნალისტთა პროფესიული განათლების ძალიან დაბალ ხარისხზე მიუთითებს. ადგილობრივ მედიაში მომუშავე ყველა ჟურნალისტს პროფესიული განათლება მიღებული არ აქვს. დეტექტორ მედიას, მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტის და პილიპ ორლიკის სახელობის დემოკრატიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ინფორმაციის ხარისხის მონიტორინგი და კვლევები მიუთითებს ჟურნალისტთა უუნარობაზე, აწარმოონ ხარისხიანი ინფორმაცია.

ექსპერტები ასევე კრიტიკულად აფასებენ ჟურნალისტების შესაძლებლობებს, გადაამოწმონ ფაქტები და თავიდან აიცილონ საკუთარ საქმიანობაში მანიპულაციური ზეგავლენა. ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა ადგილობრივ მედიაში, რომელიც ხშირად საკუთარ ინფორმაციას კი არ ქმნის, არამედ ინტერნეტით მოპოვებული მასალების ტირაჟირებას გადამოწმების გარეშე ახდენს[14]. StopFake-ის გუნდმა ასეთ შემთხვევებზე ადგილობრივ მედიასა და ეროვნულ პრესაში დებატებს დაუდო სათავე[15]. ე.წ. იაგოტინის შემთხვევა[16] (დეზინფორმაცია ქალაქ იაგოტინში, კიევთან ახლოს, 2016 წლის თებერვალ-მარტში სირიელი ლტოლვილების ჩასახლების შესახებ), მიუთითებს იმაზე, რომ პრობლემა ეროვნული სატელევიზიო არხების შემთხვევაშიც მწვავეა.




[12] მაგალითები აღწერილია დეტექტორ მედიას ანგარიშებში ინფორმაციული უსაფრთხოების სფეროში უკრაინაში სამთავრობო უწყებების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ. http://osvita.mediasapiens.ua/go_telekrytyka/diyalnist/produkty/monitoringoviy_zvit_diyalnist_organiv_derzhavnoi_vladi_v_sferi_informatsiynoi_politiki_ta_regulyatsii_media_1_pivrichchya_2016/

[13] ჟურნალისტური განათლება უკრაინის ჟურნალისტიკის ფაკულტეტებზე (საპილოტე კვლევის მიგნებები)//მედიასაპიენსი — 31.03.2016. — http://osvita.mediasapiens.ua/go_telekrytyka/diyalnist/produkty/the_state_of_journalism_education_at_journalism_departments_in_ukraine_pilot_survey_findings/

[14] მაგალითი: Vchasno საინფორმაციო სააგენტო, Інформація про переселенців, які святкували анексію Криму, виявилась фейком [ინფორმაცია, თითქოს ლტოლვილები ყირიმის ანექსიას აღნიშნავდნენ, ყალბი აღმოჩნდა], 04 მარტი 2015, http://v4asno.com/informaciya-pro-pereselenciv-yaki-svyatkuvali-aneksiyu-krimu-viyavilas-fejkom/

[15] მონაცემთა ბაზა:www.stopfake.org

[16] S. Lefter. Залякати сирійськими біженцями. Майстер-клас від українських ЗМІ [დაშინება სირიელი ლტოლვილებით. უკრაინული მედიის მასტერკლასი], 18 March 2016, http://detector.media/kritika/article/113658/2016-03-18-zalyakati-siriiskimi-bizhentsyami-maister-klas-ukrainskikh-zmi/

# ბლოკი B3.
## რეაგირება. სამოქალაქო საზოგადოება.
## ქულა: 45

რუსეთის დეზინფორმაციის პრობლემამ საზოგადოების ყურადღება ღირსების რევულუციის დროს მიიპყრო. 2014 წლის თებერვალში დეტექტორ მედიამ უკრაინაში რუსული პროპაგანდის პირველი სისტემატური მონიტორინგი დაიწყო. 2014 წლის მარტში StopFake-ის ინიციატივა და საინფორმაციო წინააღმდეგობა გაჩნდა. 2015 წლის დასაწყისში უკრაინაში დეზინფორმაციის  მონიტორინგის ძლიერი სკოლა უკვე არსებობდა; დეტექტორ მედიას, მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტის, პილიპ ორლიკის დემოკრატიის ინსტიტუტის, ინტერნიუს უკრაინის, უკრაინის კათოლიკური უნივერსიტეტის, უკრაინის კრიზისების მედია ცენტრის და სხვა ანალიტიკური და მონიტორინგის ცენტრის ძალისხმევით პროპაგანდისა და სიძულვილის ენის მონიტორინგის მეთოდოლოგია შემუშავდა და დისკურსის ანალიზის პრაქტიკა დაინერგა, განვითარდა და დაიხვეწა. დეტექტორ მედია დეზინფორმაციის გავლენის შეფასების სხვადასხვა მიდგომას ახალისებს. IREX-ი, უკრაინის პრესის აკადემია და დეტექტორ მედია მოსახლეობაში მედიის წიგნიერების ამაღლების კუთხით ლიდერობენ; ეუთო, StopFake-ი, ინტერნიუს უკრაინა, მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტის, პილიპ ორლიკის დემოკრატიის ინსტიტუტი და უკრაინის კრიზისების მედია ცენტრი საომარი მოქმედებების პერიოდში ჟურნალისტების ტრენინგებს ატარებენ, რათა ხარისხიანი და გადამოწმებული ინფორმაციის წარმოება გახდეს შესაძლებელი და თავიდან იქნეს აცილებული სტერეოტიპები და სიძულვილის ენა.

სამოქალაქო საზოგადოება ნაკლებად აქტიურია ტაბლოიდურ მედიასთან მუშაობის მხრივ; მათი მონიტორინგი უფრო ყალბი ინფორმაციის კვლევის ან ფსიქოლოგიური სპეციალური ოპერაციების დროული გამოვლენისთვის ხდება.

არასამთავრობო ორგანიზაციები ხელისუფლებას საინფორმაციო პოლიტიკის შესახებ რჩევებს აძლევენ. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი არასამთავრობო სექტორის ექსპერტებიდან შეირჩა. სამინისტროებთან საჯარო ჯგუფების მუშაობის პრაქტიკა არსებობს, სადაც საკანონმდებლო აქტების შემუშავება ხდება. თუმცა პროცესი არასაკმარისად ინკლუზიურია; ნაწილობრივ იმის გამო, რომ თანამშრომლობის შედეგი ყოველთვის სათანადო ხარისხის არ არის[17]; და ხშირად ბოლო სიტყვა პოლიტიკურ ნებაზე და მომენტალურ ინტერესებზეა დამოკიდებული და არა ანალიზსა და სტრატეგიაზე. ამასთანავე, სტრატეგიული ხედვის არარსებობა (ანუ იგივე მომენტალური ინტერესები) იწვევს იმას, რომ რჩევების მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინება არ ხდება.

სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა თავიანთ საქმიანობაში თანამშრომლობის გარკვეულ დონეს მიაღწიეს. მიუხედავად იმისა, რომ მათი ძალისხმევის მაკოორდინირებელი ცენტრი ან ფორმალური ქსელი არ მოქმედებს, არაფორმალური კომუნიკაცია საშუალებას აძლევს ძირითად ანალიტიკურ ჯგუფებს თავიანთი საქმიანობის კოორდინაცია და სინქრონიზაცია მოახდინონ და საერთო პროდუქცია შექმნან. მედიის მონაწილეობა დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივ ძალისხმევაში სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან მედია ბიზნესისა და პოლიტიკური ჯგუფების მფლობელობაშია და მათ ინტერესებს ექვემდებარება; მაგრამ დამოუკიდებელი მედია, მათ შორის Hromadske ტელე და რადიო არხები, ახლად შექმნილი საზოგადოებრივი მაუწყებელი და ზოგიერთი ადგილობრივი მედია აქტიურად თანამშრომლობს ამ სფეროში სხვა ძირითად მოთამაშეებთან. თუმცა, სხვადასხვა მედია საშუალებებს შორის ერთობლივი პროექტები თითქმის არ არსებობს.



[17] კერძოდ, საჯარო ექსპერტთა საბჭოს მიერ შემუშავებული ინფორმაციული უსაფრთხოების კონცეფციის პროექტი უკრაინის საექსპერტო საზოგადოების და ეუთოს კრიტიკის საგანი გახდა.



# კვლევაში მონაწილე ექსპერტები:

- **ოლეგ ბაზარი,** LB.ua
- **პეტრო ბურკოვსკი,** სტრატეგიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტი
- **ოლექსი ჰარანი,** პროფესორი, კიევის მოგილიანის აკადემია / დემოკრატიული ინიციატივების ფონდი
- **ვიაჩესლავ გოლუბი,** როზუმკოვის ცენტრი
- **დიანა დაციკი,** დეტექტორ მედია
- **სერგი კოსტინსკი,** უკრაინის ტელე და რადიო მაუწყებლობის ეროვნული საბჭო
- **ტატიანა ლებედევა,** მაუწყებელთა დამოუკიდებელი ასოციაცია
- **ალინა მოსენცი,** StopFake
- **ინნა პიდლუსკა,** რენესანსის საერთაშორისო ფონდი
- **ოქსანა რომანიუკი,** მასობრივი ინფორმაციის ინსტიტუტი
- **ვიტალი სიზოვი,** დონეცკის ინფორმაციის ინსტიტუტი
- **იულია ტიშჩენკო,** პოლიტიკური კვლევების უკრაინული ცენტრი
- **სვეტლანა იერემენკო,** პილიპ ორლიკის დემოკრატიის ინსტიტუტი

სერგი ზდიორუკი, სტრატეგიული კვლევების ეროვნული ინსტიტუტი

დედაქალაქი: პრაღა

პოლიტიკური სისტემა: საპარლამენტო რესპუბლიკა

მოსახლეობა: 10,6 მილიონი



# ჩეხეთის რესპუბლიკა

**მშპ ერთ სულ მოსახლეზე:**

17,3 ათასი აშშ დოლარი

**ურბანიზაცია:**

73% ქალაქი

27% სოფელი

**ეთნიკური შემადგენლობა:**

64,3% ჩეხი

5% მორავიელი

1,4% სლოვაკი

1,4% პოლონელი

27,9% სხვა





ზოგადი ინდექსი
48




# 1 კონტექსტი

## 1.1. პოლიტიკური მოვლენები

ბოლო წლებში პოლიტიკის სფეროში შეინიშნება ტრადიციული პოლიტიკური პარტიების მნიშვნელობის შემცირება, ახალი მოძრაობების შექმნა და ამ მოძრაობების შეღწევა პოლიტიკურ ინსტიტუტებში, კერძოდ, პარლამენტში, რომელიც, ჩვეულებრივ, უფრო ძლიერი დეპუტატების პალატისა და სენატისგან შედგება.

სენატის არსებობის აუცილებობა რამდენჯერმე გახდა განხილვის საგანი, ცოტა ხნის წინ ამჟამინდელი ვიცე-პრემიერის მიერ.[1] 2012 წელს პარლამენტმა პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევა დაამტკიცა და შესაბამისად, ჩეხეთის რესპუბლიკის მესამე პრეზიდენტი საყოველთაო კენჭისყრის გზით იქნა არჩეული.

ყველაზე მსხვილი საპარლამენტო პარტია ამჟამად ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიაა (ČSSD), რომელსაც 50 წარმომადგენელი ჰყავს ქვედა პალატაში. გავლენით მეორე პარტია „ANO 2011" მდიდარმა ბიზნესმენმა და ჩეხეთის რამდენიმე მედია საშუალების მფლობელმა, ანდრეი ბაბიჩმა, 2012 წლის მაისში დააარსა. ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი – ჩეხოსლოვაკ ხალხთა პარტია (KDU-ČSL) ქრისტიან-დემოკრატიული იდეოლოგიის პარტიაა, რომელიც ბევრ წინა ხელისუფლებაში იყო წარმოდგენილი.

სოციალ-დემოკრატებს ყველაზე მნიშვნელოვანი თანამდებობები უკავიათ საგარეო პოლიტიკისა და დიპლომატიის სფეროში – პრემიერმინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ჩეხეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან არიან. პრემიერმინისტრი ბოჰუსლავ სობოტკა ორჯერ ეწვია შეერთებულ შტატებს, საგარეო საქმეთა მინისტრი კი ხშირად სტუმრობს უკრაინას. გარკვეული ყოყმანის შემდეგ, ჩეხეთის ხელისუფლებამ, სოციალ-დემოკრატების ხელმძღვანელობით, მხარი დაუჭირა რუსეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების დაწესებას და რამდენიმე პოლიტიკოსს თუ არ ჩავთვლით, ეს მდგომარეობა დღემდე უცვლელია. ვიცე-პრემიერი ბაბიჩი საგარეო პოლიტიკაზე თავის მოსაზრებებს იშვიათად გამოთქვამს. მან საჯაროდ დაადასტურა, რომ პატივს სცემს ჩეხეთის რესპუბლიკის წევრობას ევროკავშირსა და NATO-ში, მაგრამ მისი შეხედულებები რუსეთის საგარეო პოლიტიკაზე უცნობია.

მორავიის და ბოჰემიის კომუნისტური პარტია (KSČM) სტაბილურად ინარ-

[1] Novinky.cz, Babiš chce zašít jednat o zručení Senátu, je prý zbytečný a drahý (ბაბიჩს სენატის გაუქმებაზე მოლაპარაკებების დაწყება სურს, რადგან ის უსარგებლო და ძვირადღირებული მიაჩნია), ოქტომბერო 2016, https://www.novinky.cz/domaci/417644-babis-chce-zacit-jednat-o-zruseni-senatu-je-pry-zbytecny-a-drahy.html – ბოლოს ნანახია 2017 წლის 09 აპრილს.

ჩუნებს მხარდაჭერას ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ. ის ერთ-ერთია ევროპის რამდენიმე კომუნისტურ პარტიას შორის, რომელსაც არც ტრანსფორმაცია განუცდია და არც შეხედულებები შეუცვლია.

დანარჩენი საპარლამენტო პარტიები ჩეხეთის პოლიტიკური სპექტრის მემარჯვენე ფრთას წარმოადგენენ. „TOP 09" პროევროპული, ლიბერალურ-კონსერვატიული პარტიაა, რომელმაც 2009 წელს დაარსებიდან მალევე მოიპოვა საკმაო პოპულარობა, უმთავრესად მისი ყოფილი ლიდერის კარელ შვარცენბერგის წყალობით, მაგრამ მისი გადადგომის შემდეგ პარტიამ ბევრი მხარდამჭერი დაკარგა.

„სამოქალაქო დემოკრატიული პარტია" (ODS) ტრადიციული კონსერვატიული პარტიაა, რომელიც, სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, პოლიტიკური რეინტიგების სათავეში იყო, მაგრამ რამდენიმე სკანდალის შემდეგ პარტიას თითოეული ხმისთვის უწევს ბრძოლა. „სამოქალაქო დემოკრატიული პარტიისთვის" დამახასიათებელი ტენდენციაა დღის წესრიგის ცვლილება, რათა ულტრამემარჯვენეებს არ ჩამორჩეს.

დეპუტატთა პალატაში ყველაზე ცოტა წარმომადგენელი ჰყავს პარტიას „განთიადი-ეროვნული კოალიცია", რომელიც იაპონური წარმოშობის ყოფილმა სენატორმა, ბიზნესმენმა და მწერალმა ტომიო ოკამურამ 2013 წლის მაისში დაარსა. „განთიადის" პოლიტიკური პროგრამა აგებულია იმიგრაციის მოწინააღმდეგეთა და ევროსკეპტიკოსთა მოსაზრებებზე და ევროკავშირიდან გასვლაზე რეფერენდუმის ჩატარების იდეის პოპულარიზაციას ეწევა.

პრეზიდენტის თანამდებობა ჩეხეთის რესპუბლიკაში ნომინალურია. პრეზიდენტს აქვს მოსამართლეთა კანდიდატების დასახელების და პარლამენტის დათხოვნის უფლება, მაგრამ საგარეო პოლიტიკაში მთავრობის კურსი უნდა გაატაროს. თუმცა, პრაქტიკაში ეს ხშირად ასე არ არის, კონსტიტუციის შესაბამისი ნორმის ძალიან ბუნდოვანი ფორმულირების გამო. ახლანდელი პრეზიდენტი მილოშ ზემანი და მისი წინამორბედი, ვაცლავ კლაუსი, ამ ბუნდოვანებას ხშირად საკუთარი პოლიტიკის და შეხედულებების გასატარებლად იყენებდნენ მედიასთან ან საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობისას. ზემანი, ასევე, მოქალაქეთა მიერ პირველი პირდაპირ არჩეული პრეზიდენტის ლეგიტიმაციით სარგებლობს. მთავრობისგან განსხვავებით, ის ხშირად იმეორებს კრემლის განცხადებებს.

ბაბიჩი ამჟამად ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსია ჩეხეთის რესპუბლიკაში.[2] „ANO 2011"-ს ყველაზე მეტი შანსი აქვს, 2017 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვოს. პრეზიდენტის არჩევნები შემდეგ წელს გაიმართება და იმის ალბათობა, რომ ზემანი საკუთარ პოზიციებს გაიმყარებს, მაღალია.

## 1.2. მედია გარემო

ჩეხეთის მედია ლანდშაფტში მნიშვნელოვან როლს „ჩეხეთის ტელევიზია" თამაშობს, რომელსაც რამდენიმე ტელეარხი აქვს, მათ შორის, 24-საათიანი საინფორმაციო არხი. არის ასევე „ჩეხეთის რადიო". ამ მედია საშუალებების კონტენტი სახელმწიფოს გავლენისგან თავისუფალია. მათი დაფინანსება შეღავათიანი გადასახადის მეშვეობით ხდება, რომელსაც ჩეხეთის თითოეული მოქალაქე იხდის. ამ ორ მედიას ზედამხედველობას პარლამენტის მიერ არჩეული საბჭო უწევს.

არის ასევე კერძო ტელეარხები, რადიოსადგურები და ბეჭდური მედიასაშუალებები, რომელთაგან ზოგიერთს უცხოეთის იურიდიული პირები ფლობენ. საზოგადოებრივი თუ კერძო მეინსტრიმული მედია საშუალებების საკუთრება გამჭვირვალეა. მათი პრობლემა საკუთრების კონცენტრაციაა „ANO 2011"-ის ლიდერის, ფინანსთა მინისტრის და ვიცე-პრემიერის ბაბიჩის ხელში.

გარდა ამისა, ჩეხეთის საზოგადოება კვაზი-მედია საშუალებების პროდუქციის საკმაოდ დიდ ნაწილს მოიხმარს. ამ მედია საშუალებების უმეტესობას ვებ-გვერდები წარმოადგენს, რომელთა გამჭვირვალობის ხარისხი ან ნულოვანია ან ძალიან დაბალი. რომელიმე მათგანის ფინანსურ კავშირზე კრემლთან არაფერია ცნობილი; გამონაკლისს რუსეთის ფედერაციის არაოფიციალური არხი – ჩეხურენოვანი სპუტნიკი წარმოადგენს.

მოსახლეობის უმეტესობა ახალ ამბებს სატელევიზიო არხებიდან და ინტერნეტიდან იგებს.[4] ბეჭდური მედიის მოხმარება მცირდება. მეინსტრიმული ან ალტერნატიული მედიისადმი ნდობასთან დაკავშირებით დასმული კითხვის პასუხებით ირკვევა, რომ რესპონდენტთა 24.5% ალტერნატიულ მედიას უფრო ენდობა, ვიდრე მეინსტრიმულს.[5]

„მედია პლურალიზმის მონიტორის" ბოლო მონაცემებით,[6] ყველაზე დიდი რისკი პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და სოციალურ ჩართულობასთან, ასევე ბაზრის პლურალიზმთან დაკავშირებით არსებობს. ამის მიზეზია სხვადასხვა ტიპის მედია საშუალებების საკუთრების კონცენტრაცია, სახელმწიფო რეკლამის განაწილების წესების არარსებობა, სათემო მედიისთვის მედია პლატფორმების არასაკმარისი ხელმისაწვდომობა და მედია სისტემის ცენტრალიზაცია, განსაკუთრებით საგაზეთო და სატელევიზიო ბაზრის კუთხით. Freedom House-ის პრესის თავისუფლების 2016 წლის ანგარიშის[7] თანახმად, ჩეხეთში მედია გარემო ზოგადად თავისუფალია; თუმცა, ანგარიშში აღნიშნულია მედიის საკუთრების კონცენტრაცია და საკანონმდებლო შეზღუდვები, მათ შორის ცილისწამების კრიმინალიზაცია. სავარაუდოდ, ამ მიზეზების გამო შეამცირა „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე"[8] ჩეხეთის რეიტინგი, რომელიც 2016 წელს 21 ადგილამდე ჩამოქვეითდა.

## 1.3. საკანონმდებლო და მარეგულირებელი ჩარჩო

„რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე" ასევე ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ ჩეხეთის რესპუბლიკაში მედიასაშუალების მფლობელობაზე მინიმალური შეზღუდვებია დაწესებული და არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული უცხოელთა მიერ მფლობელობაზე. ქვეყანაში მოქმედებს 2001 წელს მიღებული კანონი მაუწყებლობის შესახებ,[9] რომლის თანახმადაც, შექმნილია საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების რეგულირებაზე პასუხისმგებელი მმართველი და მარეგულირებელი ორგანო – რადიო და ტელემაუწყებლობის საბჭო. საბჭო ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე. იმავე კანონით განსაზღვრულია ანალოგური და სატელიტური მაუწყებლების ლიცენზირების და რეგისტრაციის წესები, შინაარსობრივი რეგულირების პრინ-

[2] Stem.cz, Popularita politických osobností v lednu 2017 (პოლიტიკური პირების პოპულარობა 2017 წლის იანვარში), თებერვალი 2017, https://www.stem.cz/popularita-politickych-osobnosti-v-lednu-2017/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[3] Media Guru, Češi sledují zprávy hlavně na počítači a v televizi (ჩეხები ახალ ამბებს უმეტესად კომპუტერით და ტელევიზიით იგებენ), თებერვალი 2016, https://www.mediaguru.cz/2016/02/cesi-sleduji-zpravy-hlavne-na-pocitaci-a-v-televizi/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[4] European Values, Disinformation operations in the Czech Republic, September 2016, http://www.europeanvalues.net/vyzkum/disinformation-operations-in-the-czech-republic/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[5] Media Pluralism Monitor, Media Pluralism Monitor 2015 – Results, 2015, http://monitor.cmpf.eui.eu/mpm2015/results/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[6] Freedom House, Czech Republic, 2016, https://freedomhouse.org/report/freedom-press/2016/czech-republic – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[7] Reporters Without Borders, Czech Republic, 2016, https://rsf.org/en/czech-republic – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[8] Zákon č. 231/2001 Sb. O provozování rozhlasového a televizního vysílání a o změně dalších zákonů, Zákony pro lidi.cz, – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[9] ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო, „ჩეხეთის რესპუბლის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია", 2015, http://www.mzv.cz/jnp/en/foreign_relations/policy_planning/concept_of_the_czech_republic_s_foreign.mobi – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

ციპები და სანქციები ამ შინაარსობრივი პრინციპების დარღვევაზე. მედიის რეგულირება ძირითადად შესაბამისობაშია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

უცხო ქვეყნების საინფორმაციო გავლენასთან ბრძოლის სამართლებრივი ან სასამართლო შემთხვევები არ არსებობს. თუმცა მიღებულია რამდენიმე სტრატეგიული დოკუმენტი და დოქტრინა, რომლებშიც აღიარებულია არსებული საფრთხე და შემოთავაზებულია განსახორციელებელი ღონისძიებები. ამ დოკუმენტების უმრავლესობა ამჟამინდელმა მთავრობამ შეიმუშავა.

„ჩეხეთის რესპუბლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციაში“[10] რუსეთის ფედერაცია აღწერილია როგორც „ევროკავშირის უსაფრთხოების არქიტექტურის სერიოზული დესტაბილიზაციის“ გამომწვევი აქტორი, მაგრამ ამ დოკუმენტში ასევე აღიარებულია, რომ ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა აუცილებელია. მასში განსაზღვრულია ამ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების დონე, რომლის თანახმადაც, რუსეთი პატივს სცემს საერთაშორისო სამართალს და მისი მეზობლების ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

იმავე წელს გამოქვეყნდა „ჩეხეთის რესპუბლიკის უსაფრთხოების სტრატეგია“.[11] ამ დოკუმენტში ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტულ ინტერესად საინფორმაციო დანაშაულის შემცირებაა განსაზღვრული. მასში საუბარია საფრთხეზე, რომელიც მომდინარეობს „ზოგიერთი ქვეყნის“ მცდელობიდან, შეცვალოს საერთაშორისო წესრიგი ჰიბრიდული ომის ტაქტიკის გამოყენების გზით, მათ შორის „პროპაგანდისთვის ტრადიციული და ახალი მედიის გამოყენების, სადეზინფორმაციო სადაზვერვო ოპერაციების, კიბერშეტევების, პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლის განხორციელების და ამოუცნობი სამხედრო მოსამსახურეების დისლოცირების მეშვეობით“.

უსაფრთხოების საინფორმაციო სამსახურმა უფრო დეტალურად აღწერა რუსეთის ქმედებები თავის 2015 წლის ანგარიშში.[12] სხვა საკითხებთან ერთად, ანგარიშში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაციის ჰიბრიდული ომის შემადგენელი ელემენტი იყო უკრაინისა და სირიის კონფლიქტებთან დაკავშირებით ზეგავლენის მოხდენის და ინფორმირების ოპერაციებზე ფოკუსირება. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ 2015 წელს, რუსეთის საინფორმაციო ოპერაციები ორიენტირებული იყო, მაგალითად, ჩეხეთის მედიის დასუსტებაზე, მათ შორის „რუსული პროპაგანდის და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებადი დეზინფორმაციის მასობრივ გავრცელებაზე“, რომლის მიზანიც იყო, „საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა და წინააღმდეგობის გაწევის სურვილის შესუსტება საზოგადოებაში“, რასაც ახორციელებდა „ჭარბი ინფორმაციის და დეზინფორმაციის“ და „სიმართლის რელატივიზაციის“ მეშვეობით.

დოკუმენტში „თავდაცვის გრძელვადიანი ხედვა 2030“[13], თავდაცვის სამინისტრო ვარაუდობს, რომ „საინფორმაციო ტექნოლოგიების და მედიის ბოროტად გამოყენება ხელს შეუწყობს მოულოდნელ ცვლილებებს მოვლენების აღქმაში დროსა და სივრცეში და შესაბამისად, არასტაბილურობას გააღრმავებს“ და რომ „მნიშვნელოვნად გაძლიერდება მედიის ბოროტად გამოყენება საინფორმაციო ომის საწარმოებლად“.

და ბოლოს, 2016 წელს ხელისუფლებამ „ეროვნული უსაფრთხოების აუდიტი“[14] მოამზადა და მისი ერთი თავი უცხოური ძალების გავლენას დაუთმო. მასში დეზინფორმაციის კამპანია აღწერილია როგორც საინფორმაციო ომის ერთ-ერთი საშუალება. აუდიტი მოიცავს SWOT (ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების) ანალიზს, რომელშიც შეჯამებულია უსაფრთხოების მოწყვლადობის ყველა ძლიერი და სუსტი ასპექტი და მოცემულია რამდენიმე კონკრეტული რეკომენდაცია ჩეხეთის რესპუბლიკის მდგარდობის გასაძლიერებლად. მათ შორის არის, მაგალითად, დეზინფორმაციული კამპანიების შეფასების ცენტრების შექმნა შესაბამის უწყებებში, საჯარო მოხელეთათვის განათლების სისტემის შექმნა უცხოური გავლენის წინაშე მათი მდგრადობის გასაძლიერებლად, მნიშვნელოვანი დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის აქტიური მედია სტრატეგიების შემუშავება ან მედიის მარეგულირებელ კანონმდებლობასთან დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავება.



[10] ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის და შეიარაღებული ძალების სამინისტრო, „ჩეხეთის რესპუბლის უსაფრთხოების სტრატეგია“, 2015, http://www.army.cz/images/id_8001_9000/8503/Security_Strategy_2015.pdf -ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[11] უსაფრთხოების საინფორმაციო სამსახური, უსაფრთხოების საინფორმაციო სამსახურის 2015 წლის ანგარიში, 2016, https://www.bis.cz/vyrocni-zpravaEN890a.html?ArticleID=1104 - ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[12] ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის და შეიარაღებული ძალების სამინისტრო, „თავდაცვის გრძელვადიანი ხედვა 2030“, 2015, http://www.army.cz/images/id_8001_9000/8503/THE_LONG_TERM_PERSPECTIVE_FOR_DEFENCE_2030.pdf – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[13] ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობა, „ეროვნული უსაფრთხოების აუდიტი“ https://www.vlada.cz/assets/media-centrum/aktualne/Audit-narodni-bezpecnosti-20161201.pdf - ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

[14] Ivana Smoleňová, Proruská dezinformační kampaň v České republice a na Slovensku (პრორუსული დეზინფორმაციული კამპანია ჩეხეთის რესპუბლიკასა და სლოვაკეთში), Prague Security Studies Institute, აგვისტო 2016, http://www.pssi.cz/download/docs/355_desinformacni-kampan-pssi.pdf - ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.



## 2 კრემლის ინფორმაციული ზეგავლენის სტრატეგია

ჩეხეთის რესპუბლიკაში პრორუსული დეზინფორმაციული კამპანიის აღწერა შესაძლებელი გახდა „პრაღის უსაფრთხოების კვლევების ინსტიტუტის“[15] და ანალიტიკური ცენტრის „ევროპული ღირებულებები“ კვლევის შედეგად. მათ დაადგინეს, რომ ამ სფეროში მოქმედ კრემლისტურ მედიაორგანიზაციებს და ვებ-გვერდებს კრემლთან ოფიციალური კავშირები არა აქვთ, მაგრამ ინფორმაციის მოპოვება მათი წარმოშობის, ორგანიზაციული სტრუქტურის და ფინანსური წყაროების შესახებ თითქმის შეუძლებელია. იმ შემთხვევებში, სადაც ავტორები და მფლობელები ცნობილი არიან, ჩანს მათი პირადი ურთიერთკავშირები.[15] ამ ვებგვერდების მნიშვნელოვანი ნაწილი უცხოური წყაროების, უმეტესად, სპუტნიკის და RT-ს დეზინფორმაციას ავრცელებს. ხუთი ყველაზე საშიში ვებ-გვერდი, რომლებიც დეზინფორმაციას აქტიურად ავრცელებენ, არის AC24, სპუტნიკი, Svět kolem nás, První zprávy და Aeronet. ჩეხი დეზინფორმატორების ყველაზე პოპულარული პლატფორმაა Parlamentní listy.

ისინი იყენებენ მსგავს არგუმენტებს, იზიარებენ ანტიდასავლურ განწყობებს და გარკვეულწილად, კრემლისტურ რიტორიკას მიმართავენ. მათ მიერ გამოქვეყნებული სტატიების ნეგატიური ტონი მოიცავს მინიშნებებს მორალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური დეგრადირების შესახებ და ცივილიზაციათა კონფლიქტებით სავსე შავბნელ მომავალს ხატავს. ხშირად გამოიყენება ემოციური და ექსპრესიული ლექსიკა და ფოტოები.

აშკარად იკვეთება სხვადასხვა პიროვნებებთან კავშირი და იმათი მხარდაჭერა, ვინც ამ კამპანიებს სანდოობის და საჯაროობის ხარისხს ჰმატებენ; ასეთ პიროვნებებს შორისააა KSČM-ის წარმომადგენელთა უმეტესობა, ČSSD-ის ან ულტრამემარჯვენეების ზოგიერთი წარმომადგენელი. ჩეხეთის დეზინფორმაციულ არენაზე ჩეხეთის პრეზიდენტი ზემანიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ ვებ-გვერდების უმეტესობა მას იცავს და რეგულარულად განიხილავს მის განცხადებებს. გარდა იმისა, რომ ინტერვიუების მიცემით საკუთარი წვლილი შეაქვს ამ ვებ-გვერდების გაძლიერებაში და მათ პოპულარიზებას უწყობს ხელს, ზოგიერთი პოლიტიკოსი კრემლში მიწვევებსაც თანხმდება ისეთ ღონისძიებებზე დასასწრებად, რომლებიც ვლადიმირ პუტინის რეჟიმის ლეგიტიმაციას ემსახურება.

დეზინფორმაციულ პროექტებს ასევე ხელს უწყობს ჩეხეთის საზოგადოების უნდობლობა მეინსტრიმული მედიის და პოლიტიკოსების მიმართ, რაც რამდენიმე სკანდალმა კიდევ უფრო გააღრმავა. მიზანი, როგორც ჩანს, არის დასავლეთის და მისი ინსტიტუტების წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის შემობრუნება და რუსეთის წარმოჩენა მორალურ ავტორიტეტად, რომელიც სტაბილურობისა და მშვიდობისკენ ისწრაფვის; ეს ყველაფერი შეესაბამება რუსეთის ფედერაციის უმთავრეს ინტერესებს[16] — შეარყიოს საზოგადოებრივი ნდობა დემოკრატიული პოლიტიკოსებისა და ინსტიტუტების მიმართ, შეამციროს მხარდაჭერა ევროკავშირის და NATO-ს წევრობის მიმართ, გააძლიეროს კრემლის პოლიტიკური მოკავშირეების პოზიციები და გამოიყენოს ისინი ჩეხეთის პოლიტიკის რუსეთისკენ გადასაბირებლად.

[15] European Values think-tank, 20 poznatků o fungování české dezinformační scény (20 მიგნება, თუ როგორ მუშაობს ჩეხეთის დეზინფორმაცია), ივლისი 2016, http://www.evropskehodnoty.cz/fungovani-ceskych-dezinformacnich-webu/nejdulezitejsi-zjisteni-o-ceske-dezinformacni-scene/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.
[16] J. Janda, O. Kundra, Schéma fungování vlivu Ruské federace v české republice (რუსეთის ფედერაციის გავლენის სქემა ჩეხეთის რესპუბლიკაში), European Values think-tank, August 2016, http://www.evropskehodnoty.cz/vyzkum/schema-fungovani-vlivu-ruske-federace-v-ceske-republice/ – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

3 კრემლის ინფორმაციული ზეგავლენის ინდექსი

## ნაწილი A1.

## გავლენა. პოლიტიკური განზომილება. ქულა: 58

კრემლის გავლენამ ყველაზე მაღალი შეფასება პოლიტიკურ განზომილებაში მიიღო. ასეთი შედეგი ძირითადად პრეზიდენტ ზემანის, როგორც რუსეთის მოკავშირის და ყირიმისა და უკრაინის შესახებ კრემლის გავრცელებული დეზინფორმაციის აშკარა მხარდამჭერის პოზიციამ განაპირობა. აშკარაა კრემლის უშუალო ფინანსური მონაწილეობა ჩეხეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. პრეზიდენტ ზემანის მთავარი მრჩეველი, ბატონი მარტინ ნეიედლი 10 წელი მუშაობდა მოსკოვში. რუსეთიდან დაბრუნების შემდეგ ის კრემლთან დაკავშირებული კომპანიის, „ლუკოილის" წარმომადგენელი გახდა. როდესაც ბატონ ნეიედლის ვალი დაუგროვდა და ზემანის ადმინისტრაციაში მის პოზიციას საფრთხე დაემუქრა, „ლუკოილის" მოსკოვის სათაო ოფისმა მას ეს ვალი დაუფარა.[17] პრეზიდენტს დადებითი განწყობა აქვს არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ჩინეთის მიმართაც და მას ადმინისტრაციაში ჩინელი მრჩეველი ჰყავს.

მთავრობის და ოპოზიციური პარტიების უმრავლესობის განწყობა შეფასებულია როგორც ნეიტრალური ან ოდნავ ანტირუსული, გარდა ცალკეული პოლიტიკოსებისა, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე აქტიურობენ. მართალია, საგარეო პოლიტიკის საკითხები არ არის ხშირად მუნიციპალური და რეგიონული პოლიტიკის დღის წესრიგში, მაგრამ არიან ადგილობრივი ლიდერები, რომლებიც პრორუსულ განწყობებს ავლენენ, მაგალითად, სამხრეთ მორავიის რეგიონის ყოფილი გუბერნატორი მიხალ ჰაშეკი (ČSSD), რომელიც „ღამის მგლების" ბაიკერებს შეხვდა; უსტის რეგიონის გუბერნატორის მოადგილე იაროსლავ ფოლდინა (ČSSD), რომელიც მხარს უჭერს რუსეთის საგარეო პოლიტიკას; ან იაროსლავ დუბრავა, სენატორი უსტის რეგიონიდან, რომელიც ყირიმის ანექსიას იცავდა. ცალკეული პოლიტიკოსების, განსაკუთრებით ČSSD-ის კრემლისტური ფრთის, KSČM-ის და SPD-ის წარმომადგენლების ინიციატივების და პრეზიდენტის რეგიონული აქტივობის შედეგად კრემლის გავლენა ადგილობრივი დონის პოლიტიკაზე გაძლიერდა.

მთავრობა სიფრთხილეს იჩენს რუსეთის ფედერაციისთვის წინააღმდეგობის გაწევისას და პრეზიდენტთან კონფლიქტს ერიდება, თუმცა პარტიებს რაიმე ძლიერი სიმპათია რუსეთის რეჟიმის მიმართ არა აქვთ. კრემლის ყველაზე აშკარა მოკავშირეები არიან KSČM და SPD, ასევე ულტრამემარცხენე და ულტრამემარჯვენე ძალების წარმომადგენლები. რამდენიმე ცენტრისტული პოლიტიკური პარტიის პოზიცია დროთა განმავლობაში იცვლება, ხოლო ყველაზე დიდი საფრთხე არის ის, რომ ტრადიციული პარტიები მხარდაჭერას კარგავენ.

## ნაწილი A2.

## გავლენა. მედია განზომილება. ქულა: 56

მიუხედავად მედია განზომილებაში კრემლის გავლენას შედარებით მაღალი და ეროვნული მედიის მუშაობის ოდნავ ურყოფითი შეფასებისა, კრემლის პირდაპირი გავლენა მეინსტრიმულ მედიაზე ან ამ მედიის მიერ კრემლის პროპაგანდის შეგნებული მხარდაჭერა არ შეიმჩნევა. გვხვდება მანიპულირების შემთხვევები, რომლებმაც შესაძლოა, ხელი შეუწყოს კრემლის მიზნებს, მაგრამ მათი უმეტესობა ბოროტი განზრახვით არ არის ჩადენილი, არამედ განპირობებულია უცოდინრობით, არაპროფესიონალიზმით ან სენსაციური მასალებით მკითხველის მოზიდვის სურვილით.

სატელევიზიო არხები კვლავ ძალიან გავლენიანია ჩეხეთის რესპუბლიკაში, განსაკუთრებით უფროსი ასაკის თაობებს შორის. „ტვ პრიმა" მიკერძოების და უზუსტობის ტენდენციას ავლენს ახალი ამბების გავრცელებაში, განსაკუთრებით მიგრაციის საკითხზე, ასევე, ჯორჯ სოროსის საქმიანობაზე ან ე. წ. „ქიმიური ტრასების" საკითხზე. ის პრეზიდენტ ზემანს ძალიან დადებითად აშუქებს და სანაცვლოდ, ხშირად სარგებლობს პრეზიდენტის ექსკლუზივით, რაც არაფორმალურ ალიანსზე მიუთითებს, რომელიც კრემლისტური აქტორების სასარგებლოდ მუშაობს.

პრეზიდენტ ზემანს უფრო მჭიდრო კავშირები აქვს „ტვ ბარანდოვთან", სადაც მას საკუთარი თოქ-შოუ აქვს, რომლის წამყვანიც პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის, ვრატისლავ მინიარის ცოლია. თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არ არსებობს ემპირიული მონაცემები იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხშირად აშუქებენ სატელევიზიო არხები კრემლისტურ მოსაზრებებს.

[17] iDnes.cz, Milionovou pokutu za Nejedlého zaplatil Lukoil, sám nezaplatil ani korunu (ლუკოილმა ნეიედლის მილიონიანი ჯარიმა გადაუხადა, მას არაფერი აქვს გადასახდელი), ნოემბერი 2016, http://zpravy.idnes.cz/prazsky-hrad-lukoil-martin-nejedly-dub-/domaci.aspx?c=A161103_202521_domaci_fer – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.

ბეჭდური მედია განსხვავებული პრობლემების წინაშე დგას, კერძოდ, საკუთრების კონცენტრაცია მუდმივი დავის თემაა. თუმცა, არ არის მკაფიო, აქვს თუ არა ვიცე-პრემიერ ბაბიჩს რაიმე რეალური გავლენა იმ მედია კონტენტზე, რომელსაც მისი კომპანიები აქვეყნებენ. ქვეყნის რადიოსადგურები ძირითადად აპოლიტიკურები არიან და არც მანიპულირების დიდი სივრცე აქვთ. მედია ლანდშაფტის ერთ-ერთი სისუსტე შესაბამისი მედია მონიტორინგის ნაკლებობაც არის.

ერთადერთი ოფიციალური რუსული საინფორმაციო წყარო, რომელიც ჩეხურ ენაზე ოპერირებს, სპუტნიკია და მისი გავლენა საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი არ არის. უფრო დიდ საფრთხეს ეგრეთ წოდებული „ალტერნატიული მედია“ წარმოადგენს, რომელიც რუს აქტორებთან და ინტერესებთანაა დაკავშირებული და კრემლისტურ ნარატივებს ავრცელებს. ეს მედია ძირითადად ონლაინ საშუალებებით არის წარმოდგენილი; ისინი ეფექტიანად იყენებენ სოციალურ ქსელებს, ამცირებენ მოქალაქეთა ნდობას მეინსტრიმული მედიის მიმართ და წყაროებად ისეთ რუსულ მედიას იყენებენ, როგორებიცაა სპუტნიკი და RT. ამ ვებ-გვერდების გავლენის შეფასება რთულია. როგორც ჩანს, ისინი ინფორმაციის მნიშვნელოვან წყაროს მხოლოდ მოქალაქეთა ვიწრო ჯგუფისთვის წარმოადგენენ, რომელიც შესაძლოა ფართოვდება, მაგრამ ჯერჯერობით უმცირესობას წარმოადგენს.

## ნაწილი A3.
## გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება.
## ქულა: 31

კრემლის გავლენის ქულა სამოქალაქო საზოგადოების განზომილებაში ჩეხეთის რესპუბლიკაში საკმაოდ დაბალია. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ რუსი ეთნიკური უმცირესობა მრავალრიცხოვანი არ არის და ამიტომ, „არასამთავრობო“ სექტორის სამიზნე ჯგუფი საკმაოდ პატარაა. არსებობს რამდენიმე ინსტიტუტი, რომლებიც ეთნიკური რუსებისთვის აწყობს ღონსიძიებებს და  გამოსცემს ჟურნალებს. ზოგი მათგანი კრემლის იდეების პოპულარიზებას ეწევა, მაგრამ მათი უმეტესობა კულტურულ და სოციალურ მოვლენებზეა ფოკუსირებული. ამ ორგანიზაციების აქტივობების უმეტესობა ფართო საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი რჩება.

ორი ორგანიზაცია ფოკუსირებულია ეგრეთ წოდებული „ალტერნატიული ჟურნალისტიკის“ მხარდაჭერაზე. ერთ-ერთი მათგანია „დამოუკიდებელი მედიის ასოციაცია“. მის საბჭოში შედიან ზოგიერთი ყველაზე პოპულარული დეზინფორმაციული და მანიპულაციური ვებ-საიტების მთავარი რედაქტორები, რომლებიც კვაზი-მედია პროექტებს ან „ჟურნალისტებს“ ეგრეთ წოდებული კრამერიუსის პრიზებით აჯილდოებენ. ასევე, „ვერცხლის მშვილდოსნის ჯილდო“ ენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ რუსეთ-ჩეხეთის ურთიერთობების განვითარებას. წელს დაჯილდოება პრეზიდენტ ზემანის პატრონაჟით ხორციელდება.

მართლმადიდებელი ეკლესია და პროკრემლისტური აკადემიური ინსტიტუტები ჩეხეთის რესპუბლიკაში პრაქტიკულად არ არსებობს, თუ არ ჩავთვლით რუსული დიასპორის საქმიანობას პრაღის ეკონომიკის უნივერსიტეტში, რომელიც ძირითადად შეუმჩნეველი რჩება. რამდენიმე ექსტრემისტული, ულტრამემარჯვენე ჯგუფი იზიარებს კრემლისტურ პოზიციებს. თუმცა, ისინი ძირითადად სოციალურ ქსელებში აქტიურობენ და ანტიისლამურ და ანტისაიმიგრაციო აქციებში მონაწილეობენ.

## ბლოკი B1.
## რეაგირება. პოლიტიკური განზომილება.
## ქულა: 41

როგორც ზემოთ იყო აღწერილი, ჩეხეთის რესპუბლიკის მთავრობის სტრატეგიები და დაზვერვის ანგარიშები ზუსტად და დეტალურად აღწერენ რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციულ კამპანიებს და საინფორმაციო ზეგავლენის ქტივობებს. გარდა ამისა, „ეროვნული უსაფრთხოების აუდიტის“ თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროში ტერორიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრი შეიქმნა. ამ ცენტრის ერთ-ერთი მიზანი დეზინფორმაციის მონიტორინგი და ცრუ ინფორმაციაზე რეაგირებაა.

თუმცა, პრაქტიკული ნაბიჯების მხრივ ბევრი ნაკლოვანებაა. მიუხედავა იმისა, რომ არსებული დოკუმენტები კარგად აღწერს საფრთხეს, ისინი არ არის პრაქტიკულ ზომებზე ფოკუსირებული. ტეორირიზმთან და ჰიბრიდულ საფრთხეებთან ბრძოლის ცენტრის შექმნა ჯერჯერობით ერთადერთი რეკომენდაციაა, რომელიც შესრულდა. ამ ცენტრის



რეაგირება არ არის საკმარისად სწრაფი და ფუნქციონირების დაწყებიდან მას უფრო რეალურ საფრთხეებზე მეტად იმ დეზინფორმაციასთან გამკლავება უწევს, რომელიც მის საქმიანობას ეხება. თუმცა, ჯერ ცოტა დროა გასული იმისათვის, რომ ცენტრის ფუნქციონირების შეფასება მოხდეს.

რაც ეხება სამთავრობო აქტივობებს, მედია წიგნიერების გასაძლიერებლად, შემუშავებულია „ციფრული განათლების სტრატეგია 2020"[18], რომლის განხორციელებას ჩეხეთის სკოლის ინსპექტორატი უწევს მონიტორინგს, მაგრამ შედეგები ჯერჯერობით უმნიშვნელოა. მიუხედავად ამისა, რეაგირება პოლიტიკურ განზომილებაში შეფასებულია, როგორც ყველაზე ინტესიური შესწავლილ სამ სფეროს შორის.

## ბლოკი B2.
## რეაგირება. მედია განზომილება. ქულა: 60

კრემლის გავლენაზე მედიის რეაგირება შეფასებულია როგორც ყველაზე სუსტი. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივმა მედიამ ყველაზე დაბალი ქულები მიიღო, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ის არ არის საგარეო პოლიტიკაზე ფოკუსირებული და ძირითადად, თავს არიდებს რუსეთის აქტივობებზე კომენტირებას. ეროვნულ მედიასთან დაკავშირებული ვითარება კი განსხვავებულია.

ცალკეული ენთუზიასტი ჟურნალისტისა და არასამთავრობო სექტორის დამსახურებაა, რომ მედიის ყურადღება კრემლის დეზინფორმაციული კამპანიის და უკვე გამოვლენილი დეზინფორმაციის მიმართ ჩეხეთის რესპუბლიკაში საკმაოდ მაღალია. არიან როგორც მეტად ასევე ნაკლებად წარმატებული ინდივიდები თავიანთი ობიექტურობის და ნეიტრალურობის თვალსაზრისით. მათ კონკრეტული წყაროების მითითების გარეშე ფაქტების გადამოწმების უნარები აკლიათ. მედიის უმეტესობა თავის რესურსებს საგამოძიებო ჟურნალისტიკას არ ახმარს. რედაქციებს მონაცემთა განყოფილებები არა აქვთ და ფინანსური რესურსების მოძიება უჭირთ.

ჟურნალისტების დამოუკიდებლობა პრობლემაა საკუთრების კონცენტრირების გამო. არსებული ვითარება შესაძლებლობას ქმნის, მედია კომერციული და პოლიტიკური ინტერესების მხარდაჭერის ინსტრუმენტად იყოს გამოყენებული. მეორე მხრივ, მფლობელები, ჩვეულებრივ, არ არიან დაინტერესებული რუსულ პოლიტიკაზე კომენტირებით.

## ბლოკი B3.
## რეაგირება. სამოქალაქო საზოგადოება. ქულა: 50

დეზინფორმაციული კამპანიების და კრემლის გავლენის წინააღმდეგ მიმართული ჩეხეთის სამოქალაქო საზოგადოების აქტივობები, საგარეო და საშინაო ფაქტორების გამო, გასულ წელს მნიშვნელოვნად შეიცვალა. 2015 წლამდე არავითარი აქტივობა არ ხორციელდებოდა, ვინაიდან ეს ახალი ფენომენია. ამრიგად, სამოქალაქო საზოგადოების ღონისძიებების უმეტესობა აქამდე რეაქციული და ერთჯერადი იყო და ორიენტირებული დეზინფორმაციის მონიტორინგსა და განეიტრალებაზე.



არსებობს აქტივისტთა ძლიერი ბირთვი, რომელიც ამ საკითხზე მუშაობს, მაგრამ ძირითადად უსაფრთხოების კუთხით. არ ხდება უფრო ძლიერი ფოკუსირება ჟურნალისტურ განზომილებაზე. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში განათლების ხელშეწყობის აქტივობები ხორციელდება, მაგრამ ეს პროექტები მცირე მასშტაბიანია. მედია წიგნიერების საკითხი რეგულარულად განიხილება, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯები ცოტაა და არც ერთი მათგანი არ არის სისტემატური.

თანამშრომლობა საზოგადოების სხვადასხვა სექტორს შორის სუსტია. სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაში ყველაზე დიდ ბარიერს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონეზე განსხვავებული შეხედულებები წარმოადგენს. ალიანსი ერთ სახელმწიფო ორგანოსთან სულაც არ ნიშნავს მხარდაჭერას მეორეს მხრიდან. მედია პროექტებს შორის თანამშრომლობაც იშვიათია. ისინი ერთმანეთს მოკავშირეებად არ აღიქვამენ; მათი ურთიერთობა უფრო კონკურენტულია.

[18] განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის სამინისტრო, Strategie digitálního vzdělávání do roku 2020 (ციფრული განათლების სტრატეგია 2020), 2014, http://www.msmt.cz/ministerstvo/strategie-digitalniho-vzdelavani-do-roku-2020 – ბოლო წვდომა 2017 წლის 09 აპრილს.



## კვლევაში მონაწილე ექსპერტები:

- **რობერტ ბრეშტანი**, HlidaciPes.org
- **მარტინ ჰალა**, სინოლოგი
- **მიქაელ კადერკა**, ღია განათლების ალიანსი
- **რომან მაცა**, ევროპული ღირებულებები
- **იოზეფ მლენეკი**, კარლის უნივერსიტეტი
- **პეტრ ნუტილი**, Manipulatori.cz
- **იოზეფ პაზდეკა**, ჟურნალისტი
- **რადკა პუდილოვა**, ფონდი ღია საზოგადოება
- **მიხაელ რომანოვიჩი**, კარლის უნივერსიტეტი
- **ვაცლავ სტეტკა**, კარლის უნივერსიტეტი
- **კარელ სტრახოტა**, People In Need
- **იან ტვრდონი**, Demagog.cz

# პროექტის პარტნიორები



DETECTOR media

## დეტექტორ მედია (Detector Media)

კიევი, უკრაინა

www.detector.media

დეტექტორ მედია (DM) არის უკრაინული მედია პლატფორმა და ანალიტიკური ორგანიზაცია. იგი არასამთავრობო ორგანიზაცია „ტელეკრიტიკის“ სამართალმემკვიდრეა, რომელიც 2004 წლის იანვარში დაფუძნდა. მისი მისიაა ხელი შეუწყოს უკრაინაში დემოკრატიული, თავისუფალი და პროფესიული მედიის განვითარებას, ასევე კრიტიკულად მოაზროვნე და ინფორმირებული მედია მომხმარებლის ჩამოყალიბებას. DM-ს აქვს რამდენიმე ვებ-გვერდი; მათ შორის მთავარი პლატფორმაა დეტექტორ მედია (http://www.detector.media), რომლის სლოგანია უკრაინის მედიის მაკონტროლებელი.

დეტექტორ მედია უკრაინის მედიის რეგულარულ მონიტორინგს ახორციელებს და შედეგებს ჟურნალისტებთან და რედაქტორებთან შემდგომ მუშაობაში იყენებს, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გასაზრდელად. ორგანიზაცია უკრაინის მედიის მკვლევარებში ლიდერებს შორისაა. 2014 წელს, ეს იყო პირველი ინსტიტუტი, რომელმაც რეგიონში კრემლის პროპაგანდის სრულფასოვნად შესწავლა დაიწყო. დღესდღეობით ის ამ სფეროს ექსპერტიზის  ცენტრადაა აღიარებული.

დეტექტორ მედიას ექსპერტები კონსულტაციებს უწევენ მთავრობას და სხვა აქტორებს მედიის განვითარების, რეფორმების, მედიის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის, ფსიქოლოგიური უსაფრთხოების და სხვა საკითხებში. ორგანიზაციის საქმიანობის ცალკე სფეროა ფართო საზოგადოებაში მედია წიგნიერების გავრცელება; ამ მიზნით, DM მხარს უჭერს სპეციალურ ვებ-გვერდს MediaSapiens (http://www.mediasapiens.ua) და გამოსცემს სხვადასხვა პროდუქციას, ფართო აუდიტორიის განათლების მიზნით.



EUROPEAN VALUES
Protecting Freedom

## ევროპული ღირებულებები (European Values)

პრაღა,
ჩეხეთის რესპუბლიკა

www.evropskehodnoty.cz

ევროპული ღირებულებები ანალიტიკური არასამთავრობო პოლიტიკის ინსტიტუტია, რომელიც ლიბერალურ დემოკრატიას იცავს. მისი ხედვაა ცენტრალური ევროპის ფარგლებში თავისუფალი, უსაფრთხო და წარმატებული ჩეხეთის რესპუბლიკა, რომელიც დასავლეთის განუყოფელი ნაწილია.

ევროპული ღირებულებები ებრძვის აგრესიულ რეჟიმებს, საზოგადოების რადიკალიზაციას, ავტორიტარული ტენდენციების და ექსტრემისტული იდეოლოგიების, მათ შორის ისლამიზმის, გავრცელებას. ის ექსპერტულ რეკომენდაციებს უწევს  გადაწყვეტილების მიმღებ პირებს და სისტემატურად აკვირდება და აფასებს მათ საქმიანობას. მას მიაჩნია, რომ ყველა ფუნქციონირებად ლიბერალურ დემოკრატიას სჭირდება აქტიური მოქალაქეები, ანგარიშვალდებული პოლიტიკოსები, პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს, ისევე როგორც ერთიანი საზოგადოება, რომელიც იზიარებს ინდივიდუალური თავისუფლების, ადამიანის ღირსების და თანასწორუფლებიანობის ღირებულებებს.

2005 წლიდან, როგორც არასამთავრობო და არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც არ უკავშირდება არცერთ პოლიტიკურ პარტიას, ევროპული ღირებულებები ეწევა კვლევით და საგანმანათლებლო საქმიანობას. ანალიტიკური ნაშრომების გამოქვეყნების და მედია კომენტარების გარდა, ის ორგანიზებას უწევს კონფერენციებს, სემინარებსა და ტრენინგებს როგორც ექსპერტების, ისე ფართო საზოგადოებისათვის. ორგანიზებული ღონისძიებები პოლიტიკოსებს, ექსპერტებს, ჟურნალისტებს, ბიზნესმენებსა და სტუდენტებს შორის დიალოგისთვის პლატფორმას უზრუნველყოფს.

### პოლიტიკური კაპიტალი (Political Capital)

ბუდაპეშტი, უნგრეთი

www.politicalcapital.hu

პოლიტიკური კაპიტალი პოლიტიკის კვლევის, ანალიზისა და საკონსულტაციო ინსტიტუტია, რომელიც 2001 წელს ბუდაპეშტში დაფუძნდა. ინსტიტუტი არ არის აფილირებული არც ერთ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ ორგანოსთან. იგი მხარს უჭერს საპარლამენტო დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და საბაზრო ეკონომიკის ძირითად ღირებულებებს.

პოლიტიკურმა კაპიტალმა როგორც შიდა უნგრულ, ისე საერთაშორისო დონეზე პროფესიონალი პარტნიორების ფართო ქსელი განავითარა, რამაც ხელი შეუწყო ინსტიტუტს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ანალიტიკური ცენტრი გამხდარიყო. მას აქვს მჭიდრო ურთიერთობა როგორც უნგრელ, ასევე ევროპელ გადაწყვეტილების მიმღებებთან, რომლებიც ორგანიზაციის საქმიანობის წარმატებას და ეფექტიანობას ხელს უწყობენ. ინსტიტუტმა ასევე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა მედიასთან და მისი ექსპერტები ყოველდღიურად აძლევენ კომენტარებს შიდა და საერთაშორისო მედიას.

პოლიტიკური კაპიტალი ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა დემოკრატიული ინსტიტუტები და მათთან დაკავშირებული გამოწვევები, პოლიტიკური რისკები, რადიკალიზმი და ექსტრემიზმი, საარჩევნო სისტემები, საერთაშორისო მიგრაცია და პოლიტიკა მასთან მიმართებაში, საერთაშორისო ურთიერთობები (განსაკუთრებით ევროპასა და რუსეთს შორის), ვიშეგრადის ქვეყნების დიპლომატიური კავშირები და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების დიპლომატიური ურთიერთობები.

### მედიის განვითარების ფონდი (Media Development Foundation)

თბილისი, საქართველო

www.mdfgeorgia.ge

მედიის განვითარების ფონდი (MDF) კვლევითი, ანალიზისა და ადვოკატირების არასამთავრობო ორგანიზაციაა. როგორც ლიბერალური დემოკრატიის ძირითადი ღირებულებებისა და პრინციპების აქტიური მხარდამჭერი, MDF მუშაობს ღია და ინკლუზიური საზოგადოების, ადამიანის უფლებების, ეთიკური და ანგარიშვალდებული ჟურნალისტიკის პრინციპების მხარდასაჭერად, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესის საკითხებზე დებატების და აქტიური მოქალაქეობის წახალისებას.

MDF 2008 წლის აპრილში პროფესიონალი ჟურნალისტების ჯგუფის მიერ დაფუძნდა და მას შემდეგ, მედიისა და კომუნიკაციის ანალიზისა და კვლევის სფეროში ყველაზე პროფესიული ორგანიზაციის რეპუტაცია მოიხვეჭა. 2014 წლიდან MDF-მა დააფუძნა მითების დეტექტორის ვებ-პლატფორმა, რომელიც მითებისა და დეზინფორმაციის მხილებას და კრემლისტური აქტორების მიერ აპრობირებული პროპაგანდის მეთოდების გამოვლენას ისახავს მიზნად.

ძირითადი პროგრამები, რომლებიც MDF-ის თემატური ფოკუსის არეალშია მოიცავს სიძულვილის ენისა და ანტიდასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლას, მედია წიგნიერების ხელშეწყობას, მედია მფლობელობისა და დაფინანსების გამჭვირვალობას, გადაწყვეტილების მიმღებთა უზრუნველყოფას შეფასებებისა და რეკომენდაციების გაწევის გზით და ცვლილებებისთვის ადვოკატირებას.

# კითხვარი კრემლის ინდექსის განსასაზღვრად

თითოეულ შეკითხვაზე ქულა ექსპერტთა შეფასებების საშუალო მაჩვენებელია.

ექვს ბლოკში მოცემული ქვე-ინდექსები თითოეული ბლოკში ქულების შესაძლო მაქსიმალური ჯამის პროცენტს ასახავს (როდესაც ყველა ქულა 4-ის ტოლია).

ზოგადი ინდექსი ყველა ბლოკის ინდექსების შესაძლო მაქსიმალური ჯამის პროცენტის მიხედვით ითვლება (როდესაც ყველა ინდექსი 100-ის ტოლია).

**შენიშვნა 1**
**პასუხი კითხვებზე A1.1 – A1.4**

**4. ოფცია „ძლიერ პრო-რუსული" ნიშნავს იმას, რომ თავის საკომუნიკაციო საქმიანობაში, სუბიექტი/ინსტიტუტი:**
• ემხრობა რუსეთთან უფრო ღრმა სტრატეგიულ პარტნიორობას (განსაკუთრებით, ევროკავშირთან, აშშ-სთან და ა.შ. ურთიერთობების ხარჯზე; განსაკუთრებით უსაფრთხოების სფეროში);
• აქცენტს აკეთებს ისტორიული კავშირებისა და ვალდებულებების გარდაუვალ ხასიათზე (როგორიცაა მეორე მსოფლიო ომი, სხვა აგრესორებისგან დაცვა, ა.შ.);
• აქცენტს აკეთებს რუსეთთან კულტურული და რელიგიური კავშირების გარდაუვალ ხასიათზე;
• ამართლებს ყირიმის ანექსიას;
• ამართლებს სამხედრო აგრესიას სამხრეთ ოსეთში, აფხაზეთსა და დონბასში, და ასევე უკრაინის, საქართველოს და მოლდოვას ტერიტორიებზე მისი მარიონეტული რეჟიმების სამხედრო მხარდაჭერას;
• ამართლებს რუსეთის გადაჭარბებულ სამხედრო ძალადობას სირიაში;
• ამართლებს სამხედრო ტიპის აგრესიულ, დემონსტრაციულ ქმედებებს;
• ამართლებს და მხარს უჭერს რუსეთის ამბიციებს, გახდეს გლობალური ზესახელმწიფო, უსაფრთხოების გარანტი და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესების ცენტრი;
• მოითხოვს, რომ მოიხსნას სანქციები რუსეთის წინააღმდეგ (განსაკუთრებით, მანიპულირებს ეკონომიკური მონაცემებით და სტატისტიკით, აცხადებს რა, რომ სანქციები უშედეგოა, ან მხოლოდ უარყოფითი შედეგები აქვს თავად ევროკავშირისთვის).

**3. ოფცია „ნაწილობრივ პრო-რუსული" ნიშნავს, რომ სუბიექტი/ინსტიტუტი:**
• აღიარებს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი გზავნილი სიმართლეს შეესაბამება;
• მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ და საერთაშორისო თანამეგობრობამ თავი შეიკავონ აქტიური ქმედებებისგან, რათა არ გააღიზიანონ რუსეთი;
• მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ და საერთაშორისო თანამეგობრობამ ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ რუსეთის ინტერესებთან მიმართებით (როგორიცაა ომები უკრაინასა და სირიაში, რუსეთის მიერ მარიონეტული რეჟიმების მხარდაჭერა, გავლენა სხვა ქვეყნებში).

**2. ოფცია „არც ანტი-რუსული, არც პრო-რუსული" ნიშნავს, რომ სუბიექტი/ინსტიტუტი აშკარად თავს არიდებს მკაფიო პოზიციის დაფიქსირებას იმ საკითხებზე, რომლებიც კრემლის საგარეო პოლიტიკას უკავშირდება** (განსაკუთრებით ზემოთ ჩამოთვლილ საკითხებზე).

**1. ოფცია „ნაწილობრივ ანტი-რუსული" ნიშნავს, რომ სუბიექტი/ინსტიტუტი:**
• უარყოფს ან კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იმ განცხადებებს, რომლებიც ჩამოთვლილია ოპციაში „ძლიერ პრო-რუსული";
• აღიარებს, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა აგრესიულია; აღიარებს, რომ კრემლი არღვევს საერთაშორისო სამართალს და სხვა ქვეყნების შიდა პროცესებში ერევა;
• მიიჩნევს, რომ სანქციები და დიპლომატიური ზეწოლა შესაფერისი პასუხია კრემლის ქმედებებზე;
• რუსეთს გლობალური საფრთხეების წყაროდ, არაპროგნოზირებად პარტნიორად მიიჩნევს და მასთან ფრთხილ და წინდახედულ ურთიერთობას ემხრობა;
• უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით ემხრობა შიდა ერთიანობასა და საერთაშორისო თანამშრომლობას რუსეთის აგრესიული საგარეო პოლიტიკის ფონზე.

**0. ოფცია „ძლიერ ანტი-რუსული" ნიშნავს, რომ სუბიექტი/ინსტიტუტი:**
• კატეგორიულად უარყოფს იმ განცხადებებს, რომლებიც ჩამოთვლილია ოპციაში „ძლიერ პრო-რუსული";
• რუსეთს აგრესორს და დემოკრატიული საზოგადოებებისთვის საფრთხეს უწოდებს;
• რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე უფრო ძლიერ ეკონომიკურ და სამხედრო რეაგირებას ითხოვს.

A1

# ნაწილი A1. გავლენა. პოლიტიკური ზეგავლენა

## A1.1 რუსეთის მიმართ ხელისუფლების პოზიციის შეფასება

**როგორია ამჟამინდელი ხელისუფლების პოზიცია რუსეთის მიმართ?**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 – ძლიერ ანტი-რუსული | 1 – ნაწილობრივ ანტი-რუსული | 2 – არც ანტი-რუსული, არც პრო-რუსული | 3 – ნაწილობრივ პრო-რუსული | 4 – ძლიერ პრო-რუსული |

## A1.2 ამჟამად პარლამენტში წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიების პოზიციის შეფასება

**როგორია რუსეთის მიმართ საპარლამენტო ფრაქციების პოზიცია?**

| | 0 – ძლიერ ანტი-რუსული | 1 – ნაწილობრივ ანტი-რუსული | 2 – არც ანტი-რუსული, არც პრო-რუსული | 3 – ნაწილობრივ პრო-რუსული | 4 – ძლიერ პრო-რუსული |
|---|---|---|---|---|---|
| Faction 1 | | | | | |

## A1.3 პრეზიდენტის პოზიციის შეფასება

**როგორია რუსეთის მიმართ პრეზიდენტის პოზიცია?**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 – ძლიერ ანტი-რუსული | 1 – ნაწილობრივ ანტი-რუსული | 2 – არც ანტი-რუსული, არც პრო-რუსული | 3 – ნაწილობრივ პრო-რუსული | 4 – ძლიერ პრო-რუსული |

## A1.4 პოლიტიკურ პარტიებზე მედიის გავლენის შეფასება

| | 0 – ძლიერ ანტი-რუსული | 1 – ნაწილობრივ ანტი-რუსული | 2 – არც ანტი-რუსული, არც პრო-რუსული | 3 – ნაწილობრივ პრო-რუსული | 4 – ძლიერ პრო-რუსული |
|---|---|---|---|---|---|
| Party 1 | | | | | |

* თითოეული ამ პარტიის შეფასება უნდა მოხდეს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

## A1.5 ადგილობრივი ხელისუფლების პოზიციის შეფასება

**რა დონეზე უჭერს მხარს ადგილობრივი ხელისუფლება რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას?**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 0 – არა | 1 – საჯარო მხარდაჭერის მკაფიო შემთხვევები არ გამოვლენილა, თუმცა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების საინფორმაციო აქტივობები რუსეთის ფედერაციის მხარდასაჭერად შესაძლებელია. | 2 – საჯარო მხარდაჭერის აშკარა შემთხვევები არ გამოვლენილა (გადაწყვეტილებები, ხელისუფლების განცხადებები), მაგრამ ზოგიერთი ადგილობრივი ხელისუფლების (წარმომადგენლები) პრო-რუსული საინფორმაციო აქტივობები რეგულარულია, თუმცა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე მჟღავნდება (კერძოდ, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გამოსვლები). | 3 – ადგილობრივი ხელისუფლების მიერ რუსეთის პოლიტიკის საჯარო მხარდაჭერის რამდენიმე შემთხვევა გამოვლინდა (ხელისუფლების გადაწყვეტილებები, განცხადებები), რაც ნაციონალური დაფარვის მედია საშუალებებით გახდა ცნობილი; ან არსებობს ბევრი ადგილობრივი ხელისუფლება (წარმომადგენელი), რომელთა პრო-რუსული საინფორმაციო აქტივობა რეგულარულია, თუმცა მხოლოდ ადგილობრივ დონეზე. | 4 – არსებობს რამდენიმე რეგიონი ან ადგილობრივი ხელისუფლება, რომლებიც რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას რეგულარულად და საჯაროდ უცხადებენ მხარდაჭერას (განცხადებები, გადაწყვეტილებები, დეკლარაციები) და ეს აისახება საინფორმაციო სივრცეში მთელი ქვეყნის მასშტაბით. |

# A2

# ნაწილი A2 .
## გავლენა. მედია განზომილება

### A 2.1 როგორ შეაფასებდით რუსული მედიის გავლენას საზოგადოებრივ აზრზე ქვეყანაში?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არავითარი გავლენა | რუსული მედია მხოლოდ უმნიშვნელო სოციალურ ჯგუფებზე, ძირითადად მარგინალურებზე ახდენს გავლენას | საზოგადოების უმრავლესობას ესმის, რომ რუსული მედია შესაძლოა იტყუებოდეს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კრემლის ნარატივი პოპულარულია საზოგადოების ზოგიერთ მნიშვნელოვან ჯგუფში | რუსული მედია შესამჩნევ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ აზრზე, თუმცა ალტერნატიული (კრემლის საწინააღმდეგო) დისკურსი კვლავ ძლიერია და წარმატებულ კონკურენციას უწევს მას | რუსულ მედიას შესწევს უნარი საზოგადოებრივ აზრზე გავლენა მოახდინოს; კრემლის საწინააღმდეგო დისკურსი მარგინალიზებულია |

### A 2.2 არის თუ არა ეროვნული დაფარვის მედიის კონტენტი ზუსტი და მიუკერძოებელი რუსეთთან მიმართებაში?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| აბსოლუტურად ზუსტი და მიუკერძოებელი | როგორც წესი, მედია ზუსტი და მიუკერძოებელია, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც ის ამახინჯებს და მანიპულირებს ინფორმაციით კრემლის სასარგებლოდ | ზოგჯერ მედია მანიპულაციებს მიმართავს პროკრემლისეური ნარატივის მხარდასაჭერად ან კრემლის და მისი პოლიტიკის შესახებ დადებითი სურათის შესაქმნელად, მაგრამ როგორც წესი, ჟურნალისტურ სტანდარტებს იცავს და გაშუქება ეთიკის და სიმართლის პრინციპებს შეესაბამება | მედია კრემლის და მისი პოლიტიკის შესახებ პოზიტიური სურათის შექმნისკენ არის მიდრეკილი; ინფორმაცია ხშირად დამახინჯებულია და მანიპულირებას აქვს ადგილი; თუმცა, ამავე დროს ალტერნატიული შეხედულებებიც წარმოდგენილია | სრულიად უზუსტო და მიკერძოებული; მედია კრემლის და მისი პოლიტიკის შესახებ მკაფიოდ პოზიტიური სურათი შექმნისკენ არის მიდრეკილი |
| Media 1 | | | | |

* შექმენით 3-5 ძირითადი სატელევიზიო, პრესის, ონლაინ და რადიო საშუალებების სიები

### A 2.3 რა გავლენას ახდენენ კრემლის მხარდამჭერი დეზინფორმაციული მედია საშუალებები საზოგადოებრივ აზრზე?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არ არსებობენ, ან არავითარი გავლენა არ აქვთ | გარკვეული უმნიშვნელო სოციალური ჯგუფები ენდობიან მათ | საზოგადოების უმრავლესობას ესმის, რომ ისინი შესაძლოა მანიპულირებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, იყენებენ მათ და სჯერათ მათი | საზოგადოების უმეტესობას არ ესმის, რომ ეს მედია საშუალებები შესაძლოა მანიპულირებდნენ; ამიტომ, ისინი ძლიერი ნდობით სარგებლობენ | ამ მედია საშუალებებს შეუძლიათ საზოგადოებრივ აზრზე ძლიერი გავლენის მოხდენა |

#### შენიშვნა 3. ალტერნატიული მედია

მოცემულ კვლევაში ალტერნატიულ მედიად განიხილება ის მედია საშუალებები (სატელევიზიო, ბეჭდური, ონლაინ, განსაკუთრებით საზოგადოებრივი ჯგუფები სოციალურ ქსელებში), რომლებიც დაუდასტურებელი ინფორმაციის და შეთქმულების თეორიების გავრცელებაში არიან დახელოვნებული; მათ არ ადარდებთ ჟურნალისტური სტანდარტების დაცვა, კერძოდ კი სანდოობა. უმეტესწილად, ამ მედია საშუალებების მფლობელები უცნობია, და ცალკე აღებულად, არც ერთ მათგანს არ ჰყავს ფართო აუდიტორია, თუმცა სენსაციურობის და ინტერპრეტაციების ორიგინალობის წყალობით, მათ შესაძლოა გავლენა მოახდინონ მოქალაქეების პოლიტიკურ ცნობიერებაზე. მათ ასევე მიესადაგებათ ტერმინი „მარგინალური მედია“ (FRINGE MEDIA). კრემლის მხარდამჭერი ალტერნატიული მედიის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა მიიღოთ შენიშვნა 1, თუმცა ამ ტიპის მედია საშუალებების სიის შედგენა მოცემული კვლევის ფარგლებში სავალდებულო არ არის.

# ნაწილი A3.
# გავლენა. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება

A3

## A 3.1 როგორია იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გავლენა, რომლებიც კრემლს და მის შეხედულებებს უჭერენ მხარს?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არ არსებობენ, ან არავითარი გავლენა არ აქვთ | გავლენა არ არის შესამჩნევი, თუმცა არიან გარკვეული მხარდამჭერები, რომლებიც კრემლის მხარდამჭერ პოზიციას იზიარებენ | გავლენა საგრძნობია ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე | მათი ხმა საკმაოდ ისმის საზოგადოებაში; გავლენა საგრძნობია | შეუძლიათ ძლიერი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე |

## A 3.2 როგორია რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის (ან კრემლთან დაახლოებული სხვა რელიგიური ჯგუფების/ორგანიზაციების/მოძრაობების) გავლენა თქვენს ქვეყანაში?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არ არსებობენ, ან არავითარი გავლენა არ აქვთ | გავლენა არ არის შესამჩნევი, თუმცა არიან გარკვეული მხარდამჭერები, რომლებიც კრემლის მხარდამჭერ პოზიციას იზიარებენ | გავლენა საგრძნობია ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე | მათი ხმა საკმაოდ ისმის საზოგადოებაში; გავლენა საგრძნობია | შეუძლიათ ძლიერი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე |

## A 3.3 როგორია კრემლის და მისი შეხედულებების მხარდამჭერი საგანმანათლებლო დაწესებულებების გავლენა თქვენს ქვეყანაში?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არ არსებობენ, ან არავითარი გავლენა არ აქვთ | გავლენა არ არის შესამჩნევი, თუმცა არიან გარკვეული მხარდამჭერები, რომლებიც კრემლის მხარდამჭერ პოზიციას იზიარებენ | გავლენა საგრძნობია ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე | მათი ხმა საკმაოდ ისმის საზოგადოებაში; გავლენა საგრძნობია | შეუძლიათ ძლიერი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე |

## A 3.4 რა გავლენას ახდენენ ექსტრემისტული ორგანიზაციები და გასამხედროებული ჯგუფები კრემლის და მისი შეხედულებების გავრცელების მხრივ?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არ არსებობენ, ან არანაირი გავლენა არ აქვთ | გავლენა არ არის შესამჩნევი, თუმცა არიან გარკვეული მხარდამჭერები, რომლებიც კრემლის მხარდამჭერ პოზიციას იზიარებენ | გავლენა საგრძნობია ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე | მათი ხმა საკმაოდ ისმის საზოგადოებაში; გავლენა საგრძნობია | შეუძლიათ ძლიერი გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე |

# B1 ნაწილი B1
# გავლენა. პოლიტიკური განზომილება

## B1.1 შეაფასეთ, თუ როგორ არის წარმოდგენილი რუსეთის ფედერაციის დეზინფორმაციული საქმიანობა ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებში (როგორიცაა უსაფრთხოების სტრატეგია, საგარეო პოლიტიკის სტრატეგია, ა.შ.)

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| ძალიან დეტალური აღწერა ცალსახად უარყოფითი კონოტაციით, სადაც ამგვარი საქმიანობა მთავარ და ერთ-ერთ უდიდეს საფრთხედაა შეფასებული | აღწერა ოდნავ უარყოფითი კონოტაციით, სადაც რუსეთი განხილულია საფრთხედ, თუმცა ბევრ სხვა საფრთხესთან ერთად | აღწერა ძალიან ზოგადია; რუსეთი საფრთხედაა მიჩნეული, თუმცა მხოლოდ შეფარულად | დაკავშირებული საქმიანობები ნახსენებია, თუმცა თვითნებური მოწოდების შეფასების გარეშე, რაც ართულებს იმის გარჩევას, თუ რა არის დადებითი და რა უარყოფითი | ან საერთოდ არ არის, ან ძალიან ზოგადადაა ნახსენები; ამიტომ ოფიციალური დოკუმენტების შესახებ რეალური დასკვნის გაკეთება შეუძლებელია |

## B1.2 რამდენად საკმარისია სახელმწიფო სტრატეგიები/დოქტრინები ან პროგრამები, რომლებიც არეგულირებენ მედიას, სიტყვის თავისუფლებას და ინფორმაციის უსაფრთხოებას, იმისათვის, რომ საინფორმაციო გავლენების უარყოფითი შედეგები შემცირდეს?

(გთხოვთ, გაითვალისწინოთ ისეთი დოკუმენტები, როგორიცაა სტრატეგიული დოკუმენტები ინფორმაციის უსაფრთხოების შესახებ; სახელმწიფო რეგულაციები, რომლებიც მავნე კონტენტის გავრცელებას ზღუდავს; სახელმწიფო რეგულაციები, რომლებიც მედია საკუთრების/დაფინანსების გამჭირვალობის წინაპირობებს განსაზღვრავს; სტრატეგიული დოკუმენტები კომუნიკაციის შესახებ; ეროვნული წარმოების სახელმწიფო მხარდაჭერა და სხვა)

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| საკანონმდებლო ბაზა საკმარისია; შესაბამისი გადაწყვეტილებები დაფიქსირებულია როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო დონეებზე; უზრუნველყოფილია პირობები, რომლებიც შეზღუდულ სივრცეს უტოვებს გარედან მომდინარე საზიანო გავლენებს | მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები ხელმისაწვდომია, თუმცა ისინი არა საკმარისია უსაფრთხოებისთვის შესაფერისი პირობების შესაქმნელად: ყველა მათგანი არ არის რეალისტური; ზოგიერთი მათგანი დეკლარაციული ხასიათისაა; ზოგი საკითხი კი კვლავ რეგულირების პროცესშია | გარკვეული საკანონმდებლო აქტები არსებობს, მაგრამ ეს არასაკმარისია ყოვლისმომცველი სისტემის უზრუნველყოფისთვის; ზოგი მათგანი არ არის ურთიერთდაკავშირებული, ან საკმარისად რეალისტური; მხოლოდ მცირე შედეგია მიღწეული | გარკვეული გადაწყვეტილებები როგორც სტრატეგიულ, ისე სამოქმედო დონეზე მიიღება, თუმცა ისინი საკმარისად ეფექტური არაა, ან დეკლარაციული ხასიათისაა; შედეგი მიღწეული არ არის | სათანადო საკანონმდებლო ბაზა არ არსებობს |

## B1.3 მოქმედებს თუ არა ქვეყანაში რაიმე ორგანო/ინსტიტუტი, რომელიც უფლებამოსილია მონიტორინგი გაუწიოს სხვა სახელმწიფოების (კერძოდ, რუსეთის ფედერაციის) საინფორმაციო აქტივობების შედეგად პროვოცირებულ საფრთხეებს და შეიმუშაოს შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკა? როგორ შეაფასებდით ასეთ უწყებებს შორის უფლებამოსილებების გადანაწილების ეფექტიანობას?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| დიახ, არსებობენ ორგანოები (სპეციალური სამსახურების გარდა), რომელთაც საინფორმაციო სფეროში არსებულ საფრთხეებთან ბრძოლა ევალებათ. მათ შორის უფლებამოსილებების გადანაწილება სწორი და ეფექტიანია | დიახ, არსებობენ ორგანოები (სპეციალური სამსახურების გარდა), რომელთაც საინფორმაციო სფეროში არსებულ საფრთხეებთან ბრძოლა ევალებათ. მათ შორის უფლებამოსილებები საკმარისად ზუსტად არ არის გადანაწილებული; ადგილი აქვს გარღვევებს და მოვალეობების დუბლირებას. შესაძლოა, სახეზეა არასკმარისი კოორდინაცია | დიახ, არსებობენ ორგანოები (სპეციალური სამსახურების გარდა), მაგრამ მათი უფლება-მოვალეობები არ არის მკაფიოდ განსაზღვრული; უამრავ გარღვევას აქვს ადგილი; უფლება-მოვალეობები ხშირად დუბლირებულია; სხვადასხვა ორგანოების ქმედებები არ არის კოორდინირებული, რაც მათ ეფექტიანობაზე უარყოფით გავლენას ახდენს | დიახ, ამ ამოცანას სპეციალური სამსახურები ასრულებენ თავიანთი უფლებამოსილებების ფარგლებში | შესაბამისი ორგანოები არ არსებობენ |

B1

## B1.4 როგორ შეაფასებდით იმ სახელმწიფო ორგანოების/ინსტიტუტების მიერ საკუთარი მოვალეობების შესრულების უნარს, რომლებიც უფლებამოსილნი არიან, სხვა სახელმწიფოების (კერძოდ რუსეთის ფედერაციის) საინფორმაციო საქმიანობების შედეგად პროვოცირებული საფრთხეები ამონიტორინგონ და შესაბამისი პოლიტიკური გადაწყვეტილებები მიიღონ?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| --- | --- | --- | --- | --- |
| შესაბამისი ორგანოები მაღალ უნარს და ეფექტიანობას ავლენენ, კერძოდ: 1) თანამშრომლები ავლენენ შესაბამის ცოდნას და გამოცდილებას; 2) ორგანო სათანადოდაა დაკომპლექტებული; 3) არსებობს მოვალეობების სათანადოდ შესრულების პოლიტიკური ნება; 4) ორგანო სათანადოდ ფინანსდება; 5) ადგილი აქვს ყველა ჩართული ინსტიტუტის ძალისხმევის სათანადო კოორდინაციას | მხოლოდ ზოგიერთ ძირითად ორგანოს ახასიათებს შემდეგი: 1) არაა სათანადოდ დაკომპლექტებული, ან თანამშრომლები უნარების ნაკლებობას განიცდიან; 2) არ არსებობს მოვალეობების სათანადოდ შესრულების პოლიტიკური ნება; 3) ორგანო მუდმივად არასაკმარისად ფინანსდება, ან ორგანოებს შორის კოორდინაცია არასათანადოა | ყველა ჩართულ ორგანოს ერთ-ერთი ქვემოთ მოცემული მახასიათებელი შეეფერება: 1) არ არის სათანადოდ დაკომპლექტებული, ან თანამშრომლები უნარების ნაკლებობას განიცდიან; 2) არ არსებობს მოვალეობების სათანადოდ შესრულების პოლიტიკური ნება: 3) ორგანო მუდმივად არასაკმარისად ფინანსდება | ჩართული ორგანოები არ ასრულებენ საკუთარ ფუნქციებს ინფორმაციის უსაფრთხოებაში, ან მათი უნარები ძალიან დაბალია | სათანადო ორგანოები არ არსებობს |

## B1.5 როგორ შეაფასებდით ხელისუფლების იმ საქმიანობის ეფექტიანობას, რომელიც მიმართულია დეზინფორმაციის საფრთხის შესახებ მოქალაქეების მედია წიგნიერებაზე/ცნობიერების ამაღლებაზე?

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
| --- | --- | --- | --- | --- |
| ხელისუფლება დეზინფორმაციის საფრთხის შესახებ ინფორმაციას სათანადოდ ავრცელებს. სახელმწიფო პოლიტიკა მედია წიგნიერების ასამაღლებლად ფორმალური და არაფორმალური ინსტრუმენტების დანერგვისკენაა მიმართული | ხელისუფლება დეზინფორმაციის საფრთხის შესახებ ინფორმაციას მეტნაკლებად სათანადოდ ავრცელებს. გარკვეული ქმედებები ხორციელდება იმ ფორმატების დასანერგად, რომლებიც მედია წიგნიერების ამაღლებას შეუწყობს ხელს (ცალკეული სემინარები და ტრენინგები) | ხელისუფლება დეზინფორმაციის საფრთხის შესახებ ინფორმაციას მეტნაკლებად სათანადოდ ავრცელებს, მაგრამ არ ახორციელებს რაიმე ქმედებებს მედია წიგნიერების ასამაღლებლად | დეზინფორმაციის საფრთხეზე გარკვეული კომუნიკაცია არსებობს, თუმცა არა სისტემატური; არანაირი ქმედება არ ხორციელდება მედია წიგნიერების ასამაღლებლად | არავითარი კომუნიკაცია ან ამ ტიპის რაიმე ქმედება არ ხორციელდება |

# B2

## ნაწილი B2
## რეაგირება. მედია განზომილება

### B2.1 – 2.6 შეაფასეთ შემდეგი პუნქტები 5-ბალიან შკალაზე, სადაც 4 ნიშნავს ყველაზე დაბალ დონეს, ხოლო 0 – ყველაზე მაღალს.

| | ნაციონალური მედია (ქვეყნის მასშტაბით) | ადგილობრივი მედია |
|---|---|---|
| ჟურნალისტების უნარი თავიანთ საქმიანობაში ობიექტურობის და ნეიტრალურობის სტანდარტები დაიცვან | 0 – 4 | 0 – 4 |
| ჟურნალისტების უნარი პროპაგანდა და მანიპულაციები გამოავლინონ და ფაქტები დააზუსტონ | 0 – 4 | 0 – 4 |
| ჟურნალისტების დამოუკიდებლობა მფლობელების/რედაქტორების ცენზურისგან (ან უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ ცენზურას) | 0 - 4 | 0 – 4 |

### B2.7 შეაფასეთ მედიის დაინტერესება კრემლის დეზინფორმაციის მიმართ ნაციონალურ მედია დისკურსში.

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| კრემლის დეზინფორმაცია მედიის დღის წესრიგის სათანადო საკითხია; ის მუდმივად განიხილება ექსპერტების და ჟურნალისტების ფართო წრის მიერ | ეს თემა საკმაოდ განიხილება; ამ საკითხზე რამდენიმე ცნობილი ექსპერტი მუშაობს; დეზინფორმაციის არსებობა და საფრთხე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას | დროდადრო ეს თემა მედიაში განიხილება, თუმცა ის ყურადღების ცენტრში არ არის; დეზინფორმაციის არსებობა და საფრთხე ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას | ეს თემა ძალიან იშვიათად განიხილება; დეზინფორმაციის არსებობა და საფრთხე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას | ეს თემა მედიის ყურადღების მიღმა რჩება |

### B2.8 შეაფასეთ ჟურნალისტური საქმიანობის დონე დეზინფორმაციის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისას.

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| არიან ჟურნალისტები (სულ ცოტა 3), რომლებიც ამ თემაზე მუშაობენ; ტარდება კვლევა/გამოძიება კრემლის ქვეშევრდომების შესახებ; ამ თემაზე სპეციალური ანგარიშები და პროგრამები რეგულარულად მზადდება | არიან ჟურნალისტები (1 ან 2), რომლებიც სათანადოდ აშუქებენ ამ თემას (რეგულარულად, საკითხის სათანადოდ ცოდნით); სხვა ჟურნალისტები ნაკლებ უნარებს ავლენენ, თუმცა ცდილობენ თემის წინ წამოწევას. იშვიათად იწარმოება სპეციალური გამოძიებები, ფილმები, პროგრამები ამ თემაზე | ჟურნალისტები საკმაოდ აქტიურად აშუქებენ დეზინფორმაციის თემას; თუმცა, არ გვხვდებიან ჟურნალისტები, რომლებიც ღრმად იცნობენ საკითხს; შესაძლოა ამ თემაზე გამოძიებების, ფილმების, პროგრამების რამდენიმე მაგალითი არსებობდეს, თუმცა ისინი სათანადო ხარისხის არაა | რამდენიმე ჟურნალისტი ცდილობს დეზინფორმაციის თემა წამოჭრას, თუმცა არარეგულარულად; მათ არ აქვთ საკმარისი ცოდნა და წარმოდგენა თემაზე. არც სპეციალური გამოძიებები, ფილმები და პროგრამები არ იწარმოება | არ არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც შეეცდებოდნენ კრემლის დეზინფორმაციის შესახებ სიუჟეტების მომზადებას ან გამოძიების წარმოებას |

# ნაწილი B3
## რეაგირება. სამოქალაქო საზოგადოების განზომილება

B3

### B3.1 შეაფასეთ, რა დონეზე იაზრებს თქვენი ქვეყნის სამოქალაქო საზოგადოება დეზინფორმაციის პრობლემას.

| 0 | 1 | 2 | 3 | 4 |
|---|---|---|---|---|
| სამოქალაქო საზოგადოება პრობლემას იაზრებს და ამ საკითხზე ერთიანობას ავლენს. ტარდება რეგულარული დისკუსიები, კონფერენციები და კვლევები. საკითხი აქტუალურია საინფორმაციო სფეროშიც | სამოქალაქო საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი აცნობიერებს დეზინფორმაციის პრობლემას. საზოგადოებრივი აქტივობები ხორციელდება, თუმცა ისინი მხოლოდ შეზღუდულ აუდიტორიებს მოიცავენ, ძირითადად უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებს და ჟურნალისტებს. ონლაინ და ოფლაინ სადისკუსიო პლატფორმები მზარდია | სამოქალაქო საზოგადოების გარკვეულ ნაწილს ესმის დეზინფორმაციის პრობლემა; მხოლოდ მცირე რაოდენობის ორგანიზაციები არსებობენ, რომლებიც მიზანმიმართულად მუშაობენ ამ პრობლემაზე და მას თავიანთ პუბლიკაციებსა და ინტერვიუებში აშუქებენ | პრობლემა რამდენიმე ორგანიზაციის ყურადღებას იპყრობს (მათ შორის იმ ორგანიზაციების, რომლებიც უსაფრთხოებას ან მედიას კურირებენ), თუმცა მათი ხმა მარგინალიზებულია და საზოგადოება მათ არ ითვალისწინებს | ეს პრობლემა სამოქალაქო საზოგადოების ინტერესის სფეროს არ წარმოადგენს და მისი საქმიანობის პრიორიტეტებს შორის არ მოიაზრება |

### B3.2 – 3.7 შეაფასეთ თქვენი ქვეყნის არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების და საქმიანობების დონე შემდეგი მიმართულებებით:

| | 0<br>სულ ცოტა 3 ინსტიტუტია სპეციალიზირებული ამ საკითხში; ისინი წარმატებულად საქმიანობენ; უფრო მეტი ორგანიზაცია საქმიანობს როგორც ეროვნულ, ისე ადგილობრივ დონეებზე | 1<br>არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც სისტემატურად საქმიანობენ, თუმცა მხოლოდ ეროვნულ დონეზე; მათ წარმატებული გამოცდილება აქვთ, მაგრამ მათი გავლენა შეზღუდულია | 2<br>არსებობენ ინსტიტუტები, რომლებიც ამ სფეროში მუშაობენ, მაგრამ ისინი მხოლოდ ახლა იძენენ ცოდნას, გამოცდილებას და პრაქტიკას | 3<br>მხოლოდ მცირე რაოდენობის პროექტები არსებობს; არ არსებობენ ამ საკითხში სპეციალიზირებული ინსტიტუტები; მათ არც რაიმე წარმატებული პრაქტიკა აქვთ, და არც საკუთარი გამოცდილება | 4<br>არანაირი საქმიანობები |
|---|---|---|---|---|---|
| დეზინფორმაციის მონიტორინგი, ანალიზი და ზემოქმედების შეფასება | | | | | |
| რეაგირება აშკარა რუსულ დეზინფომაციაზე, რომელიც ალტერნატიული (არამეინსტრიმული) მედიის საშუალებით ვრცელდება | | | | | |
| პოლიტიკური გადაწყვეტილების დაგეგმვა და ხელშეწყობა დეზინფორმაციასთან დასაპირისპირებლად | | | | | |
| მოქალაქეების მედია წიგნიერების გაუმჯობესება | | | | | |
| ჟურნალისტების განათლება, კერძოდ მანიპულაციების გამოვლენასა და ფაქტების გადამოწმებაში | | | | | |
| ოფიციალური პირების განათლება პროპაგანდისთვის წინააღმდეგობის გაწევასა და სტრატეგიულ კომუნიკაციებში | | | | | |

# B3

## B3.8 შეაფასეთ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის დონე პროპაგანდასთან დაპირისპირების კუთხით

| | 0<br>თანამშრომლობა სახეზეა; ხდება საერთო გადაწყვეტილებების მიღება და საერთო პროექტების განხორციელება; კოორდინაცია ეფექტიანია | 1<br>ინტენსიური დიალოგი არსებობს; ადგილი აქვს საერთო პროექტების განხორციელების მცდლობებს; ზოგჯერ ისინი წარმატებულია; კოორდინაცია არასაკმარისია | 2<br>ხორციელდება დიალოგი, თუმცა ერთობლივი მოქმედების რაიმე წარმატებულ მცდელობებს ადგილი არ აქვს | 3<br>ხორციელდება ძალისხმევა დიალოგის გამართვისა და კოორდინაციის მიზნით, თუმცა ის არც ისე წარმატებულია | 4<br>დაინტერესებულ მხარეებს შორის ადგილი აქვს კონკურენციას ან მათ შორის არავითარი თანამშრომლობა არ არსებობს |
|---|---|---|---|---|---|
| სამოქალაქო საზოგადოება – სახელმწიფო | | | | | |
| სამოქალაქო საზოგადოება – მედია | | | | | |
| სახელმწიფო – მედია | | | | | |
| სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის | | | | | |
| მედია საშუალებებს შორის | | | | | |

2017

ქიევი 2017